ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 20 ნოემბერი 1999 №224 (997) | ფასი 50 თეთრი


## 2 ლოკომოტივმა რკინის ქალამნები ჩაიცვა

საგანგებო და სადისციპლინო კომიტეტებს შორის მოარული საქმე ახლა სააპელაციომ ჩაიბარა

## 5 ფეხბურთის მეფე სპორტის მეფეცაა



სააგენტო „როიტერმა" საუკუნის სპორტსმენად ლეგენდარული ბრაზილიელი დაასახელა

## 6 დიდი ბარსა

იუბილარი 100

29 ნოემბერს „ბარსელონა" საუკუნის მოიყრება

### საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!

1999 წლის 17 დეკემბერს თბილისის ჟურნალისტთა სახლში 14 საათზე გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

დღის წესრიგი

1. სსჟა-ს აღმასკომის საანგარიშო მოხსენება
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში
3. ცვლილებები სსჟა-ს წესდებაში
4. არჩევნები

სსჟა-ს ხელმძღვანელ ორგანოებში ასარჩევი თქვენთვის სასურველი კანდიდატები, წესდების შესაბამისად, უნდა წარმოადგინოთ 2 დეკემბრამდე.

*სსჟა-ს აღმასკომი*

# ვალერი ჩოლარია: ბოლომდე მსაჯებს კი არა, საკუთარ თავს არ ვენდობი



ბოლო დროს სამუშაო და საფიქრალი მოუმრავლდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას.

აქეთ „მერანი" და „ლოკომოტივიო", ორივენი ჩემპიონატის დატოვებით იმუქრებოდნენ, იქით მსაჯებიო, რომლებიც თავიანთ მოვალეობას მთლად პატიოსნად და კვალიფიციურად ვერ ასრულებენ.

ისმის ათასნაირი ბრალდება, ზოგი ვის ადანაშაულებს, ზოგიც — ვის.

ზოგი ტოვებს ჩემპიონატს და მერე გადაწყვეტილებას ცვლის, ზოგიც ჯერაც ფიქრობს და საბოლოოდ ამ უქმეებზე იტყვის, მომავალშიც ითამაშებს თუ არა.

არის ათასი სატელეფონო ზარი, გვეკითხებიან — რა ხდება, იშლება ეროვნული ჩემპიონატი?

მოკლედ, საფეხბურთო საქართველოში ერთი ამბავია, გაწამაწიაშია ფეხბურთის თითქმის ყველა მოხელე.

ეს ინტერვიუ კი გუშინ ჩავიწერეთ. „სარბიელის" კითხვებს პასუხობს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია.

საუბრის ბოლოს ვალერი ჩოლარიამ ისიც გვითხრა, მომავალ კვირაშიც შევხვდეთ, სათქმელი კიდევ ბევრიაო.

მაშ ასე, თემა: ქართული ფეხბურთის ბოლოდროინდელი სკანდალები...

იხილეთ მესამე გვერდი

# დინამო ძალიან გაბრაზებულა



გუშინ მცხეთაში: თსუ — კოლხეთი 3:2.
მასპინძელთა კაპიტანმა კობა ნინუამ (მარჯვნივ) გამარჯვების გოლი გაიტანა

სკანდალებით და საგანგებო მდგომარეობებით დამძიმებულ ეროვნულ ჩემპიონატს მეცამეტე ტურიც შეუმჩნევლად წამოეპარა.

თითქოს ბოლო კვირის მანძილზე არაფერი მომხდარიყოს, თბილისსა და მცხეთაში თამაშებმა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად ჩაიარა, ოღონდ ეგაა, ისედაც ინტერესმოკლებულ ჩემპიონატს ქომაგი მთლად გაუმეჩხერდა.

„დინამომ", აქაოდა, სხვების საქილიკო რა მჭირსო, სტუმარი „სამგურალი" ერთი ამოსუნთქვით გაანადგურა, ხოლო მცხეთაში თსუ-მ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძველი „კოლხეთისგან" აჩრდილიღაა დარჩენილი და ფოთელები ბედისწერას უნდა უმადლოდნენ, „ა" ზონაში რომ არ მოხვდნენ.

მეცამეტე ტური დღეს დასრულდება. სხვებთან ერთად ითამაშებენ „ლოკომოტივიც" და „მერანიც". მოკლედ, ეროვნული ჩემპიონატი ჯერჯერობით გრძელდება.

იხილეთ მეოთხე გვერდი

## საქართველოს 11 ჩემპიონატი — 13 ტური

### «ა» ზონა

19 ნოემბერი, პარასკევი

| | |
|---|---|
| დინამო | 7 |
| სამგურალი | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 13 | 10 | 1 | 2 | 35:11 | 31 |
| სიონი | 12 | 6 | 3 | 3 | 12:12 | 21 |
| ბათუმი | 12 | 4 | 7 | 1 | 10:4 | 19 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 5 | 4 | 3 | 15:11 | 19 |
| ლოკომოტივი | 12 | 4 | 2 | 6 | 16:18 | 14 |
| თბილისი | 12 | 3 | 4 | 5 | 21:26 | 13 |
| არსენალი | 12 | 2 | 3 | 7 | 10:18 | 9 |
| სამგურალი | 13 | 2 | 2 | 9 | 8:27 | 8 |

### «ბ» ზონა

19 ნოემბერი, პარასკევი

| | |
|---|---|
| თსუ | 3 |
| კოლხეთი | 2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 12 | 11 | 1 | 0 | 33:5 | 34 |
| კოლხეთი | 13 | 8 | 0 | 5 | 19:15 | 24 |
| დილა | 12 | 5 | 2 | 5 | 15:20 | 17 |
| თსუ | 13 | 4 | 4 | 5 | 12:15 | 16 |
| გორდა | 12 | 4 | 1 | 7 | 13:15 | 13 |
| მერანი | 12 | 2 | 6 | 4 | 10:11 | 12 |
| იბერია | 12 | 3 | 3 | 6 | 6:19 | 12 |
| ხობი | 12 | 2 | 3 | 7 | 15:23 | 9 |

### «ა» ზონა

20 ნოემბერი, შაბათი

თბილისი : ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია : არსენალი
ბათუმი : სიონი

### «ბ» ზონა

20 ნოემბერი, შაბათი

ტორპედო : ხობი
მერანი : გორდა
იბერია : დილა

## გერმანია

XII ტური

უნტერჰახინგი — დორტმუნდი

დიდთოვლობის გამო 1 დეკემბრისთვის გადაიდო

ვერდერი 3:1 აინტრახტი

1:0 აილტონი (3), 1:1 კუჩერა (24), 2:1 აილტონი (66), 3:1 ბოდე (90)

## II ბუნდესლიგა

XII ტური

ვალდჰოფი 0:0 ბერლინი

ფორტუნა 1:1 კიკერსი

ჰანოვერი 1:2 ზანქტ პაული

ოფენბახი 2:1 ბოხუმი

## ბელგია

XIV ტური

გენტი 0:3 ანდერლეხტი

## იტალია

სერია B. XII ტური

ჯენოა 3:1 ემპოლი

## ავსტრია

XXI ტური

რაპიდი 4:0 ლუსტენაუ

## ჩეხეთი

XIV ტური

ბოჰემიანსი 2:0 ლიბერეცი

სპარტა 6:0 სიგმა

## საფრანგეთი

XVI ტური

მეცი 2:2 მონპელიე

1:0 საჰა (18), 2:0 პადოვანო (43პ), 2:1 ლოკო (48), 2:2 დელაე (85)

პსჟ 2:0 ბასტია

1:0 სესარი (52), 2:0 ლ. ლერუა (53)

ბორდო 1:2 სენტ ეტიენი

0:1 პედრონი (6), 1:1 ალიკარტე (38), 1:2 ბუდარენე (78)

სტრასბური 0:1 ლე ავრი

0:1 ლესიგი (20)

რენი 2:2 ტრუა

0:1 ნონდა (26), 0:2 გრეგორი (65), 1:2 ჯუკიჩი (76), 2:2 მენდი (87)

## ჰოლანდია

XIII ტური

ალკმარი 2:1 ტვენტე

მაასტრიხტი 3:3 ფეიენოორდი

ნაიმეგენი 0:1 სპარტა

## ინგლისი

II დივიზიონი

გადადებული მატჩი

კოლჩესტერი 0:3 ბრენტფორდი

თასის II ეტაპი

ლუტონი 2:2 ლინკოლნი

გადათამაშება 30 ნოემბერს

## თურქეთი

IX ტური

დენიზლი 1:0 გაზიანთეფი

REUTERS ბორდოდან



ბორდო — სენტ ეტიენი 1:2. ბორდოელი მიშელ პავონი (მარჯვნივ) და სენტ ეტიენელი ბუდარენე

# ლოკომოტივი არ ნებდება

არ ცხრება „ლოკომოტივი" - „დინამოს" მატჩისგან გამოწვეული ვნებები. საგანგებო კომიტეტსა და სტკ-ს შორის მოარულმა საქმემ როგორც იქნა, გზა-კვალი ნახა და სფფ-ს მესვეურებმაც განაჩენი გამოიტანეს (შეხვედრის შედეგი ძალაში დარჩა). თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო ყველაფერი, მაგრამ ბუნებრივია, მოსარჩლე მხარე თბილისის „ლოკომოტივი" არ დააკმაყოფილა მსაჯის გადაწყვეტილებამ და მათ სარჩელით სადისციპლინო-ტექნიკურ კომიტეტზე ზემდგომ სტრუქტურას — სააპელაციო კომიტეტს მიმართეს. ეს სტკ-ს მიერ განაჩენის მიღების დღესვე (18 ნოემბერს) მოხდა და ახლა სიტყვა საპელაციო კომიტეტზე და მის უფროს თემურ ნამიჭეიშვილზეა. ვნახოთ, შეიცვლება თუ არა რამე.

ფაქტი ერთია, „ლოკომოტივი" არ ნებდება.

ლუკა თალაკვაძე

# ლაშა ჯაკობიამ სტანდარდში პირველად გაიტანა

გურამ ფილიჯანაშვილის ფოტო



ბუშინწინ ერთ-ერთმა ყველაზე პერსპექტიულმა ქართველმა ფორვარდმა ლაშა ჯაკობიამ ლიეჟის „სტანდარდის" ძირითადი შემადგენლობაში პირველად გაიტანა.

ჯაკობია ბელგიურ კლუბში სრულიად ნორჩი, თბილისის ბავშვთა კლუბ „მაისიდან" გადავიდა და ჯერ „სტანდარტის" ბავშვთა, შემდეგ ახალგაზრდულ, ბოლოს კი სარეზერვო გუნდში ასპარეზობდა.

შარშანდელ სეზონში ლაშამ „სტანდარდის" რიგებში ბელგიის პირველობის ერთი მატჩიც ჩაატარა, დანარჩენ შეხვედრებში კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ამის მიზეზი ფორვარდები, ძმები მპენზები იყვნენ, რომლებიც ბელგიის ნაკრებში თამაშობენ.

თვის დასაწყისში ლაშა „სტანდარდის" დატოვებასაც კი აპირებდა, მადრიდის „ატლეტიკოს" მეორე გუნდსაც მიაშურა, რომელიც ესპანეთის პირველ დივიზიონში გამოდის, თუმცა ბოლო მომენტში ტრანსფერი ჩაიშალა.

ესპანეთიდან დაბრუნებულ ჯაკობიას სეზონში პირველად მიეცა „სტანდარდის" ძირითადში თამაშის შანსი. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ბელგიის ნაკრებმა ორი ამხანაგური ითამაშა და ძმები მპენზებიც ნაკრებში იყვნენ მიწვეულნი.

„სტანდარდი" კი, სათამაშო პრაქტიკა რომ ჰქონდა, ბელგიის ერთ-ერთ დაბალ ლიგაში მოასპარეზე „ბარვოს" ესტუმრა ამხანაგური მატჩის გასამართად.

„სტანდარდმა" შერეული შემადგენლობით ითამაშა. მწვრთნელმა მოედანზე ძირითადის ხუთი ფეხბურთელი გაუშვა: ხორვატი მეკარე რუნიე, განელი ბლუ, ბელგიელები ერნსტი, ბისკონტი და არგენტინელი ნახევარმცველი გრანა. მათ გარდა ძირითადში ითამაშეს ლაშა ჯაკობიამ (მთელი 90 წუთი), ნიგერიელმა აფოლააიმ, კონგოელმა ლუკუნკუმ, ბელგიელებმა მარიშალმა და სელიმესამ.

მატჩი „სტანდარდის" უპირატესობით წარიმართა. ანგარიში არგენტინელმა გრანამ გახსნა, რომელიც „ბარვოს" ფეხბურთელებმა, მალევე გაქვითეს.

„სტანდარდმა" გამარჯვება ლაშა ჯაკობიას გოლით იზეიმა. ჩვენებურს ასისტენტობა კონგოელმა ლუკუნკუმ გაუწია.

ეს პირველი ბურთია, რომელიც ქართველმა ლიეჟის ძირითად გუნდში გაიტანა.

თუმცა, ამის მიუხედავად, არ არის გამორიცხული, ჯაკობიამ „სტანდარდი" დატოვოს როგორც ლიეჟი კლუბის წარმომადგენელი აცხადებს, ქართველი შესაძლოა იჯარით წაიყვანონ ფრანგულმა ან ესპანურმა კლუბებმა.

სიმონ მენაბდე

# ცხადაძე დაბრუნდა და ისევ დაშავდა

ბუშინ, 15-თვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, მეტად უიღბლო გამოდგა საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტნის, კახაბერ ცხადაძის დაბრუნება ფეხბურთში.

შეგახსენებთ, რომ ცხადაძე 1998 წლის აგვისტოში დაშავდა „ფულემთან" შეხვედრისას და მას შემდეგ მკურნალობს. მას მარცხენა ფეხის მუხლზე ჯვარედინი იოგები ჰქონდა გაწყვეტილი და გერმანიაში ორი ურთულესი ოპერაციაც გაიკეთა. „მანჩესტერ სიტიში" ზოგიერთი ცხადაძის მომავალს სკეპტიკურად უყურებდა. რამოდენიმე ჟურნალისტმა კი ივარაუდა, რომ კახი ნაადრევად დაასრულებდა კარიერას. თუმც „სიტის" მენეჯერი ჯო როილი და პრეზიდენტი დევი ბერნშტეინი მას აქტიურად გულშემატკივრობდნენ.

კახი გუშინ „მანჩესტერ სიტის" სარეზერვო გუნდთან ერთად ესტუმრა ოლდჰემს. ორივე ეს გუნდი ინგლისის „პონტის ცენტრალურ ლიგაში" თამაშობს.

დაბრუნება ცხადაძისთვის მეტად უიღბლო გამოდგა. მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როცა კახის „ოლდჰემის" თავდამსხმელი დაეჯახა და ნატკენი მუხლი დაუზიანა. ტრავმა თავიდან მეტად სერიოზული ჩანდა. მან თავისით დატოვა მინდორი. სახეზე საშინელი ტკივილით გამოწვეული ტანჯვა აღბეჭდოდა. მატჩი საბოლოოდ 2:2 დასრულდა. მოგვიანებით „სიტის" ექიმმა გულმოდგინედ გასინჯა ცხადაძე და განაცხადა, რომ ტრავმა ისეთი სერიოზული არ იყო, როგორც თავიდან ეგონათ. თუმცა მან ვერ თქვა, როდის შეძლებს კახი თამაშს.

ცხადაძეს 25-ჯერ დაუცავს საქართველოს ნაკრების ღირსება და 1 გოლიც გაუტანია. იგი ნაკრების კაპიტანიც იყო. მისი სანაკრებო კარიერა კი ვოვა გუცაევის „ნაკრების გაახალგაზრდავების" პოლიტიკას შეეწირა. ცხადაძეს „მანჩესტერ სიტიმდე" უთამაშია რუსთავის „მეტალურგში", თბილისის „დინამოში", მოსკოვის „დინამოსა" და „სპარტაკში", შვედეთის „სუნდსვალში", ვლადიკავკაზის „ალანიასა" და ფრანკფურტის „აინტრახტში".

არის საქართველოსა და რუსეთის ჩემპიონი, ბუნდესლიგის ვერცხლის პრიზიორი.

სიმონ მენაბდე



# არაბებმა სუპერთასი უძოძუაშვილოდ წააგეს

წუხელ საუდის არაბეთში აზიის სუპერთასის საპასუხო მატჩში რევაზ ძოძუაშვილის „ალ იტიჰადმა" იაპონიის ჩემპიონ „ჯუბილო ივატას" უმასპინძლა და 2:1 გაიმარჯვა.

სუპერთასი კი მაინც იაპონელებს დარჩათ: არაბებმა პირველი, იაპონური შეხვედრა 0:1 წააგეს.

რევაზ ძოძუაშვილს გუშინვე შევეხმიანეთ. გვითხრა, სუპერთასის არც ერთ მატჩში გუნდს მე არ ვხელმძღვანელობდი და სამ-ოთხ დღეში თბილისში ვიქნებიო. „ალ იტიჰადმა" კონტრაქტის 70 პროცენტი არ შეასრულაო — დასძინა მწვრთნელმა.

გიორგი ვაშაკიძე

# ვალერი ჩოლარია: ბოლომდე მსაჯებს კი არა, საკუთარ თავს არ ვენდობი

**— ბატონო ვალერი, „ლოკომოტივ“ — „დინამოს“ მატჩის არბიტრ გურამ ასკაროღლის სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე ნათქვამით დავიწყოთ. მან განაცხადა, რომ თამაშამდე მასთან „ლოკომოტივის“ წარმომადგენელი მივიდა, ჯიბეში წერილი ჩაუდო, ესა და ეს ფეხბურთელები არ გააფრთხილოო, უთხრა. თქვენ გჯერათ ასკაროღლის სიტყვების?**

— დიახ. ასკაროღლი არ არის ის კაცი, ასეთი რამ მოიგონოს. თავისი ნათქვამის დასადასტურებლად მან კომიტეტის სხდომაზე ის ფურცელიც გვაჩვენა, რომელიც მას ჯიბეში ჩაუდეს.

**— მე, მაგალითად, ისიც მჯერა, რომ ის უცნობი მართლაც „ლოკომოტივის“ წარმომადგენელი იყო. თქვენ?**

— მეც მჯერა. უცხო ამას არ გააკეთებდა.

**— მერე? არ არის ეს საკმარისი, რომ „ლოკომოტივი“ დაისაჯოს?**

— ეს იმისთვისაა საკმარისი, რომ ასკაროღლი დაისაჯოს. მას ამ ამბისთანავე საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინა ფედერაციის დელეგატი, ის ფურცელი კი ოქმისთვის დაერთო. აკი დაისაჯა კიდეც.

**— მის დასჯაზე მოგვიანებით გკითხავთ. ასკაროღლიმ ისიც განაცხადა, თითქოს უცნობმა უთხრა, მატჩი ჩაწყობილიაო. ბარათიც სწორედ ამიტომ ჩაუდო ჯიბეში, თანაც იმ კაცს დაუმატებია, ფედერაციაშიც იციან, მატჩი გარიგებული რომ არისო...**

— ბარათი რომ ჯიბეში ჩაუდეს, ეს მჯერა, გარიგებისა — არა. არ შეიძლება, თამაში ჩაწყობილი იყოს და მსაჯმა მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე პენალტი დანიშნოს იმ გუნდის კარში, რომელმაც უნდა მოიგოს.

**— იქნებ მსაჯმა მართლაც არ იცოდა, მატჩი რომ გარიგებული იყო?**

— კარგით. მაშინ ვინ იცოდა?

**— ვთქვათ, რამდენიმე ფეხბურთელმა.**

— დღეს სწორედ იმ ბრძანებას მოვაწერე ხელი, რომლის თანახმადაც, შესაბამისმა კომისიამ უნდა გაარკვიოს, ჩაწყობილი იყო თუ არა „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩი.

**— როგორ უნდა გაარკვიოს?**

— დაელაპარაკებიან გუნდების წარმომადგენლებს, ფეხბურთელებს...

**— მერე ვინ იტყვის, მატჩი ჩაწყობილი იყოო?**

— ვნახოთ. ვინ იცის, რას იტყვიან.

**— კომისიის გარეშე არც „მერანის“ დასჯა შეიძლება? ფოთის „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტმა ფედერაციის ხომ წერილი გამოუგზავნა, „მერანი“ ფოთში თამაშისას სამ ქულას გვთხოვდაო.**

— ამ შემთხვევასაც კომისია შეისწავლის. ისე კი, „მერანის“ პრეზიდენტი ნუგზარ ნავაძე რომელი გამომძიებელი გამომივიდა, რომ ამბობს, ფოთელებს იმიტომ ვთხოვდით სამ ქულას, მაინტერესებდა „კოლხეთს“ ფედერაციისგან რაიმე დირექტივა ხომ არ ჰქონდა მიღებულიო. ვერ გამიგია, ფედერაციას ამოწმებდა, „კოლხეთს“, თუ საკუთარ თავს. ერთი სიტყვით, როგორც გითხარით, ამასაც კომისია გაარკვევს.

**— კომისიის წევრები ვინ არიან?**

— ფედერაციაში არსებობს „ფეირ პლეის“ კომისია. სწორედ მისი წევრები არიან ამ კომისიაშიც. სხვათა შორის, თქვენი კოლეგებიც მიიღებენ მუშაობაში მონაწილეობას.

**— ისევ გურამ ასკაროღლიზე გკითხავთ. სამი თვით რატომ დასაჯეთ?**

— სამსაჯო კოდექსის თანახმად, თუ არბიტრი მატჩისას უხეშ შეცდომებს დაუშვებს და ყოველივე შედეგზე იმოქმედებს, მსაჯს სამთვიანი დისკვალიფიკაცია ეძლევა. ასკაროღლის შემთხვევაშიც ასე იყო, მისმა შეცდომებმა შედეგზე იქონია გავლენა. ახლა იქნებ ისიც მკითხოთ, მალაღურაძე რატომ დასაჯეთ უფრო მცირე ვადით, ვიდრე ასკაროღლიო, გიპასუხებთ...

**— კრიჭაშვილიც...**

— საქმე ისაა, რომ მათ შეცდომებს მატჩის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. „დინამო“ „ვიტ ჯორჯიასთან“ 3:1 იგებდა და მალაღურაძეს ვიტელთა მიერ გატანილი გოლი სამართლიანად რომ ჩაეთვალა, ანგარიში მაინც „დინამოს“ სასარგებლოდ იქნებოდა.

**— თქვენ გამორიცხავთ იმას, რომ ასკაროღლიმ „ლოკომოტივი“ — „დინამო“ მიკერძოებით იმსაჯა?**

— მან მეტად უხეში შეცდომები დაუშვა, მიკერძოებით არ უმსაჯია. ისე კი, მიკვირს, ყველაზე გამოცდილი მსაჯები სწორედ „დინამოს“ მატჩებისას ცდებიან, თანაც უხეშად. მალაღურაძე, გუნთაძე, აგერ, ასკაროღლი... ისიცაა, რომ მსაჯებს რაღაც უცნაური სინდრომი აქვთ. ახლაც ასკაროღლიმ სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე თქვა, „ლოკომოტივის“ კარში ასპროცენტიანი პენალტი კი დავნიშნე, მაგრამ არდანიშვნის შემთხვევაშიც ბრალს დამდებდნენ, პენალტი რატომ არ დანიშნეო. იცით, ეს დამაფიქრებელია, დავფიქრდებით კიდეც.

**— რა არის დასაფიქრებელი?**

— რატომ ფიქრობენ ასე მსაჯები.

**— ისევ ასკაროღლის განცხადებას დავუბრუნდეთ, ფედერაციაში იცოდნენ, რომ ის მატჩი ჩაწყობილი იყოო. იცოდით?**

— არა, ეს აბსურდია. ასკაროღლის განცხადება ჩემთვის დიდი მოულოდნელობა გახლდათ.

**— თქვენ იმ მატჩს ესწრებოდით. არაფერმა დაგაეჭვათ? გარიგებას ვგულისხმობ.**

— მე არა და, ასკაროღლი კი იმ დროს დაეჭვებულა, როცა პირველი პენალტი დანიშნა. აშვეთიამ მეკარეს წინასწარ რომ უთხრა, რომელ კუთხეშიც ურტყამდა ბურთს, აი, მაშინ. მანამდე მსაჯს ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. ასკაროღლი ვალდებული იყო, მატჩი შეეწყვიტა. ასე არ მოხდა. ამ დროს მე ტრიბუნიდან მოედანზე ჩაველი, სიტუაციაში გარკვევა მინდოდა. ასკაროღლისთვის დელეგატ გია ფირცხალავას მანამდე უკითხავს, მოვლენებს თუ აკონტროლებო, მსაჯს თანხმობის ნიშნად თავი დაუქნევია. თამაშიც გააგრძელა. ის არასწორად მოიქცა.

**— „ლოკომოტივ“ — „დინამოს“ მატჩის შედეგი არ გაუქმებულა, არადა, რკინიგზელები გადათამაშებას ითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემპიონატის დატოვებით იმუქრებოდნენ. ახლა რა აზრზე არიან?**

— ისინი მომდევნო ტურშიც ითამაშებენ. ამ დილით მათმა ვიცე-პრეზიდენტმა ტარიელ ღვაბერიძემ დამირეკა და მითხრა, რომ „თბილისთან“ მატჩის შემდეგ საბოლოოდ იტყვიან, გააგრძელებენ თუ არა მონაწილეობას. ჩემი დიდი სურვილია, რომ მათ ჩემპიონატში ბოლომდე ითამაშონ. ნეტავ, ყველა ქართულ გუნდს ისეთი ხალხი ხელმძღვანელობდეს, როგორებიც „ლოკომოტივს“. თუმც მათდამი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ერთსაც ვიტყვი, განცხადება, რომ მომდევნო ტურის შემდეგ იტყვიან საბოლოო პასუხს, ულტიმატუმს ჰგავს. ჩვენ კი ულტიმატუმებს არ ვიღებთ. მაგალითად, „ვიტ ჯორჯიამ“ შაბათს „არსენალთან“ ქულები რომ დაკარგოს, „ლოკომოტივი“ მოგების შემთხვევაში ოთხეულში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს. და თუ ვიტელებმა მოიგეს, რა გამოდის?

**— „ლოკომოტივი“ ჩემპიონატს აღარ გააგრძელებს?**

— არ ვიცი. მათ სადისციპლინო კომიტეტის განაჩენი გაასაჩივრეს და საქმეც საპელაციო კომიტეტს გადაეცა. ვნახოთ, რას იტყვიან ისინი „ლოკომოტივ“ — „დინამოს“ მატჩზე. და ერთიც — რკინიგზელებმა წარუმატებლობის მიზეზები თავიანთ გუნდში ეძებონ, ფედერაცია არაფერ შუაშია.



გურამ ცოლომაჯვარიშვილის ფოტო

**— ახლა „მერანზეც“. გააგრძელებენ ისინი ჩემპიონატს?**

— დიახ.

**— უკვე ესაუბრეთ გუნდის წარმომადგენლებს?**

— „მერანის“ ტექნიკურ დირექტორ ანზორ მამალაძესთან ყოველდღიური კონტაქტი მქონდა, „მერანის“ შემდგომ ბედზე ვსაუბრობდით.

**— რას ამბობდით?**

— ვიდრე ამას გეტყვით, ორ შემთხვევას გავიხსენებ, რომელიც „მერანის“ პრეზიდენტ ნუგზარ ნავაძეს ეხება. ჩვენ „მერანისთვის“ დიდი დახმარება გაგვიწევია და არ ვთქვა, არ იქნება.

ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე „მერანის“ პრეზიდენტმა გვითხრა, მონაწილეობისთვის საჭირო 10 ათასი ლარი არ გვაქვსო. ჩვენ მათ დიდსულოვნად გავუმართეთ ხელი და 10 ათასი უპროცენტო კრედიტი მივეცით. 13 სექტემბერს დაგიბრუნებთო, გვითხრეს. დღეს 18 ნოემბერია, თანხა კი არ მიგვიღია. და ყველაზე საკვირველი ისაა, რომ ნავაძე ამბობს, გუნდი ჩემპიონატში მონაწილეობას აღარ მიიღებს, მაგრამ საკონტრაქტო პირობებს ყველა ფეხბურთელს შევასრულებთო. ახლა გეკითხებით, შეიძლება, წესიერმა და პატიოსანმა კაცმა ასე გააკეთოს? ვალს დაბრუნება არ უნდა? ჩვენ „მერანი“ ყოველი ტურის წინ შეგვეძლო მოგვეხსნა ჩემპიონატიდან — ეს არ გავაკეთეთ იმიტომ, რომ ქართული ფეხბურთი წააგებდა, ახლა კი ნავაძე გამოდის და ფედერაციას ადანაშაულებს, მსაჯებს, რომლებიც ჩვენი თანამშრომლები არიან...

მეორე შემთხვევასაც გეტყვით: როცა „მერანის“ ფეხბურთელი დავითნიძე უკრაინის „ნივაში“ სათამაშოდ მიდიოდა, ნავაძემ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონიდან დამირეკა და გვთხოვა, მისი ტრანსფერისთვის ხელი არ შეგვეშალა. ჩვენ ვუთხარით, რომ საკომპენსაციო თანხის მიუღებლად ფეხბურთელი არ გაეშვათ. ახალგაზრდაა, საქართველოში ველარ გაიზრდება, წავიდესო. მივეცით სერთიფიკატი. მერე კი, როცა საქმე საქმეზე მიდგა, „მერანმა“ ფედერაციაში „ნივასთან“ შეთანხმების ფურცელი მოიტანა, აი, ნახეთ, „ნივამ“ 20 ათასი უნდა გადაგვიხადოს და არაფერს გვაძლევენო. დახმარება გვთხოვეს. მინდა ყველამ იცოდეს, ტრანსფერი კლუბის საქმეა, ჩვენ მხოლოდ შესაბამის სერთიფიკატს ვიძლევით და არანაირი ტრანსფერიდან პროცენტს არ ვიტოვებთ.

**— ძველი ფედერაციისგან განსხვავებით, რომელიც 10 პროცენტს ითხოვდა.**

— არ ვიცი, ძველი ფედერაცია რას ითხოვდა.

**— ის აღარ დაგიმთავრებიათ, „მერანის“ ტექნიკურ დირექტორთან შეხვედრისას რა თქვით.**

— შესაძლებლობისამებრ არბიტრები ობიექტურად იმსაჯებენ-მეთქი, ვუთხარი. ახლა ისეთი დროა, რომ თითქმის ყველა გუნდს აეჭვებს მსაჯთა პატიოსნება. ადრე ამისი საფუძველი მართლაც ჰქონდათ, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა. ჩვენ პატიოსნებისთვის ვიბრძვით.

**— შესაძლებლობისამებრო, რომ თქვით, ეს როგორ გავიგოთ?**

— ისე გაიგეთ, როგორც ვთქვი. მე მსაჯს კი არა, ბოლომდე ჩემს თავს არ ვენდობი. დღეს და გუშინ, მაგალითად, ხუთმა მსაჯმა მითხრა, შინ დამირეკეს გუნდების წარმომადგენლებმაო. ისე იცოდეთ, რომ ჩვენ ისეთ შემთხვევებსაც ვებრძვით, როგორიც „ლოკომოტივ“ — „დინამოს“მატჩის დაწყებამდე მოხდა. მსაჯს რომ ჯიბეში ფურცელი არავინ ჩაუდოს და სხვა მისთანებს... სხვათა შორის, აქვე გეტყვით, დღეის შემდეგ ყველა მსაჯს მხოლოდ ანატოლი მილჩენკო დანიშნავს და პასუხსაც ყველაფერზე ის აგებს. ის დანიშნავს, მე შევამოწმებ და პრეზიდენტს შევუთანხმებ. არავითარი სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი.

**— რას ფიქრობთ, რატომ ამბობდნენ უარს ჩემპიონატში მონაწილეობაზე „მერანი“ და „ლოკომოტივი“?**

— ის მითხარით, რატომ მსგავსი არაფერი წამოსცდენიათ „დინამოს“, „ტორპედოს“, „ბათუმს“, ფოთელებს, გორელებს? იცით, ეს ჩემთვის ნაცნობი ხრიკებია. ფიქრობენ, ახლა ასეთ განცხადებას გავაკეთებთ, ფედერაცია შეშინდება, ჩემპიონატი რომ არ დავტოვოთ და მსაჯები თუ არ დაგვეხმარებიან, ობიექტურები მაინც იქნებიანო. ეს ყველაფერი ეჭვიანობაა. ძველ დროს იყო ამგვარი ფაქტები და ახლაც ასე ჰგონიათ. ფედერაციაში მოსვლის დღიდან ჩვენ როგორც გითხარით, ობიექტურობისთვის, პატიოსნებისთვის ვიბრძვით და ასევე გავაგრძელებთ. ჩვენ ყველა გუნდს დავეხმარებით, „მერანის“ მაგალითიც კმარა, „არსენალს“ ავტობუსიც ვუქირავეთ და ბათუმში სათამაშოდ გავუშვით. კიდევ შეიძლება ბევრი ამგვარის თქმა. ვიმეორებ, ასე ყველას დავეხმარებით, მაგრამ თამაშების ჩაწყობა? არა, ეს არ მოხდება. ჩვენ ამას არ დავუშვებთ.

**— სიტყვა ერთია, საქმე მეორე...**

— ჩვენი პრინციპი საქმიდანაც ჩანს. ასეთი დაძაბული ჩემპიონატი ჯერ საქართველოში არ ჩატარებულა და ამისთვის მზად ბევრი მსაჯი არ იყო, რასაც თავადაც ამბობენ. თუ რამ შეცდომები მოსდით, ისევ თავიანთი მოუმზადებლობის გამო. ის კი, ვინც შეგნებულად რომელიმე გუნდის სასარგებლოდ იმსაჯებს, გარწმუნებთ, მეორე დღესვე ჩამოშორდება ეროვნულ ჩემპიონატს.

**— კეთილი. ახლა იმასაც გკითხავთ, ფედერაციას თავის დებულება ერთხელ მაინც თუ დაურღვევია?**

— არა, არასდროს. ზოგიერთს ასე ჰგონია, მაგრამ კარგად წაიკითხონ, ჩვენთან მოვიდნენ, ყველაფერს ავუხსნით და ყველაფერში გაერკვევიან.

**— დებულება არ დაგირღვევიათ, რაში შემცდარხართ?**

— ვფიქრობდით, მსაჯები ჩემპიონატამდე კარგად მოვამზადეთ, ორი შეკრებაც გავუხერხეთ, სემინარებიც ჩავუტარეთ, მაგრამ, თავადაც ხედავთ, მაინც... შეცდომებისთვის ისინი უფრო მკაცრად უნდა დაგვესაჯა.

ახლა ცნობილი მსაჯი პონე გვეწვევა, რომელიც, სხვათა შორის, უკრაინაში მიდიოდა, მაგრამ ამას წინათ ერიხ ეპლეს ვთხოვეთ, დაგვეხმარა და იგი სულ ცოტა ხანში გვესტუმრება, უკრაინას საქართველოს შემდეგ ეწვევა. ჩვენც მისი გვეიმედება, სამი დღე სემინარებს ჩაუტარებს ქართველ მსაჯებს ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებამდე და ალბათ მსაჯობის ხარისხიც გაუმჯობესდება.

სხვა შეცდომა არ დაგვიშვია, მხოლოდ მსაჯები. ისინი უფრო მკაცრად დასასჯელები იყვნენ, უფრო კარგად განსწავლულები უნდა ყოფილიყვნენ.

**ქობა ინასარიძე**




## იყოს თავისთვის

რატომ ტარდება საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში?

ალბერტ აინშტაინიც ვერ გვიპასუხებდა.

ალალად შევაწუხებდით იმ კაცს, ცოცხალი რომ იყოს. ვუამბობდით ყველაფერს და ვთხოვდით, ეგებ შენი გენიალური ტვინით გვიბრძანო, რა საჭიროა ისეთი შეჯიბრი, რომელსაც არაფერი მოაქვსო.

არაფერი მოაქვსო?

ამის გამო ეგებ ქოქოლაც დაგვაყარონ (თუ ქოქოლა იკმარეს კარგია, იმიტომ რომ წიხლაობა მიღებული ამბავია ჩვენს ფეხბურთში) კიდეც, მაგრამ ფეხბურთს არ მოაქვს მთავარი — ხალხის ჯანსაღი ინტერესი და სიხარული.

ამიტომ, ჩემპიონატი ჩემპიონატისთვის არსებობს და ადამიანთა იმ წრისთვის, ვინც მექანიკურად შერჩენია ტრიბუნებს. სტადიონებზე ბევრი ხალხი დადისო, გაიგონებთ ხოლმე.

რამდენიც არ უნდა დადიოდეს, წარმოუდგენელია ერთი ამათგანი მაინც კმაყოფილი იყოს თავისი გუნდით და ფეხბურთით. ეჭვი მაქვს, რომ ბევრ გულშემატკივარს ის კი არ უხარია, რომ ფეხბურთში, სპორტულ ორთაბრძოლაში იმარჯვებს, არამედ ის, რომ ყველანაირი ხერხით ამარცხებს მოწინააღმდეგეს. იქ რომ გლადიატორები იბრძოდნენ და სისხლი ილვრებოდეს, ეს „ბევრი გულშემატკივარი“ ბედნიერი იქნებოდა.

ამიტომ ფეხბურთი არაფერ შუაშია.

ხშირად, ეს არის მაყურებლის პირადი აგრესიის დაკმაყოფილება და არა სპორტის ქომაგობა.

ახლა ამბობენ, ეს გუნდი გავა ჩემპიონატიდან პროტესტის ნიშნადო, ის გუნდი გავაო, სხვანიც მიჰყვებიანო.

მგონია, რომ არავინ გავა, მაგრამ ამის ახსნას სვეტი არ ეყოფა. თუმცა, რომც გავიდეს, არაფერი შეიცვლება, იმიტომ რომ ფეხბურთი საქართველოში არ არის სპორტული პროცესი.

ბევრი რამ არის ქვეყნად ასეთი, მაგრამ ფეხბურთი ჩანს. იმიტომ, რომ არაფერია ფეხბურთზე სახალხო.

ბატონო ალბერტ, რატომ ტარდება საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში?

ბატონი ალბერტი: ბევრს ვერას მოგახსენებთ. ეგებ იმიტომ, რომ გამოირკვეს ვინ გახდება ჩემპიონი და ვინ ითამაშებს ორ მატჩს აგვისტოში რომელიმე უცხოურ გუნდთან?

ჰო, მაგრამ ამისთვის ღირს ამხელა ჩემპიონატის ჩატარება და ამდენი სკანდალის ცქერა?

კი მაგრამ ფეხბურთელები? ფეხბურთელობა ხომ, ასე თუ ისე, სამუშაო ადგილია? ჩვენს ქვეყანაში კი სამუშაო ადგილები ჭირს. ერთადერთი გამართლება იმისა, რომ ჩემპიონატი ამნაირად ტარდება, სწორედ ეს შეიძლება იყოს — ბიჭებს აქვთ სამუშაო ადგილები. ისინი დასაქმებულნი არიან. და ვინ ოხერი იტყვის, რომ მათ ეს ადგილები დაკარგონ?

მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, რაღა გვინდა ფეხბურთისგან? რატომ ვწერთ ფეხბურთზე, რატომ გადმოვცემთ ტელევიზიით და რატომ ვცდილობთ, რომ ხალხი დაინტერესდეს ჩვენი პირველობით? ხომ არ ვწერთ ამდენ სუპერმარკეტებში, სამინისტროებში ან თუნდაც პრესაში დასაქმებულ ადამიანებზე?

თუ ასეთი უნდა იყოს, იყოს თავისთვის.

განა ეს ფეხბურთი იქნება? ფეხბურთი ხალხისთვისაა და არა თავისთვის. სხვანაირად ფეხბურთი არ არის.

და ვთქვათ, ცრემლით და დარდით — ეს ფეხბურთი არ არის...

საქართველოს 11 ჩემპიონატი 13 ტური

# ბედნიერი შეხვედრა

თბილისი
19 ნოემბერი
15 საათი
ეროვნული
200 (ტევადობა 75 000)

**დინამო 7:1 სამგურალი**

1:0 წიტაიშვილი (10), 2:0 აშვეთია (24), 3:0 ალექსიძე (29), 4:0 შენგელია (38), 5:0 ალექსიძე (74), 6:0 ვაშაკიძე (76), 6:1 ძოძუაშვილი (85პ), 7:1 წიტაიშვილი (88)
**დინამო**: გრიშიკაშვილი (ლომაია 46), ხიზანეიშვილი (პ. ჯინჭარაძე 46), დიდავა, შაშიაშვილი, ვაშაკიძე, ა. სახვაძე, ალექსიძე, სიჭინავა, გ. შენგელია (ს. გიგიაძე 73), აშვეთია, წიტაიშვილი
*სათადარიგონი:* კობიაშვილი,. ღლონტი, ვ. გიგიაძე
**სამგურალი**: ბოდოკია, ზურაბიანი (სადილიანი 46), ფრანგიშვილი, ქელიძე, ვოსკანოვი, სუხიაშვილი, ძაგნიძე (ნებიერიძე 76), ჭყონია (ზ.ფხაკაძე 33), ღონღაძე, ი.ხაჭაპურიძე, ძოძუაშვილი
*სათადარიგონი:* ო. ბობოხიძე; კოხრეიძე, გაბლაია
**გაფრთხილება**: ხაჭაპურიძე (12), ვოსკანოვი (17)
**მსაჯები**: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
**სფფ-ის დელეგატი**: ა. ბაჩუკაშვილი

ხვიჩა სანიკიძე

სუსხიანი შემოდგომის მიუხედავად, „ა“ ზონის, თბილისის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობამ — „დინამომ“, გუშინ წყალტუბოს მხარიდან ჩამოტანილი ნობათი ჩაიბარა და მოსავალი კიდევ უფრო შეივსო. ამ ფაქტს დიდი ყურადღებით აკვირდებოდა ორასიოდე კაცი და დამთვლელი კომისიის წარმომადგენელი დაინტერესებული რეგიონიდან — ქუთაისელი ავთო შალამბერიძე. როგორც მოგეხსენებათ, მისი მშობლიური ქალაქის კოლმეურნეობა — „ტორპედო“, „ბ“ ზონაში გეგმის გადაჭარბებით შესრულებას ლამობს და დღეს ხობელებისგან ძღვენის საზეიმო ვითარებაში მიღებას შეეცდება.

შეჯიბრება ხსენებულ ორ კოლმეურნეობას შორის დასკვნით ფაზაში შედის და ბევრი ჩვენგანი სულმოუთმენლად ელის ზამთრის დადგომას, კერძოდ — დეკემბერს, როცა მოწინავეთა პირადი შეხვედრა იმერეთის მიწაზე მოხდება. დიდი იმედი მაქვს, რომ ის შეხვედრაც ისეთივე ბედნიერი იქნება, როგორც გუშინდელი, „დინამოს“ მონაწილეობით...

მართლაც ცოტა რამ ყოფილა საჭირო ბედნიერებისთვის. როცა მეტოქენი ალალ ბრძოლაში არკვევენ ყველაფერს, როცა უხარია გოლის გატანა ფეხბურთელს, მწვრთნელსაც, როცა ხედავს, რომ ერთი ათი თავით ძლიერი მეორეზე, მაგრამ არ ჩერდება, ცდილობს, ამ სიცივეში მის საცქერლად მისულ მაყურებელს ასიამოვნოს, როცა სუსტი საბრალო თვალებით არ შეცქერის მოწინააღმდეგეს და არ ეხვეწება, მეტი აღარ გამიტანოო, როცა ერთ სულიერსაც არ წამოსცდება, შეხვედრა ჩაწყობილიაო და როცა მსაჯს არც აგინებენ და არც სცემენ...

მსაჯზე გამახსენდა. მისი ვინაობა მხოლოდ მატჩის დღეს გაცხადდა. „სამგურალის“ ფეხბურთელებმაც, გასახდელიდან მოედანზე გასახურებლად რომ მიდიოდნენ, დიდი ინტერესით იკითხეს, ვინ გვიმსაჯებსო.

იფიქრებდით, ჩემპიონატში უმოტივაციოდ დარჩენილი წყალტუბოელები ჩემპიონთან საომრად არიან განწყობილნი და ობიექტურ მსაჯობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენო. საამისოდ საბაბიც ჰქონდათ. პირველ წრეში შინ „დინამოსთან“ დამარცხებული „სამგურალი“ ხომ წაგების ერთ-ერთ მიზეზად მსაჯის მიერ მატჩის რამდენიმე წუთით უსაფუძვლოდ შეწყვეტას ასახელებდა.

თქვენც არ მომიკვდეთ. ეს ფაქტი, ვგონებ, სტადიონზე მყოფთაგან მხოლოდ სამიოდე ჟურნალისტს გვახსოვდა, სტუმრებს კი კარგა ხნის მივიწყებული ჰქონდათ...

ბოლო დროის მანძილზე, გუშინ პირველად ვიხილე „სამგურალის“ ასეთი უსუსური თამაში და „დინამოს“ ხალისიანი, პროფესიული მოქმედება. ამდენი სამართლიანი თუ უსამართლო კრიტიკის შემდეგ ეტყობა, მოსწყინდა ჩვენს მარად ჩემპიონს დუმილი და ერთობ ხმაურიანი ანგარიშით გაანადგურა სოსო ბზიკაძის შეგირდები. აი, ასეთი მწამს ჩემპიონი და არა ისეთი, როგორც მაშინ...

რვავე გოლის აღწერას აზრი არა აქვს. ჩათვალეთ, რომ ფეხბურთს მხოლოდ მასპინძლები თამაშობდნენ და სტუმრები თვალს აყოლებდნენ მათ მოქმედებას.

პირველი ხუთი ბურთი დინამოელებმა მარცხენა ფლანგიდან წამოწყებული შეტევებისას გაიტანეს. არჩილ სახვაძემ სამი საგოლე პასი მიითვალა. ორი გადაცემა ფეხით, ერთი კი ხელებით შეასრულა. სახვაძის მარცხენა ფეხით ჩაწოდებულები აშვეთიამ და ალექსიძემ თავით გაიტანეს, აუტიდან საჯარიმოში ჩაგდებული ბურთი კი ალექსიძემ მარცხენა ფეხის მოქნევით მოათავსა ბადეში.

წიტაიშვილს ორივე გოლის გატანაში სტუმართა მცველები წამოეხმარნენ. თუმცა პირველ შემთხვევაში აშვეთიამ ითამაშა გარკვეული როლი. მისი დარტყმული ბურთი „სამგურალის“ მცველის ფეხიდან მიუგორდა კარის ხაზიდან 3 მეტრში მდგარ წიტაიშვილს, მეორე შემთხვევაში კი წყალტუბოელმა ფრანგიშვილმა ჩააბარა ბურთი მასვე და დინამოელმაც 18 მეტრიდან დაბალი გაუტანა წინ გამოსულ მეკარეს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვაშაკიძის გოლი. მასპინძელთა მცველმა 30 მეტრიდან ყუმბარისებურად გაისროლა, ბურთმა ხარიხას ჩაუქროლა და ბადე ... არხია. აქამდე ირაკლი ვაშაკიძის მხოლოდ თავით გატანილი გოლები მენახა და არ დაგიმალავთ, სახტად დავრჩი. ისე, ჩემნაირ მდგომარეობაში ბევრი სხვაც აღმოჩნდა, ერთი თავად ვაშაკიძეს არ გაჰკვირვებია, რაც ჩაიდინა.

ბედნიერნი იყვნენ გუშინ „დინამოს“ ნორჩი გულშემატკივრები. მერე რა, რომ ეროვნული ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში მოიგო ჩემპიონმა და თანაც უფუნქციოდ დარჩენილ „სამგურალთან“. მთავარი ის იყო, დინამოელებმა პატივის სცეს მატჩის სანახავად მისულ მცირერიცხოვან გულშემატკივრებს და საკუთარ პროფესიას.

მართლაც ბედნიერი შეხვედრა იყო. ფეხბურთელებს გოლების გატანა არ ეზარებოდათ, ბურთის ბადეში გახვევა უხაროდათ და ხალხიც ხარობდა.

ყველაფერი, რაც ფეხბურთს უხდება, როგორ უნდა მოგენატროს კაცს?

ამ სკანდალებმა, მგონი, რაღაც დასკვნამდე მიიყვანა მწვრთნელ-ფეხბურთელები...

ჰოდა, ბედნიერ შეხვედრამდე!



დინამოელმა მიხეილ აშვეთიამ წყალტუბოელთა კარში მეორე გოლი გაიტანა

# მთავარია მონდომება

მცხეთა
19 ნოემბერი
15 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

**თსუ 3:2 კოლხეთი**

1:0 ადამია (21), 1:1 შალამბერიძე (44პ), 1:2 ბულუხია (68), 2:2 ადამია (80), 3:2 ნინუა (83)
**თსუ**: მერლანი, სვანაძე, ნინუა, წუწუნავა (გ.ნოზაძე 89), ადამია, მესხი, გ. გოცირიძე, თ. ბოკერია, გ. გვაზავა (გ. მიქაძე 76), ერაძე, დ.არჩვაძე
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ინწკირველი, ჯობაძე, დ. ხომერიკი
**კოლხეთი**: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, შალამბერიძე, დავითნიძე, კედელაშვილი, ტრაპაიძე (მელაძე 80), ხუჭუა (ბულუხია 46), ე. გვასალია, კიკლიაშვილი, ღაღანიძე
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; პაპავა, ჯღარკავა, ჭოხონელიძე, ანჯაფარიძე
**გაფრთხილება**: ნინუა (12), ხუჭუა (12), სვანაძე (56), ტრაპაიძე (79)
**მსაჯები**: ა. მეშკოვი; მ. ელიკაშვილი, ვ. ჩოჩიშვილი; ლ. სილაგავა (ყველა თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი**: ა. დურსუნიში

ვანო ოქროპირიძე მცხეთიდან

ამ მატჩის ორივე მონაწილემ ჩემპიონატის წინ „ბ“ ზონის პირველ ოთხეულში მოხვედრა დაისახა მიზნად. ფოთის „კოლხეთმა“ ეს ამოცანა კი შეასრულა, მაგრამ ახლა რაც შეიძლება მეტი ქულის მოპოვებას ცდილობს, რათა გაზაფხულს სოლიდური მარაგით შეხვდეს და შემდეგ ევროტურნირზე გასასვლელადაც იბრძოლოს. აი, თსუ-ს საქმე კი სხვაგვარად იყო. მიზნის მისაღწევად თსუელებს ფოთელებთან მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს. მასპინძლები თამაშამდე ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი და „კოლხეთს“ დიდ ბრძოლას ჰპირდებოდნენ.

თსუ-მ დანაპირები აასრულა. ფოთელებს ღირსეული მეტოქეობა გაუწია და მატჩის მიწურულს ჰაერივით საჭირო სამი ქულაც მოიპოვა.

მთავარი მონდომებააო, ნათქვამია. ვლადიმერ ხაჩიძის შეგირდებმაც სწორედ მონდომების ხარჯზე გაიმარჯვეს. ახალგაზრდა თსუელებმა თავი არ დაზოგეს და დაუფასდათ კიდეც.

ჯერ ისე რა მდგომარეობაშია ჩვენი საფეხბურთო მინდვრები და თამაშამდე მოსული წვიმა რას უზამდა „არმაზის“ გაყვითლებულ საფარს, თავად განსაჯეთ. მოედანზე გუბეებიც მრავლად იყო, რომლებიც ბურთს თამაშის დროს ხშირად აჩერებდნენ. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა თავიდანვე აქტიურად დაიწყეს შეხვედრა. „კოლხეთი“ კი მთელი პირველი ტაიმი ძალიან პასიურად გამოიყურებოდა, მათი თითქმის ყველა შეტევა თსუ-ს საჯარიმოს მისადგომებთან იშლებოდა.

პირველი საგოლე მომენტი მე-7 წუთზე სტუმართა კართან შეიქმნა. ერაძის ჩინებული თამაშის შემდეგ ბოკერია ვალდებული იყო, გაეტანა, მაგრამ ახლოდან თავით დარტყმული ოდნავ ასცდა მიზანს. მალე გვაზავას შეეძლო თავის გამოჩენა, თუმცა მანაც ვერ ივარგა. 21-ე წუთზე კი გოლიც გავიდა. ფოთელები ხელოვნური თამაშგარეს შექმნისას შეცდნენ, სვანაძემაც თავისი ნახევრიდან გრძელი პასით ადამია კარიდან წინ გამოსულ გვასალიასთან პირისპირ გაიყვანა, მასპინძელმაც მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი და ლამაზი გოლი გაუტანა. ამის მერე ფოთელები ოდნავ გამოცოცხლდნენ და თამაშიც გათანაბრდა, თუმცა თსუ უფრო მწვავედ უტევდა.

მიუხედავად ამისა, მასპინძლები შესვენებაზე მაინც ნირწამხდარნი წავიდნენ. ტაიმის ბოლო წუთებზე დაცვამ უხეში შეცდომა დაუშვა. ფოთელთა პირველი დალაგებული შეტევაც გოლით დაგვირგვინდა. მეკარესთან პირისპირ დარჩენილი ხუჭუას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი შალამბერიძემ ზუსტად გამოიყენა — 1:1.

მეორე ნახევარი „კოლხეთმა“ აქტიურად დაიწყო. თსუ დაღლილი ჩანდა. სტუმრებმაც ისარგებლეს ამით და ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს. განსაკუთრებით სათამაშო კლასში გამოჩნდა სხვაობა. ეს არც არის გასაკვირი, „კოლხეთი“ ხომ ბევრად უფრო გამოცდილი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. უპირატესობის ხელში ჩაგდებას კი მალე თსუ-ს კარში მეორე გოლი მოჰყვა. ხუჭუას ნაცვლად შემოსულმა ბულუხიამ საჯარიმოში, კარისკენ ზურგით მდგომმა მიიღო ბურთი, თუმცა ნახევარბრუნში დარტყმა მაინც შეძლო. მარცხენა ცხრიანში მიმავალ ბურთს მერლანმა თვალი გააყოლა. ბევრმა მატჩის ბედი აქ (69-ე წუთზე) გადაწყვეტილად ჩათვალა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მარცხს თსუ-ც შეურიგდა, თუმცა დაახლოებით 5 წუთის შემდეგ მასპინძლები აფეთქდნენ და ისეთივე თავდადებით ათამაშდნენ, როგორც შეხვედრის დასაწყისში. შედეგიც უმალ მოიმკეს. ჯერ ადამიამ ისარგებლა გამოსვლაზე გვასალიას შეცდომით და ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი კარში. 83-ე წუთზე კი ანგარიშის გათანაბრებით ფრთაშესხმულმა მასპინძელთა კაპიტანმა კობა ნინუამ გაიტანა და თსუ-მაც უზომოდ გაიხარა. სიხარული კინაღამ ბოლო წუთზე ჩაშხამდათ, თუმცა გოცირიძემ იმარჯვა, როდესაც გოროზიას თავური კარის ხაზიდან გამოიტანა. დრამატული მატჩიც მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა — 3:2.

ახლა თსუ-ს მიზნის მისაღწევად ბოლო ტურშიც გამარჯვება დასჭირდება. 28 ნოემბერს თსუელები რუსთავში, „გორდას“ სტუმრობენ, რომელიც ასევე ოთხეულში მოსახვედრად იბრძვის. სავარაუდოდ, ყველაფერი იქ გადაწყდება.



გიორგი დავითნიძისა (მარცხნივ) და გრიგოლ გვაზავას საჰაერო დუელს მსაჯი ალექსანდრე მეშკოვი აკონტროლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რომარიოს შურისძიება

ბრაზილიაში საზოგადოებრივი აზრი ელვისებურად იცვლება. მაგალითი გნებავთ? ინებეთ. სულ რაღაც ერთი კვირის წინ „ფლამენგოს" ქომაგები რომარიოს ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვდნენ. ოთხშაბათს მათი სათაყვანებელი გუნდი „ინტერნასიონალს" ხვდებოდა. ტრიბუნებზე ამჯერად შემდეგი შინაარსის ტრანსპარანტები გაჩნდა: „გთხოვთ, აპატიეთ რომარიოს", „ფლამენგოს" გულშემატკივრები ვგლოვობთ". წერა-კითხვის უცოდინართა გასაგონად კი გაისმოდა: „რომარიო, რომარიო".

რამ მოუბრუნა ხალხს გული? იმან, რომ ყოფილი ვარსკვლავის არყოფნა გუნდს დაეტყო. ოთხშაბათს გულშემატკივრებს იმედის უკანასკნელი ნაპერწკალი ჩაუქრათ. „ფლამენგო" და „ინტერნასიონალი" ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ, მაგრამ თამაში მეტად პრინციპული იყო. საქმე აი, რაშია.

გუნდები, რომლებიც რვა საუკეთესოს შორის ვერ მოხვდნენ და გავარდნაც არ ემუქრებათ, სანუგეშო ტურნირს ატარებენ. გამარჯვებულები იმ კლუბებს შეუერთდებიან, ვინც ჩემპიონობისთვის ბრძოლას მეოთხედფინალებიდან გამოეთიშა. მათ შორის გამარჯვებული კი გაისად სამხრეთ ამერიკის ლიბერტადორესის თასის გათამაშებაში ჩაებმება. ზემოთ ნახსენები შეხვედრა „ფლამენგოსა" და „ინტერნასიონალს" შორის ფრედ, 1:1 დასრულდა. ამით „ფლამენგოს" ამბიციასაც, ლიბერტადორესის თასზე ესპარეზა, წერტილი დაესვა. იმ დღეს სტადიონზე შეკრებილი 3 ათასი ერთგული ქომაგი (რაც ბრაზილიური მასშტაბებით მეტად მცირეა) შინ დაღვრემილი დაბრუნდა. იხტიბარს ერთი კაცი არ იტეხს. იგი „ფლამენგოს" პრეზიდენტი ედმუნდო სანტოს სილვაა. მან განაცხადა: „გულშემატკივრებს ვთხოვ, იმედს ნუ დაკარგავენ. პირობას გაძლევთ, გაისად ყველაფერს მოვიგებთ, რისი მოგებაც ჩვენს კონტინენტზე შეიძლება. უდიდესი სურვილი მაქვს, კლუბის ისტორიაში საუკეთესო პრეზიდენტის სახელი მოვიხვეჭო". ღმერთმა ხელი მოუმართოს.

ამასობაში კი რომარიო შურის საძიებლად ემზადება. მოგეხსენებათ, თანაქალაქური დერბი ყველა ქვეყანაში მეტად პრინციპული რამაა. ასეა ბრაზილიაშიც. რიო დე ჟანეიროში ორი დიდი კლუბია — „ფლამენგო" და „ვასკუ და გამა". შესაბამისად, ისინი ერთმანეთს ვერ იტანენ.

რომარიომაც „ვასკუს" მიაშურა. ხუთშაბათს ამ კლუბის დირექტორატის სხდომა ჩატარდა. მასზე ფეხბურთელის შეძენის საკითხი განიხილეს. აღსანიშნავია, რომ ვეტერანი ვარსკვლავის საფეხბურთო კარიერა სწორედ ამ კლუბში დაიწყო.

# ხულიგნები სტადიონზე

გაისად ბელგია — ჰოლანდიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ჩატარდება. ვისაც ამის შესახებ ჯერ არაფერი გაუგია, შეუძლია გაზეთი არც წაიკითხოს.

ისე მოხდა, რომ ტურნირის ორგანიზატორთა და სამართალდამცავთა სურვილები ერთმანეთს არ დაემთხვა. ევროპული ფეხბურთის გრანდები შეჯიბრის საგზურებს ადრევე დაეუფლნენ. გასარკვევი მხოლოდ ინგლისის საკითხი რჩებოდა. ალბიონელთა გარეშე ჩემპიონატს დაძაბულობა ოდნავ, მაგრამ მაინც დააკლდებოდა. და აი, ინგლისი გავიდა. თითქოს ყველა კმაყოფილია, გამონაკლისს პოლიცია წარმოადგენს. იქაური კანონის დარაჯები არც ისე გულუბრყვილოები არიან, რომ იფიქრონ, ინგლისელებს ჩემპიონატზე ჩამოსასვლელად ერთი თვითმფრინავი ეყოფათო. მათ იციან, კუნძულელები კონტინენტს მოაწყდებიან — გემით, მანქანით, მატარებლით, თვითმფრინავით, ზოგი იქნებ ფეხითაც (რა კარგი რამ არის ლამანშის ქვეშ გაყვანილი გვირაბი). ჰოდა, პოლიციელთა თავსატეხიც ეს არის. ჩვენ თუ გავიგეთ ბრიტანელი გულშემატკივრების ხულიგნობის ამბავი, მათ მით უმეტეს იციან. ადგილობრივი მოსახლეობაც შეშფოთებულია. ამ ქვეყნების მოქალაქეები მშვიდად ცხოვრობენ, კანონს, როგორც წესი, არ არღვევენ, ღამით ქუჩაში გამოსვლისაც არ ეშინიათ. ამაზე იტყვიან, მე მიცავს ჩემი მილიციაო. სამართალდამცავებიც ვალდებულნი არიან, ავტორიტეტს გაუფრთხილდნენ და ჩემპიონატის დღეებში სიმშვიდე უზრუნველყონ.

აღნიშნული საკითხის თაობაზე ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალენ კურტისმა თქვა: „მოხარული ვარ, რადგან ევროპის ჩემპიონატზე კონტინენტის ყველა საუკეთესო გუნდი ითამაშებს. არგენტინა ბრაზილიის წყვილიც რომ ყოფილიყო, ნამდვილ მსოფლიოს ჩემპიონატს მივიღებდით. ორგანიზაციული თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგშია, თუმცა მთავარ ყურადღებას უსაფრთხოების საკითხებს ვუთმობთ. გვინდა, მთელ მსოფლიოს დავანახოთ, რომ ორ პატარა ქვეყანას მსგავსი გრანდიოზული შეჯიბრის იდეალურად გამართვა შეგვიძლია. არეულობებს არ დავუშვებთ. ასეთი განზრახვის მქონეთ არანაირი შანსი არ ექნებათ. პოლიციას დამატებით უფლებები მივეცით. ისინი ყველა საეჭვო პიროვნებას დააკავებენ".

ხულიგნებთან საბრძოლველად ბელგიელი და ჰოლანდიელი პოლიციელები შეთანხმებულად იმოქმედებენ. 12 დეკემბერს წილისყრა ჩატარდება. რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, მის შედეგებს ყველაზე დიდი ინტერესით სამართალდამცავები ელიან. ჰოლანდიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა ანეტ დიჯსკტრამ თქვა: „ჩვენ სერიოზულად ვემზადებით, თუმცა საბოლოო გეგმას წილისყრის შემდეგ შევიმუშავებთ. იმის ცოდნა, რომელი გუნდი სად ითამაშებს, მუშაობის სწორად წარმართვაში დაგვეხმარება".

ბრიუსელის პოლიციის შეფი უფრო გულახდილი იყო: „ჩვენ ყველა გულშემატკივარს გავაკონტროლებთ. რომელი ეროვნების იქნებიან ისინი, მნიშვნელობა არა აქვს. რასისტები ხომ არა ვართ. თუმცა დაახლოებით ვიცით, საფრთხე საიდანაც მოდის. წილისყრის შედეგებიც ამიტომ გვაინტერესებს. ინგლისი ჰოლანდიას თუ დაუპირისპირდა, სრული მობილიზაცია გვმართებს. ამავე დროს სლოვენია — ნორვეგიის მატჩის დროს შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ".

პოლიციის მზადყოფნის გარდა ორგანიზატორებმა უსაფრთხოების სხვა ზომებსაც მიმართეს. ერთ პიროვნებაზე მხოლოდ ორი ბილეთი გაიცემა. თავის მხრივ, ბილეთებიც პერსონალური იქნება — თითოეულ მათგანზე მფლობელის სახელი ჩაიბეჭდება.

# სლოვენია გამარჯვებას ზეიმობს

სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში ეროვნული გუნდის წარმატებას ათასობით ადამიანი ალტაცებით შეხვდა. მათ ხუთშაბათს უკრაინიდან დაბრუნებულ ფეხბურთელებს ქუჩებში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. შეგახსენებთ, რომ ქვეყნის ნაკრებმა ევრო 2000-ის საგზური მას შემდეგ მოიპოვა, რაც შესარჩევი პლეი ოფის ორმატჩიან შეხვედრაში უკრაინის ნაკრები ჯამში 3:2 დაამარცხა. მეორე თამაში, რომელიც კიევში, თოვლიან ამინდში გაიმართა, ფრედ 1:1 დასრულდა.

„ვერც კი წარმომედგინა, რომ ჩვენს მოსალოცად ქუჩაში ამდენი ხალხი გამოვიდოდა" — განაცხადა ნაკრების კაპიტანმა დარკო მილანიჩმა. ქვეყანაში ფეხბურთი არ არის ნომერ პირველი სპორტი, იქ ხამთო თხილამურები და ჰოკეი უფრო პრესტიჟულად ითვლება.

თუმცა, სლოვენიური ფეხბურთის ბოლოდროინდელმა წარმატებებმა ამ ტრადიციას შესაძლოა ძირი მოურყიოს."

წლეულს ევროპაში კიდევ ერთი სლოვენიური გუნდი გამოჩნდა, ქვეყნის ჩემპიონი „მარიბორი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ გათამაშებაში მოხვდა. მართალია, მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდა, მაგრამ ჯგუფის ფავორიტებს მეტად საჭირო ქულები აართვა.

# ირლანდია არ ჩივის

ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ ისინი არ აპირებენ საჩივრის შეტანას უეფაში იმასთან დაკავშირებით, რაც ქალაქ ბურსაში თურქეთ — ირლანდიის, ევრო 2000-ის საპლეიოფო მატჩის შემდეგ მოხდა.

მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ კი მოვლენები ერთობ დრამატულად განვითარდა. მასპინძელი თურქები ევროპის ჩემპიონატზე გასვლას ზეიმობდნენ. ამ დროს მეტოქე ფეხბურთელებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა, კერძოდ, ირლანდიელი თავდამსხმელი ტონი კასკარინო და მასპინძელთა მცველი ბესერლერი წალაპარაკდნენ. ისედაც აღფრთოვანებულ ფიცხ თურქ გულშემატკივარს კიდევ ეს უნდოდა. რამდენიმე მათგანი საქმის გასარჩევად მინდორზეც კი გადახტა დროშებით და საყვირებით შეიარაღებული. საბოლოოდ სტუმრები, ირლანდიელი ფეხბურთელები, პოლიციამ ესკორტით მიაცილა გასახდელამდე. მოკლედ, დიდი წარმოდგენა არც სჭირდება იმას, რა მოხდებოდა იმ საღამოს ბურსას სტადიონზე.

მატჩის შემდგომი მოვლენების ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა ტონი კასკარინომ განაცხადა: „სულ უმნიშვნელო საკითხზე მომივიდა მცველთან ინციდენტი, რაც ალბათ ზედმეტმა ნერვიულობამ გამოიწვია. იგი ამის გამო მეუხეშა. იძულებული გავხდი, თავი დამეცვა, თუმც როცა ირგვლივ მიმოვიხედე, დავინახე, რომ გაავებული ხალხი ჩემსკენ მოიწევდა. ბედად იქვე პოლიცია გაჩნდა და გასახდელისკენ მიმაცილა, თორემ არ ვიცი, რა მომელოდა."

მოკლედ, ირლანდიელები გაოგნებულნი დარჩნენ, თუმც უეფაში ჩივილს მაინც არ აპირებენ. „პროტესტს და ჩივილს არ ვაპირებთ, უეფას ოფიციალურმა მეთვალყურეებმა თავად იხილეს ყოველივე. ალბათ, დასკვნებსაც ისინი გააკეთებენ.

უეფას პრესატაშემ ამის თაობაზე განაცხადა, რომ ისინი უახლოეს მომავალში მოისმენენ მეთვალყურეთა პატაკს შექმნილ სიტუაციაზე და ზომებს მალევე მიიღებენ.

# პელე — ფეხბურთის მეფიდან სპორტის მეფემდე

მეოცე საუკუნე იწურება. მთელ მსოფლიოში ათასგვარი კონკურსები ეწყობა — საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს ასახელებენ. აკი ჩვენც მოვაწყვეთ მსგავსი გამოკითხვა და უდიდესი ქართველი სპორტსმენები კიდევ ერთხელ დავაფასეთ.

ამჯერად, XX საუკუნის უდიდესი სპორტსმენის გამოვლენა სააგენტო „როიტერმა" ითავა. ადგილები ასე განაწილდა: პელე, მუჰამედ ალი, კარლ ლუისი. მოგეხსენებათ, პელე ფეხბურთის მეფის სახელსაც ატარებს.

პელეს მსოფლიოს ოთხ ჩემპიონატზე უთამაშია. პირველად ეს 1958 წელს მოხდა. მაშინ ამომავალი ვარსკვლავი მხოლოდ 17 წლის იყო. ყმაწვილი ფეხბურთელი თავიდანვე უდიდესი ნიჭით და ჯენტლმენური ხასიათით გამოირჩეოდა, მას ვარსკვლავური სენიც არ აწუხებდა. პელემ მაშინვე დაიპყრო ქომაგთა გულები. ნახევარფინალში ფრანგებთან მან ჰეთ თრიქი შეასრულა. ფინალში ბრაზილიელებმა მასპინძლებს, შვედებს სძლიეს. მათ მიერ გატანილი ხუთი გოლიდან ორი ახალბედა ვუნდერკინდის ანგარიშზე გახლდათ.

სანაკრებო დებიუტი პელეს მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე ჰქონდა. ბრაზილია არგენტინას ხვდებოდა. ეს გუნდები ერთმანეთთან ყოველთვის უშელავათოდ და პრინციპულად თამაშობენ, ამიტომ მწვრთნელები ექსპერიმენტების ჩატარებას ერიდებიან. მაშინ 11 საუკეთესო ბრაზილიელს შორის 16 წლის პელეც მოხვდა. მწვრთნელი არ შემცდარა — ახალწვეულმა ბურთი შეაგდო.

პელესთვის ბურთის ართმევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. შესაბამისად, მოწინააღმდეგის მცველები ხშირად სცოდავდნენ — აკრძალულ ილეთებს ხმარობდნენ. 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში ფეხბურთელი სერიოზულად დაშავდა და ასპარეზობას გამოეთიშა.

პელესთვის მომდევნო, ინგლისის ჩემპიონატიც უიღბლო გამოდგა. ის ტურნირის დაწყებისთანავე დაამტვრიეს. გამწარებულმა დაიფიცა, მსოფლიოს ჩემპიონატებზე აღარასოდეს ვითამაშებო და მთელი ყურადღება „სანტოსში" გამოსვლაზე გადაიტანა.

პელემ „სანტოსში" თამაში 1956-ში, 15 წლისამ დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელმა კლუბს ბოლომდე უერთგულა. ის მხოლოდ კარიერის დასასრულს გადავიდა ნიუ იორკის „კოსმოსში". პირველივე სეზონში პელე გუნდის ბომბარდირი გახდა. მან 32 გოლი შეაგდო. გავიდა კიდევ ცამეტი წელი და 1969 წელს პელემ თავისი მეათასე გატანილი ბურთი იზეიმა.

ლეგენდარული ბრაზილიელი მაღალი არ არის. ამის მიუხედავად, „მეორე სართულზე" ბრძოლა მას არასდროს გასჭირვებია. „მფრინავი პელე" — ასეც უწოდებდნენ ფეხბურთელს (მფრინავის სახელს ლეგენდარულ მაიკლ ჯორდანს მოგვიანებით შეარქმევენ). პელეს უამრავი გოლი გაჰქონდა, მაგრამ ის არ ყოფილა სუფთა თავდამსხმელი, ბრწყინვალე პლეიმეიკერიც იყო. მოედნის და პარტნიორების მისეული ხედვა განსაცვიფრებელია.

პელემ თამაშს 20 წლის წინ დაანება თავი. შემდეგ ის „მსოფლიოს ელჩად" გადაიქცა. ფეხბურთის მეფე ჰუმანიტარული მიზნით განვითარებად ქვეყნებში მოგზაურობდა, ფეხბურთის პროპაგანდასაც არ ივიწყებდა. 1995-98 წლებში ბრაზილიის პრეზიდენტმა მას სპორტის მინისტრის პოსტი ანდო.

თუმცა მანამდე 1970 წელი იყო. პელე ნაკრებს დაუბრუნდა, რისთვისაც მთელმა მსოფლიომ მას მადლობა უთხრა. მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატი პელეს კარიერის ზენიტი აღმოჩნდა. ის თვით ბრაზილიის ნაკრებში გამოირჩეოდა, რომლის ყველა ფეხბურთელი ვარსკვლავი გახლდათ. მექსიკაში ბრაზილიელებმა სამუდამოდ დაისაკუთრეს ჟიულ რიმეს თასი.

ეროვნულ გუნდში ბოლო, 111-ე მატჩი პელემ 1971 წელს გამართა. სამი წლის შემდეგ კი „სანტოსიდანაც" წავიდა. კლუბში ჩატარებულ 1363 შეხვედრაში მან 1281 გოლი გაიტანა. ამის შემდეგ „სანტოსში" 10-ნომრიან მაისურას აღარავის აძლევდნენ.



REUTERS ვენიდან

გუშინ პელემ ვენის სპორტის ვარსკვლავთა დიდების დარბაზში ფეხის ანაბეჭდი დატოვა

# იუბილარი 100 დიდი ბარსა

## FC BARCELONA

ბარსელონა, ესპანეთი

დაარსდა 1899 წლის 29 ნოემბერს

პრეზიდენტი ხოსეპ ლუის ნუნიესი

მწვრთნელი ლუის ვან გაალი (ჰოლანდია)

სტადიონი კამპ ნოუ (ტევადობა 120 000)

ესპანეთის ჩემპიონი (16): 1929, 45, 48, 49, 52, 53, 59, 60, 74, 85, 91, 92, 93, 94, 98, 99

სამეფო თასის მფლობელი (24): 1910, 12, 13, 20, 22, 25, 26, 28, 42, 51, 52, 53, 57, 59, 63, 68, 71, 78, 81, 83, 88, 90, 97, 98

ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1): 1992

ფინალისტი (3): 1961, 86, 94

თასების მფლობელთა თასის მფლობელი (4): 1979, 82, 89, 97

ფინალისტი (2): 1969, 91

უეფას თასის მფლობელი (3): 1958, 59, 66

ფინალისტი (1): 1962

ევროპის სუპერთასის მფლობელი (2): 1992, 97

ფინალისტი (3): 1979, 82, 89

საკონტინენტთაშორისო თასის ფინალისტი (1): 1992 (დამარცხდა ბრაზილიის „სან პაულუსთან" 1:2)



„ბარსელონას" დამფუძნებელი ჰანს გასპერი



„ბარსელონა" ასი წლი წინ



70-იანი წლები. იოჰან კრუიფი

### დასაწყისი

ამბობენ, „ბარსელონა" ესპანური ფეხბურთის დასაწყისის დასაწყისიაო. ზოგი ესპანელი მიმომხილველი ამტკიცებს, რომ კატალონიელებზე ადრე ფეხბურთს ბასკეთში, კერძოდ ბილბაოში თამაშობდნენ, მაგრამ ეს საკითხი თავად ესპანელთათვისაც დღემდე დაუდგენელია. ერთი რამ კი ცხადია, „ბარსელონამ" ესპანეთში პირველმა მიიღო პროფესიული კლუბის სტატუსი და 1929 წელს ქვეყნის პროფესიული ლიგის პირველი გათამაშებაც მოიგო.

კლუბის დაარსების ოფიციალურ თარიღად 1899 წლის 29 ნოემბერს მიიჩნევენ. დამფუძნებელი ვინმე შვეიცარიელი ჰანს გასპერი ყოფილა. ცნობარებში მას ესპანური ვარიანტით, ხუან გასპერად მოიხსენიებენ. „ბარსას" ისტორია ასეთი სიტყვებით იწყება: კლუბი ჰანს გასპერმა და კიდევ თერთმეტმა მოხალისემ დააარსესო. მერე გასპერი წლების განმავლობაში პატრონობდა თავის პირმშოს და დროგამოშვებით, 1908-დან 1925 წლამდე, ხუთჯერ ეკავა კლუბის პრეზიდენტის პოსტი. რას წარმოიდგენდა მაშინ შვეიცარიელი, რომ ნელ-ნელა „ბარსა" მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად იქცეოდა. დღეს კატალონიურ გუნდს ელიტის ელიტას მიაკუთვნებენ. მის ტრადიციებს, ვარსკვლავთსიმრავლესა და ფანტასტიკურ ინფრასტრუქტურას ერთეულები თუ გაუტოლდებიან. ამ გუნდის მაისურას მორგება ნებისმიერი მოთამაშისთვის დიდი პატივია. აი, რას ამბობს ფინელი იარი ლიტმანენი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაც მოუგია, საკონტინენტთაშორისო თასიც და „აიაქსიდან" კატალონიაში წლეულს გადავიდა: „მიწვევები მქონდა ინგლისიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, მაგრამ ყველას „ბარსელონა" ვარჩიე, რადგან უდიდესი კლუბია. ბარსელონაში ჩინებული სტადიონი, ერთგული გულშემატკივარი და ფანტასტიკური მოთამაშეები არიან. ისინი ყოველთვის მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძვიან. ერთი სიტყვით, იქ არის ყველაფერი, რაც კარგ ფეხბურთელს სჭირდება". აი, ასეთია საუკუნემოყრილი სუპერკლუბი. მაშინ კი...

დაარსებიდან რამდენიმე დღეში, კერძოდ 6 დეკემბერს, გუნდმა პირველი მატჩი გამართა. მეტოქედ ინგლისელი მეზღვაურები ჰყავდათ. სტუმრებს ის თამაში 1:0 მოუგიათ. მერე კი დაიწყო და დაიწყო... 1910 წელს „ბარსამ" ესპანეთის თასის ფინალში მადრიდის „ესპანიოლი" 3:2 დაამარცხა და თავისი პირველი ჯილდო მოიპოვა. კატალონიელი ჟურნალისტების მტკიცებით, 20-იან წლებში „ბარსელონას" ისტორიაში საუკეთესო გუნდი ჰყავდა. მაშინდელი ფეხბურთელების გვარები ქართველ მკითხველს ბევრს ვერაფერს ეტყვის. ერთი კაცი კი აუცილებლად აღსანიშნავია. გუნდის კარს ლეგენდარული რიკარდო ზამორა იცავდა. 1929 წელს ესპანეთის პირველი ჩემპიონატი გაიმართა, რომელშიც ათი კლუბი მონაწილეობდა. „ბარსამ" 25 ქულა მოაგროვა და ჩემპიონი გახდა. მეორეზე მისი დაუძინებელი მტერი მადრიდის „რეალი" გავიდა, მესამეზე ბილბაოს „ატლეტიკი".

40-იან წლებში მეორე მსოფლიო და სამოქალაქო ომების თანხვედრამ ესპანეთი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. კატალონია და კერძოდ ბარსელონა კი ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის გული გახლდათ. ადამიანებს საჯაროდ აზრის გამოთქმა და მიტინგების მოწყობა ეკრძალებოდათ, ამიტომ თავისუფალი აზრის გამოხატვის ერთადერთი საშუალება სტადიონი გახლდათ. „ბარსას" მატჩებზე დასწრება ეროვნულობისა და პატრიოტიზმის საქმეც გახდა. ეს განწყობა იქაურებს დღემდე შემორჩათ.

50-იან წლებში ესპანურ ფეხბურთში უცხოელებიც გამოჩნდნენ. ოღონდ მაშინ მათ ერთი აუცილებელი პირობა უნდა შეესრულებინათ — იქაური მოქალაქეობა მიეღოთ. „ბარსაში" გამოჩნდნენ ბრაზილიელი ევარისტო, პარაგვაელი მარტინესი, უნგრელები: კუბალა, კოჩიში და ციბორი. მათ დიდი კვალი დატოვეს კლუბის ისტორიაში. ოდნავ მოგვიანებით კატალონიელთა

**„ბარსელონას" მწვრთნელები 1950 წლიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1950-54 | დაუშიკი | 1971-75 | რინუს მიხელსი |
| 1954-55 | პუპო | 1975-76 | ვაისვაილერი |
| 1955-56 | პლატკო | 1976-78 | რინუს მიხელსი |
| 1956-58 | ბალმანია | 1978-79 | მიულერი |
| 1958-60 | ელენიო ერერა | 1979-80 | რიფე |
| 1960-61 | ბროშიკი | 1980 | ელენიო ერერა |
| 1961-62 | ორისაოლა | 1980 | კუბალა |
| 1961-62 | მირო | 1980-81 | ელენიო ერერა |
| 1962 | კუბალა | 1981-83 | უდო ლატეკი |
| 1962-63 | გონსალვო II | 1983-84 | ლუის სესარ მენოტი |
| 1963-64 | სესარი | 1984-87 | ტერი ვენეიბლზი |
| 1964-65 | სასოლი | 1987-88 | ლუის არაგონესი |
| 1965-67 | ოლსენი | 1988-96 | იოჰან კრუიფი |
| 1967-69 | არტიგიასი | 1996-97 | რობერტ (ბობი) რობსონი |
| 1969-70 | სეგერი | 1997-დან | ლუის ვან გაალი |
| 1970-71 | ბუკინგემი | | |



50-იანი წლების ბოლო. მარცხნიდან: ვილავერდე, კუბალა, მარტინესი, სუარესი და ციბორი




„ბარსელონას" უამრავი ერთგული ქომაგი ჰყავს

ეროვნული ბიბლიოთეკა



80-იანი წლები. დიეგო მარადონა



90-იანი წლები. რონალდო

შემადგენლობაში ლეგენდარული ლუის სუარესიც ჩაირიცხა. ამ კაცს რამდენიმე წელიწადი ევროპაში ბადალი ძნელად თუ მოეძებნებოდა.

ამავე პერიოდს ემთხვევა „ბარსელონას" ევროდებიუტიც. 1955 წელს ევროთასებზე მისი პირველივე გამოსვლა ტრიუმფით დამთავრდა. ბაზრობათა (დღევანდელი უეფას) თასის ფინალში ინგლისური „ბირმინგემ სიტი" დაამარცხა და თასის მფლობელი გახდა (თუმც ეს გათამაშება ორ წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა და 1958-ში დასრულდა). მას შემდეგ „ბარსამ" კიდევ ორჯერ მოიპოვა ეს პრიზი. ევროპაში ყველაზე მეტჯერ — ოთხჯერ ფლობდა თასთა თასს, ორჯერ ევროპის სუპერთასს და ერთხელაც ჩემპიონთა თასს.

„ბარსა" იმ იშვიათ კლუბებს ეკუთვნის, რომლებსაც სამივე ევროთასი მოუპოვებიათ. ასეთი კი სულ ოთხია ევროპაშიბ „ბარსელონა", აიაქსი", „იუვენტუსი" და „ბაიერნი". ამით კატალონიელები განსაკუთრებით ამაყობენ. რატომაც არა, სწორედ ამ მაჩვენებლით ჯობნიან მადრიდის „რეალს" (მადრიდელებს, აწ უკვე გაუქმებული თასთა თასი არ მოუგიათ). „რეალთან" დაპირისპირება კი მათთვის ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანია. უბრალო მაგალითი, 1997 წელს ინგლისელი ბობი რობსონის მწვრთნელობით, „ბარსამ" თასთა თასი მოიგო, მაგრამ ესპანეთის ჩემპიონი „რეალი" გახდა და რობსონიც გაათავისუფლეს...

საშინაო ასპარეზზე კი „ბარსელონასთვის" საუკეთესო 90-იანი წლებია. დროის ამ მონაკვეთში კლუბი ექვსჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და სამჯერ მოიგო მეფის (ეროვნული) თასი. დღეისათვის „ბარსა" ესპანეთის თექვსმეტგზის ჩემპიონია და მხოლოდ „რეალს" (27) ჩამორჩება.

## კრუიფი და ბარსა

ლეგენდარული ჰოლანდიელი იოჰან კრუიფი ორჯერ მივიდა „ბარსელონაში". 1973-78 წლებში მოთამაშედ, ხოლო 1988-96-ში მწვრთნელად. თუ ვინმეზე ითქმის, კატალონიელთა სიმბოლოაო, პირველ რიგში ეს, ალბათ სწორედ კრუიფია. მან აღიარა კიდეც, ორი სამშობლო მაქვს, ერთი ჰოლანდია და მეორე კატალონიაო.

1973-ში ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ უცხოელ ფეხბურთელებზე დადებული ყადაღა მოხსნა და კლუბებს საერთაშორისო სატრანსფერო ბაზარზე გაუხსნა გზა. ამიერიდან მათ მოქალაქეობის შეუცვლელად შეეძლოთ ესპანეთში თამაში. მას შემდეგ „ბარსაში" უამრავმა მსოფლიოს დონის ვარსკვლავმა ითამაშა: ნეესკენსმა, კრანკლმა, სიმონსენმა, მარადონამ, შუსტერმა, ლინეკერმა, რონალდ კუმანმა, რომარიომ, მიქაელ ლაუდრუპმა, სტოიჩკოვმა, რონალდომ... ყველას ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ კრუიფი მათშიც გამორჩეულია. „მფრინავი ჰოლანდიელი" გუნდის ნამდვილი ლიდერი და მშვენება გახლდათ. მწვრთნელობისას კი „ბარსას" ყველაზე პრესტიჟული ჯილდო ევროპის ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა. 1992 წლის 20 მაისს ლონდონის „უემბლის" სტადიონზე ფინალში, კატალონიელებმა იტალიური „სამპდორია" დაამარცხეს (1:0). გადამწყვეტი გოლი დამატებით დროში კრუიფის თანამემამულემ რონალდ კუმანმა გაიტანა. მაშინ „ბარსას" შემსრულებლებიც ჩინებული ჰყავდა: სუბისარეტა, კუმანი, გვარდიოლა, მიქაელ ლაუდრუპი, სალინასი, სტოიჩკოვი... მანამდე, 1989-ში კრუიფის ხელმძღვანელობით გუნდმა თასთა თასი მოიგო. და კიდევ, ოთხჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი და ერთხელაც ქვეყნის თასს დაეუფლა...

## დღეს

ახლანდელი „ბარსა" ისტორიის ღირსეული მემკვიდრეა. საუკუნის თავზე კატალონიელებს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ჰყავთ, როგორც ესპანეთში, ისევე მთლიანად ევროპაში. წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში მათ წარმატებით გაიარეს პირველი ჯგუფური ეტაპი და, რაც მთავარია, შესანიშნავი თამაში აჩვენეს. მიმომხილველები ერთსულოვნად აღნიშნავენ, თუ „ბარსამ" თამაშის ასეთი ხარისხი და ორგანიზაცია გაზაფხულამდე შეინარჩუნა, ჩემპიონთა თასს ვერავინ შეეცილებაო. შესაძლოა, ეს მოსაზრება მართალიც იყოს. ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა, რომელიც მესამე წელიწადია, გუნდში მუშაობს, ვგონებ, ბოლო წლების არასტაბილურობის გასაღებს მიაგნო, „ბარსას" თამაში საიმედო გახდა დაცვაშიც და შუა ხაზშიც, შეტევის პრობლემა კი მათ არასოდეს ჰქონიათ.

გაზაფხულზე ვან გაალს ხშირად საყვედურობდნენ, გუნდი ჰოლანდიელებით გაავსეო. მართლაც, რუდ ჰესპს, მიხაელ რაიციგერსა და უინსტონ ბოგარდს, მწვრთნელმა ჯერ პატრიკ კლუივერტი, ფილიპ კოკუ და ბუდევინ ზენტენი, შემდეგ კი ტყუპი დე ბურებიც მიამატა. და კიდევ, რამდენიმე ჰოლანდიელია მწვრთნელთა ბანაკშიც, რომელთაგან ყველაზე ცნობილი რონალდ კუმანი გახლავთ. ეს ამბავი კატალონიელებს თავიდან ერთობ აშფოთებდათ, მაგრამ „ბარსამ" მოგება მოგებას მიაყოლა, ზაფხულში ესპანეთის ჩემპიონიც გახდა და მას მერე „ჰოლანდიური საკითხი" არავის გახსენებია.

სეზონებსშუა სატრანსფერო ბაზარზე, წინა წლებისგან განსხვავებით, კლუბს დიდი ხმაური არ აუტეხია. ერთადერთი ცნობილი ფეხბურთელი, რომელიც „ბარსამ" შეიმატა, ვან გაალის ძველი ნაცნობი, „აიაქსის" ფინელი ნახევარმცველ-თავდამსხმელი იარი ლიტმანენი იყო, ამას ამსტერდამულ კლუბთან კონტრაქტი დამთავრებოდა და თავისუფალი აგენტის სტატუსით კატალონიელებმა მუქთად მიიღეს.

შემოდგომაზე ჩვეულად ათამაშდა ტრავმამოშუშებული კაპიტანი ხოსეპ გვარდიოლა. მან იმდენად კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რომ უმალ ესპანეთის ნაკრებშიც დააბრუნეს.

ვან გაალის ტოტალური ფეხბურთი, როგორც წესი, 3-4-3 სათამაშო სქემას ითვალისწინებს. სამი წინახაზელი რივალდო — კლუივერტი (ან ლუის ენრიკე) — ფიგუ კი გუნდის მშვენებაა. ბრაზილიელი და პორტუგალიელი კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებენ. რივალდო საერთოდ შეუდარებელია და წლეულს ევროპისა თუ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობის დიდი შანსიც აქვს.

ოფიციალურად საუკუნისა „ბარსა" 29-ში ხდება და ამ ამბავს კატალონიის დედაქალაქში, ცხადია, საგანგებოდ აღნიშნავენ. თუმც საიუბილეო განწყობა მთელ წელიწადს გრძელდება. გუნდი ამ თარიღთან დაკავშირებული საგანგებო მაისურებით თამაშობს. ზაფხულში კი „კამპ ნოუს" სტადიონზე „ბარსელონას" ბრაზილიის ნაკრები ესტუმრა, რომელშიც ყოფილი და ახლანდელი ბარსელები — რომარიო, რონალდო და რივალდო გამოდიოდნენ. საიუბილეო მატჩს ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩიც დაესწრნენ. თამაში ფრედ — 2:2 დამთავრდა. შემდეგ კი ელიტარული სადილი გაიმართა, სადაც ყველა ის ფეხბურთელი მიიწვიეს, რომელსაც ოდესმე „ბარსელონას" მაისურა მოურგია.

სხვათა შორის, წლეულს კლუბის სხვა პროფესიულმა გუნდებმაც არ შეირცხვინეს თავი. „ბარსას" კალათბურთელები და ხელბურთელები ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ.

საიუბილეო წელი კიდევ ერთი რამით გახლდათ გამორჩეული. სპორტული წარმატებების გარდა, ხელმძღვანელობამ კომერციულ საქმიანობაშიც იყოჩალა. კლუბმა ხუთი წლით გაყიდა მატჩების ტრანსლაციების უფლება და დაახლოებით 400 მილიონი დოლარით გაიმდიდრა სალარო.

დღეს კლუბის პრეზიდენტის, ხოსეპ ლუის ნუნიესისა (ამ პოსტზე 1978 წლიდან მუშაობს) და ლუის ვან გაალის მთავარი მიზანი კვლავ მაქსიმალურია — ესპანეთის პირველობისა და ჩემპიონთა ლიგის მოგება.



1999 წელი. დგანან: უინსტონ ბოგარდი, მიგელ ანხელ ნადალი, მიხაელ რაიციგერი, კარლოს ბუსკეტსი, რივალდო, დრაგან ჩირიჩი, ფრანც ჰოკი (მეკარეების მწვრთნელი), ლუის ვან გაალი (მთავარი მწვრთნელი), გერარდ ვან დერ ლემი და რონალდ კუმანი (მწვრთნელები)
სხედან: ალბერტ სელადესი, როხერ გარსია, სერხი, ბუდევინ ზენდენი, ლუიშ ფიგუ, ხავი ერნანდესი, სონი ანდერსონი, ფრანსისკ არნაუ

სოლომონ გულისაშვილი

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 ნოემბერი | | | |
| 018 | ჰერტა — კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 019 | შალკე — ვოლფსბურგი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 020 | ლევერკუზენი — ჰანზა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 021 | შტუტგარტი — ულმი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 022 | ბაიერნი — ფრაიბურგი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | 21 ნოემბერი | | | |
| 023 | ჰამბურგი — არმინია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 024 | დუისბურგი — მიუნხენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 ნოემბერი | | | |
| 029 | მიონხენგლადბახი — კოტბუსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 030 | მაინცი — ფიურტი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 21 ნოემბერი | | | |
| 031 | კარლსრუე — ალემანია | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 032 | ნიურნბერგი — ობერჰაუზენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 22 ნოემბერი | | | |
| 033 | ქემნიცი — კიოლნი | 2,5 | 2,8 | 2,6 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 ნოემბერი | | | |
| 034 | არსენალი — მიდლსბრო | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 035 | დერბი — მანჩესტერ იუნაიტედი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 036 | ევერტონი — ჩელსი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 037 | ლიდსი — ბრედფორდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 038 | ლესტერი — უიმბლდონი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 039 | საუთჰემპტონი — ტოტენჰემი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 040 | სანდერლენდი — ლივერპული | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 041 | უოტფორდი — ნიუკასლი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 21 ნოემბერი | | | |
| 042 | ვესტ ჰემი — უენსდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 22 ნოემბერი | | | |
| 043 | ქოვენთრი — ასტონ ვილა | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XIX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 ნოემბერი | | | |
| 044 | ბარნსლი — ბირმინგემი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 045 | ბლექბერნი — ფულემი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| 046 | ბოლტონი — გრიმსბი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 047 | ჩარლტონი — მანჩესტერ სიტი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 048 | ჰადერსფილდი — ვესტ ბრომვიჩი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 049 | პორტ ვეილი — კრისტალ პალასი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 050 | პორტსმუთი — ქრიუ | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 051 | ქუინზ პარკი — უოლსოლი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 052 | სტოკპორტი — შეფილდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 053 | ტრანმერი — ნოტინგემი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 054 | ვულვერჰემპტონი — სუინდონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 21 ნოემბერი | | | |
| 055 | ნორვიჩი — იფსვიჩი (17[30]) | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 ნოემბერი | | | |
| 057 | ჩესტერფილდი — როვერსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 ნოემბერი | | | |
| 058 | პიტერბრო — მაკლსფილდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XVI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 ნოემბერი | | | |
| 064 | მარსელი — ოსერი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 065 | ლიონი — ლანსი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 066 | მონაკო — სედანი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| 067 | ნანტი — ნანსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 ნოემბერი | | | |
| 068 | კრეტეი — გენგამი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 069 | ნიორი — ლე მანი | 2,8 | 2,7 | 2,4 |
| 070 | ვასკეალი — კაენი | 3,0 | 2,7 | 2,3 |
| 071 | ტულუზი — კანი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 072 | ლუანი — ვალანსი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 073 | შატორუ — ლორიანი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 074 | აიაჩო — გენიონი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 075 | ნიცა — სოშო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 076 | ლავალი — ამიენი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | 21 ნოემბერი | | | |
| 077 | ნიმი — ლილი | 2,7 | 2,8 | 2,4 |

### იტალია. სერია A. X ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 ნოემბერი | | | |
| 078 | ფიორენტინა — პერუჯა | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 079 | უდინეზე — ბოლონია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 21 ნოემბერი | | | |
| 080 | ბარი — რეჯინა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 081 | ინტერი — ლეჩე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 082 | პარმა — კალიარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 083 | რომა — ლაციო | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 084 | ვენეცია — პიაჩენცა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 085 | ვერონა — ტორინო | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 086 | იუვენტუსი — მილანი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### იტალია. სერია B. XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 21 ნოემბერი | | | |
| 088 | ალძანო — რავენა | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 089 | ბრეშა — კიევო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 090 | ჩეზენა — სავოია | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 091 | მონცა — პისტოიეზე | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 092 | სალერნიტანა — ფერმანა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 093 | ტერნანა — პესკარა | 2,4 | 2,6 | 2,9 |
| 094 | ტრევიზო — კოზენცა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 095 | ვიჩენცა — ატალანტა | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| | 22 ნოემბერი | | | |
| 096 | ნაპოლი — სამპდორია | 2,2 | 2,7 | 3,2 |

### იტალია. სერია C1/A. XI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 21 ნოემბერი | | | |
| 097 | ალბინოლეფე — სპალ (17[30]) | 2,5 | 2,6 | 2,8 |
| 098 | ბრეშელო — ლივორნო (17[30]) | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 099 | კარარეზე — ვარეზე (17[30]) | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 100 | ჩიტადელა — მონტევარკი (17[30]) | 1,3 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 101 | კომო — ლუმეცანე (17[30]) | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 102 | კრემონეზე — სიენა (17[30]) | 2,4 | 2,6 | 2,9 |
| 103 | ლუკეზე — სანდონა (17[30]) | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 105 | პიზა — ლეკო (17[30]) | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| | 22 ნოემბერი | | | |
| 104 | მოდენა — რეჯანა | 2,7 | 2,6 | 2,6 |

### იტალია. სერია C1/B. XI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 21 ნოემბერი | | | |
| 106 | ანკონა — აველინო (17[30]) | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 107 | ასკოლი — ჯულიანოვა (17[30]) | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 108 | ბენევენტო — ლოდიჯანი (17[30]) | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 109 | კატანია — სტაბია (17[30]) | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 110 | ფ. ანდრია — არეცო (17[30]) | 2,4 | 2,6 | 2,9 |
| 111 | გუალდო — დი სანგრო (17[30]) | 2,1 | 2,6 | 3,5 |
| 112 | ნოჩერინა — მარსალა (17[30]) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 113 | პალერმო — კროტონე (17[30]) | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 114 | ვიტერბეზე — ატლეტიკო (17[30]) | 1,7 | 2,7 | 5,6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ესპანეთი. I დივიზიონი XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 ნოემბერი | | | |
| 115 | რეალი — სოსიედადი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 116 | ვალენსია — ბარსელონა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 21 ნოემბერი | | | |
| 117 | ალავესი — რასინგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 118 | ბეტისი — სარაგოსა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 119 | ვალიადოლიდი — სელტა | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 120 | ნუმანსია — რაიო ვალეკანო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 121 | ბილბაო — ატლეტიკო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 122 | დეპორტივო — სევილია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 123 | მალაგა — ოვიედო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 124 | ესპანიოლი — მალიორკა | 2,1 | 2,8 | 3,3 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 ნოემბერი | | | |
| 125 | ალბასეტე — ლას პალმასი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 21 ნოემბერი | | | |
| 126 | ხეტაფე — კომპოსტელა (14[30]) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 127 | ეიბარი — ოსასუნა (15[00]) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 128 | სპორტინგი — უელვა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 129 | ტენერიფე — ტოლედო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 130 | ლევანტე — მერიდა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 131 | ვილიარეალი — ატლეტიკო B | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 132 | ელჩე — ლეგანესი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 133 | ბადახოსი — კორდობა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 134 | სალამანკა — ლოგრონიესი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 135 | ესტრემადურა — ლეიდა | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### პორტუგალია. XI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 ნოემბერი | | | |
| 136 | ბოავიშტა — სეტუბალი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 137 | პორტუ — ბენფიკა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 21 ნოემბერი | | | |
| 138 | ჟილ ვისენტე — ფარენსე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 139 | რიუ ავე — ამადორა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 140 | ალვერკა — სანტა კლარა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 141 | კამპომაიორენსე — მარიტიმუ | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 142 | ბრაგა — სალგეირუში | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 143 | ბელენენსეში — სპორტინგი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 144 | ლეირია — გიმარაეში | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### ჰოლანდია. XIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 ნოემბერი | | | |
| 148 | დენ ბოსხი — ვალვაიკი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 149 | სიტარდი — გრააფსხაპი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 150 | ჰერენვენი — ვიტესი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 151 | ტილბურგი — როდა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 21 ნოემბერი | | | |
| 152 | აიაქსი — უტრეხტი (17[30]) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 153 | კამბური — პსვ | 6,5 | 3,6 | 1,4 |

### ბელგია. XIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 ნოემბერი | | | |
| 155 | გენკი — აალსტი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 156 | სტანდარდი — ბეერსხოტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 157 | შარლერუა — ლოკერენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 158 | მუსკრონი — სენტ ტრუიდენი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 159 | ბევერენი — ბრიუგე | 5,0 | 3,6 | 1,5 |
| 160 | ლიერსი — ლომელი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 161 | მეხელენი — გეელი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| | **21 ნოემბერი** | | | |
| 162 | ვესტერლო — ჰარელბეკე | 1,6 | 3,1 | 5,3 |

### საბერძნეთი. VIII ტური

21 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 163 | ირაკლისი — კალამატა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 164 | პროდეფტიკი — პანიონიოსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 165 | ეთნიკოსი — პანილიაკოსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 166 | პანაჰაიკი — აპოლონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 167 | პანათინაიკოსი — ოლიმპიაკოსი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 168 | ქსანთი — კავალა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 169 | პაოკ — იონიკოსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 170 | ოფი — ტრიკალა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 171 | აეკ — არისი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ჩეხეთი. XIV ტური

20 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 174 | ბანიკი — ჰ. კრალოვე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | **21 ნოემბერი** | | | |
| 175 | დუკლა — ოპავა (16:30) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 176 | იაბლონეცი — ვიკტორია (16:30) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 177 | ტეპლიცე — დრნოვიცე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 178 | ბუდეიოვიცე — სლავია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 179 | ბრნო — ბლშანი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### თურქეთი. IX ტური

20 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 181 | გიოზთეფე — ანთალია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | **21 ნოემბერი** | | | |
| 182 | ერზურუმი — ადანა (14:30) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 183 | გენჩლერბირლიგი — ანკარაგიუჯიუ (15:30) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 184 | სამსუნი — ბურსა (15:30) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 185 | ალთაი — ქოჯაელი (16:30) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 186 | ბეშიქთაში — ტრაბზონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 187 | ვანი — ისთანბული | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### შოტლანდია. XV ტური

20 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 188 | დანდი — მოზერუელი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 189 | ჰართსი — სელტიკი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 190 | კილმარნოკი — დანდი იუნაიტედი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 191 | რეინჯერსი — ჰიბერნიანი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | **21 ნოემბერი** | | | |
| 192 | სენტ ჯონსტონი — აბერდინი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ავსტრია. XXI ტური

20 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 194 | ბრეგენცი — აუსტრია | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 195 | ლინცერი — შტურმი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 196 | ზალცბურგი — რიდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | **21 ნოემბერი** | | | |
| 197 | გრაცერი — ტიროლი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### შვეიცარია. XIX ტური

20 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 198 | ლოზანა — არაუ | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 199 | სერვეტი — ქსამაქსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | **21 ნოემბერი** | | | |
| 200 | დელემონი — ივერდონი (17:30) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 201 | ლუცერნი — ბაზელი (17:30) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 202 | ციურიხი — ლუგანო (17:30) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 203 | სენტ გალენი — გრასჰოპერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### დანია. XVII ტური

21 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 204 | ვაილე — ოლბორგი | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| 205 | ვიბორგი — აკადემისკი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 206 | ლიუნგბიუ — ოდენსე | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 207 | ჰერფიოლგე — ესბიერგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 208 | ბრიონდბიუ — სილკებორგი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | **22 ნოემბერი** | | | |
| 209 | ორჰუსი — კოპენჰაგენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ინგლისის თასი. II ეტაპი

20 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 211 | პლიმუთი — ბრაიტონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 212 | ბარნლი — როტერჰემი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 213 | ჯილინგემი — დარლინგტონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 214 | ბორნმუთი — ბრისტოლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 215 | ოლდემი — სუონსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 216 | რედინგი — ჰალიფაქსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 217 | შრიუსბერი — ოქსფორდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 218 | ბერი — კარდიფი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 219 | რექსემი — როჩდეილი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 220 | უიკომბი — უიგანი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი. XV ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| იტალია. X ტური | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი. XII ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| პორტუგალია. XII ტური | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| საბერძნეთი. X ტური | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |

### კალათბურთი. NBA

20 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 870 | ნიუ ჯერსი — ფილადელფია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 871 | ვაშინგტონი — კლიპერსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 872 | მაიამი — ბოსტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 873 | შარლოტი — პორტლენდი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 874 | ატლანტა — ორლანდო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 875 | კლივლენდი — ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 876 | მილუოკი — იუტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 877 | სან ანტონიო — დალასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 878 | დენვერი — ჩიკაგო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 879 | გოლდენ სტეიტი — ნიუ იორკი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 880 | სიეტლი — ჰიუსტონი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | **21 ნოემბერი** | | | |
| 881 | დეტროიტი — მილუოკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 882 | ფინიქსი — სიეტლი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 883 | ლეიკერსი — ტორონტო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 884 | საკრამენტო — ჰიუსტონი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 885 | ვანკუვერი — მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | **22 ნოემბერი** | | | |
| 886 | ბოსტონი — ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 887 | ფილადელფია — სან ანტონიო | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 888 | იუტა — მინესოტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |

### ჰოკეი. NHL

20 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 894 | ნიუ ჯერსი — ოტავა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 895 | ბოსტონი — ვაშინგტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 896 | ბუფალო — ატლანტა | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 897 | ტორონტო — რეინჯერსი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 898 | ფილადელფია — ტამპა ბეი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 899 | კაროლინა — დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 900 | ფლორიდა — პიტსბურგი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 901 | სენტ ლუისი — სან ხოსე | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 902 | ნეშვილი — ვანკუვერი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 903 | ედმონტონი — დეტროიტი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 904 | ფინიქსი — ჩიკაგო | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 905 | ლოს ანჯელესი — მონრეალი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| | **21 ნოემბერი** | | | |
| 906 | ედმონტონი — აილენდერსი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| | **22 ნოემბერი** | | | |
| 907 | კაროლინა — ბოსტონი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 908 | ატლანტა — ვანკუვერი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 909 | ტამპა ბეი — ფილადელფია | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 910 | სენტ ლუისი — ნეშვილი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 911 | დალასი — კოლორადო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 912 | ანაჰაიმი — მონრეალი | 1,4 | 4,4 | 3,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახლებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება) ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

მარსელ დესაი ჯერ კიდევ ჭაბუკი გახლდათ, როდესაც შეიტყო, რომ მამამისს ოთხი ცოლისგან, ჯამში, თხუთმეტი შვილი ჰყავს. შემდგომმა ჩხრეკამ აღმოაჩენინა, რომ მის ერთ ბაბუას ოთხი ცოლი ჰყოლია, რომელთაც ქვეყნად 22 ადამიანი მოუვლენიათ. გენეტიკას ვერ გაქცევიან მარსელის ძმებიც, რომ გაქცეოდნენ — ოთხ მათგანს რამდენიმე მეუღლე ჰყავს გამოცვლილი. და სულ რამდენი ნათესავი გამოდის არ იკითხავთ? ორი ათასი. ჰოდა, რა გასაკვირია „ჩელსისა" და საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავს კლუბების პატრონებთან ხელფასზე კატეგორიულად მოლაპარაკე კაცის სახელი რომ აქვს გავარდნილი. დღეს, ლონდონური კლუბი მას კვირაში 30 ათას გირვანქა სტერლინგს უხდის.

ძალიან უცნაური წარმოშობა და ისტორია აქვს ბრიტანეთის ყოფილ კოლონია, განაში დაბადებულ ოდენკი ების, რომელიც შემდეგ მარსელ დესაიდ იქცა და ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. დედამის ელიზაბეთს ბიჭი ოთხ წლამდე შინ ჰყავდა, იქ ზრდიდა, მერე კი ცოლად საფრანგეთის კონსულს გაჰყვა და ახალი მეუღლის სამშობლოში გადაბარგდა...

„ხალხს, რატომღაც ბიზნესმენი ვგონივარ, არადა მხოლოდ და მხოლოდ ის კაცი გახლავართ მომავლის რომ ეშინია და ფიქრობს, საკმარისია კი ის, რაც დღეს მაქვს? შიშს ორი მიზეზი განაპირობებს. პირველი ის, რომ საკუთარი შვილების მომავალზე ვდარდობ, ხოლო მეორე, აფრიკაში დატოვებულ ნათესავებზე ფიქრი გახლავთ. მე ხომ ცხოვრებაში შებიჯების პირველი დღიდან მათზე პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

ოთხისა გახლდით, დედაჩემმა და მისმა მეუღლემ, მუსიე დესაიმ საფრანგეთში რომ ჩამიყვანეს, განაში კი ორ ათასამდე ადამიანი დარჩა. ხომ წარმოგიდგენიათ შინ რომ ვბრუნდები ოჯახის შეკრება რა მასშტაბისაა".

დესაის დედა ორი წლის წინ ნანტიდან აიყარა და ქალიშვილობის ადგილებს დაუბრუნდა. ნანტი სწორედ ის ქალაქი გახლავთ, სადაც მარსელმა და მისმა ლამის მარადიულმა თანაგუნდელმა, დიდიე დეშამპმა ფეხბურთის თამაში დაიწყეს. დესაისა და დეშამპის დაახლოებას ტრაგიკულმა შემთხვევებმაც შეუწყვეს ხელი: დეშამპის ძმა ავიაკატასტროფაში დაიღუპა, ხოლო დესაის ნახევარძმა, მასავით „ნანტის" მოთამაშე, საგზაო შემთხვევამ იმსხვერპლა.

1998 წელს ბიჭები მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ და მარსელმა მედლით თავის მოსაწონებლად განელ ნათესავებს ჩააკითხა.

„კულტურით აშკარა ევროპელი გახლავართ, საფრანგეთის წინაშე ვალში ვარ, მაგრამ ხშირად ვგრძნობ, რომ აფრიკელ ნათესავებთან მეტად მჭირდება დაახლოება. ფესვები ხომ იქ მაქვს. იცით, წარმოვიდგენ ხოლმე, რომ ყველანი იქ არიან და მხოლოდ მე ვაკლივარ".



მარსელ დესაი

# შცნაშრი ზმდის ბაცი — ოდენკი ები

**— ერთმა ფრანგმა პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ნაკრების ბევრ ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში თამაშის უფლება არა აქვს, ვინაიდან ჰიმნსაც ვერ მღერიანო. როგორ ფიქრობთ, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებით საფრანგეთის სხვადასხვა წარმოშობის მოქალაქეებს თავი ქვეყნის ნამდვილ შვილად აგრძნობინეთ?**

„ჟან მარი ლე პენმა ჰიმნის შესახებ 1996 წელს თქვა. ლე პენს სურს საფრანგეთის ნაკრები მხოლოდ ფრანგული წარმოშობის ფეხბურთელებისგან შედგებოდეს, მაგრამ ეს რეალისტური იდეა არ გახლავთ. რაც შეეხება მის სიტყვებს, საკუთრივ გუნდში მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია".

**— ბრიტანეთში ფერადკანიანებს ხშირად უჭირთ ცხოვრება. თქვენ როგორ გრძნობთ თავს? თქვენ ხომ ჯერ ერთი ფერადკანიანი ბრძანდებით, მეორეც, ფრანგი...**

„ლონდონი ძალიან კოსმოპოლიტური ქალაქია, საფრანგეთის ქალაქებისგან განსხვავებული. ჩვენთან, საფრანგეთში, შავკანიანი მაღაზიაში რომ შედის ეჭვის თვალით უყურებენ, ფეხსაცმელებზე აკვირდებიან მისი რაობა და ვინაობა რომ ამოიცნონ. მეორე მხრივ, მას მერე, რაც თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისა მოყვარე ფეხბურთელად გავხდი ცნობილი და ეს ძალიან მშველის. ფეხბურთელობის გამო რასიზმი ფაქტობრივად არ შემხებია".

რა მოხდება მომავალში? რა უნდა აკეთოს ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავმა... თუმცა ვარსკვლავმა კი?

„იცით, პირად არჩევანზეა დამოკიდებული. ადამიანს შეუძლია არ იხმაუროს და ისე აკეთოს თავისი საქმე უმაღლეს დონეზე. თავის წარმოჩენა და ინტერვიუების დარიგება კიდევ სხვაა. მე ვარსკვლავი არ გახლავართ."

**— პლატინი და კიგანი რას ნიშნავს თქვენთვის? თქვენ მათზე ცნობილი ხართ?**

„ვერ ვიტყვი, რომ მათზე ცნობილი ვარ. შესაძლოა მეტი ჯილდო მქვს მოპოვებული, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ახალი თაობის ფეხბურთელი გახლავართ, ანუ სხვა მოთხოვნათა ეპოქაში მიწევს თამაში. ჩვენ ალბათ, უფრო კვალიფიცირებულები ვართ, მაგრამ მათსავით საგანგებონი არა."

**— და, მომავალი?**

„30 წლისამ საკუთარ თავს უმაღლეს დონეზე თამაშისთვის კიდევ ხუთი წელიწადი გამოვუყავი. აშკარად მინდა მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა, მაგრამ ამასობაში შვილები იზრდებიან და მსურს უკვე გაიგონ, რა უნდათ. არ გამოვრიცხავ, რომ რაღაცას ვაკლებ.

მწვრთნელი ნამდვილად არ გავხდები. მწვრთნელი რომ გავხდე მოედანზე ვეღარაფერს გამოვხატავ და მოედანთან ჯდომით და სხვათა თამაშის ცქერით უნდა შემოვიფარგლო, ეს კი არ შემიძლია. იქნებ თორმეტ-ცამეტ წლამდელი ბავშვების მეცადინეობას შევუდგე, გამოცდილება მათ გავუზიარო".

დესაის მარსელთან ახლოს AIX-EN-PROVENCE-ში მდიდრული სახლი აქვს. ფეხბურთელობას თავს, რომ დაანებებს იქ დასახლდება და დედასაც ჩაიყვანს, ოღონდ, მთელი, ორი ათას კაციანი ოჯახის შეკრებას მოაწყობს თუ არა, არავინ იცის.

**— გწამთ, რომ დღეს ფეხბურთელები იესოზე პოპულარულები არიან?**

„ბრაზილიაში, იქნებ, რონალდოზე მართლაც უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე იესოზე, მარამ ასე შედარება არ შეიძლება. ზოგადად კი, საფრანგეთის ნაკრების წევრებს ჯერაც არ გვესმის როგორ გავითქვით სახელი. აი, ჩვენს სახელზე მოსულ ფოსტას რომ ვათვალიერებთ, მაშინღა ვხვდებით რაღაცას".

**„სანისა" და „ობზერვერის" მიხედვით მოამზადა**
**ბაპუნა ბედიამ**

## როი კინის საკითხი კვლავ გაურკვეველია

ინგლისის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი „მანჩესტერ იუნაიტედი" ცდილობს, თავისი ირლანდიელი კაპიტანი როი კინი გუნდში დარჩენაზე და ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე დაიყოლიოს. კლუბის ხელმძღვანელთა განცხადებით, მათ ეს წლის ბოლომდე უნდა მოახერხონ, რადგან იანვრიდან თავისუფალ აგენტებზე სატრანსფერო სეზონი იხსნება და თუ კინს რომელიმე წამყვანი ევროპული კლუბი უკეთეს პირობებს შესთავაზებს, ნახევარმცველი, ალბათ, „მანჩესტერს" დატოვებს. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი გაისად ზაფხულში უმთავრდება.



როი კინი

ამის შესახებ თავად „მანჩესტერის" პრეზიდენტმა მარტინ ედუარდსმა ისაუბრა ერთ-ერთ შეხვედრაზე. მისი თქმით, კლუბი წლის ბოლომდე შეხვდება კინს და შეეცდება, მასთან საერთო ენა გამონახოს. „მე და ალექს ფერგიუსონი პირადად შევხვდებით როის. ეგებ დავარწმუნოთ იგი, გუნდში დარჩეს. ეს ყველაფერი იანვრამდე უნდა მოხდეს, მანამდე, სანამ ახალი სატრანსფერო სეზონი გაიხსნება. თუმცა არსებობს ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა. თავად კინი აცხადებს, რომ მიმდინარე სეზონის ბოლომდე არც ერთ კლუბთან საუბარი არ სურს" — განაცხადა ედუარდსმა.

„კლუბის ხელმძღვანელობა ყოველნაირად შეეცდება, ფეხბურთელი შეინარჩუნოს და მას შეძლებისდაგვარად მაქსიმალური პირობები შეუქმნას, თუმცა ახლა ყველაფერი თავად კინზეა დამოკიდებული. სანამ იგი არ მოიფიქრებს, ვერაფერს გავხდებით" — თქვა „მანჩესტერ იუნაიტედის" თავმჯდომარე რონალდ სმიტმა.

## მეტი ფული ვის აწყენს?

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი კლუბი — „მანჩესტერ იუნაიტედი", რომელმაც გასულ სეზონში ყველა ტურნირი მოიგო, სადაც კი მონაწილეობდა, აცხადებს, რომ მალე მისი შემოსავლები კიდევ უფრო გაიზრდება.

კლუბის თავმჯდომარის, რონალდ სმიტის განცხადებით, მარტო მომსახურე პერსონალის ხელფასებმა და პრემიებმა წლეულს კლუბის საერთო ფულადი კაპიტალბრუნვის 33 პროცენტი შეადგინა და წინა წლის მაჩვენებელს 8 მილიონამდე გირვანქით გაუსწრო. იმავე სმიტის ცნობით, მხოლოდ მოთამაშეების ხელფასებზე გასულ სეზონში დამატებით 4 მილიონამდე გირვანქა დაიხარჯა. თუმც ყოველივე ამან თავისი შედეგი გამოიღო და შარშანდელ სეზონში კლუბმა სამივე ტურნირი — ინგლისის ჩემპიონატი, ქვეყნის თასი და ევროპის ჩემპიონთა თასი ტრიუმფით დააგვირგვინა.

„ბოლო წლებში დიდი ძალისხმევით ვმუშაობდით, რათა სასურველი მიზნისთვის მიგვეღწია. ამისათვის თანხებს არ ვიშურებდით და ვგონებ, შედეგიც მივიღეთ — განაცხადა სმიტმა და დაამატა — ამ ყოველივეს, რაღა თქმა უნდა, სახსრები სჭირდება. ახლა დაახლოებით 30 მილიონი გირვანქის დახარჯვას ვაპირებთ, რათა მშობლიური სტადიონი, „ოლდ ტრეფორდი" გავაფართოოთ და მისი ტევადობა რამდენიმე ათასით გავზარდოთ. ამით კლუბის შემოსავალი მნიშვნელოვნად მოიმატებს. გარდა ამისა, რეკლამიდან, საკლუბო მაღაზიებიდან და სხვა ინფრასტრუქტურიდანაც ვიხეირებთ".

საუბარი იყო სატელევიზიო ტრანსლაციებზეც. „მანჩესტერის" ფინანსური დირექტორი დევიდ ჯილი უახლოეს მომავალში ინგლისის პრემიერლიგის ხელმძღვანელობასთან შეხვედრას აპირებს, რათა მათ კლუბს სატელიტურ ტელეკომპანია BSKyB-სთან პარტნიორობის უფლება მისცენ. თუმცა ჯილმა უკმაყოფილება ვერ დამალა ტელეკომპანიის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილების გამო. თურმე BSKyB-ს სხვა ინგლისურ კლუბებთან პარტნიორობა და 9,9-პროცენტიან აქციათა ფლობა სურს. „ამით შეიძლება უხეშად დაირღვეს პრემიერლიგის კანონები კლუბებთან პარტნიორობის შესახებ. პრობლემა არ რის თუ BSKyB სხვა კლუბების აქციებს იყიდის, მაგრამ შემდგომში, დირექტორთა საბჭოში, მათ სხვა მფლობელებთან შედარებით პრივილეგიები არ უნდა ჰქონდეთ" — განაცხადა ჯილმა.

## კითხვა — პასუხი

**— ისევ თურქები...**

— ხომ გაგეხარდა?

**— ეჰ, კი გამეხარდა, მაგრამ უკრაინამ გული გამიტეხა.**

— თავის თავს დააბრალოს. ამხელა ქვეყანაში რომ წითელ ბურთს ვერ იპოვნი, ევროპის ჩემპიონატზე რა გინდა?

**— წითელი ბურთის ბრალია? თოვლში რა არ მოხდება...**

— იქ რომ წითელი ბურთი ყოფილიყო, უკრაინა გოლს არ გაუშვებდა.

**— და გაიტანდა, რო?**

— ეგებ, უფრო გაეტანა. ვთქვათ, შევჩენკოს...

**— გჯერა შევჩენკოსი?**

— მჯერა, არ მჯერა, კი გაიარგამოიარა იმ იტალიაში...

**— ვეას ჯობია?**

— ვეას პელე ვერ ჯობია და შევჩენკო როგორ აჯობებს?

**— ე, ნახე რა თქვა?**

— რაც გაიგონე. ასევე არ მგონია, ბრაიან ლაუდრუპს ჯობდეს ვინმე.

**— და ნაკრებში რატომ არ თამაშობს?**

— რად უნდათ, ისედაც იგებენ.

**— ბრაიან ლაუდრუპი ჯობია ვერონს?**

— მე, რა ვიცი.

**— რა ენა დაგება, ყველას ჯობიაო, ახლა არ თქვი?**

— ვერონი არ მინახავს და როგორ ვთქვა?

**— ვერონი როგორ არ გინახავს?**

— ეგ ხომ „ლაციოში" თამაშობს?

**— მერე?**

— მერე „ლაციოს" თამაში რომ იწყება, ათ წუთში ვიძინებ და ვერონს ველარ ვნახულობ.

**— რა გღლის?**

— ჩემი ინტელექტი ვერ ქაჩავს სვენ გორან ერიკსონის ინტელექტამდე.

**— მაშ, ღმერთმა გაყურებინოს ლაუდრუპის „აიაქსისთვის".**

— მადლობთ, არ დაგივიწყებ.

**— კარგი, საქმეს მივხედოთ. გაგიჭედეს „უემბლიზე"?**

— ძმებს შორის რაც მოხდება, შენი გასარჩევი არ არის.

**— ისე, მაღადეც ბექემს. კინაღამ ჯარიმა გაიტანა.**

— შენი დასაცინია, არა?

**— არა, გამეხარდა, რომ უკვე ოცდამეათე ჯარიმა „კინაღამ გაიტანა".**

— ესე იგი, კინაღამ გამტანი ბიჭია, არა?

**— ეხლა შენ...**

— აი, რო გითხრა, ვერონმა ეგებ კუთხურიდანაც გაიტანოს, ოღონდ ისე რომ თავზე აწვლიდეს ვილაცას, ბექემმა კი კინაღამ გაიტანოს, მაგრამ იცოდეს, რომ თავზე არ აწვლის.

**— და გაზა?**

— რა გაზა?

**— გაზაც რომ „კინაღამ" კაცი გამოდგა?**

— „კინალამ"? კინალამ ვინ არის გეტყვი.

**— ვინ?**

— ვინ და „იუვენტუსი". ეგ არი კინაღამ თასის ამღები გუნდი.

**— და კიგანი ვინ არის?**

— მწვრთნელია.

**— თუ კიგანია მწვრთნელი, კაპელო ვინღაა?**

— ჰიდრავლიკის პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოწოდება გზად და ხიდად



მარტინა ჰინგისი

ნიუ იორკი. აშშ. „ჩეიზის“ მსოფლიოს ჩემპიონატი. დარბაზი, ხალიჩა
საპრიზო 2 მილიონი $

ჩვენი დროით უკვე პარასკევს დილით დასრულებული ორი მეოთხედფინალი არც სილამაზით გამოირჩეოდა და არც დაძაბულობით, სამაგიეროდ, მეტად მადისმომგვრელი ნახევარფინალური წყვილი გამოავლინა: იქვე, ნიუ იორკში, აშშ-ის ღია პირველობაზე დაწყებული დუელის მეორე რაუნდს მარტინა ჰინგისსა და ვინუსს უილიამსს შორის დღეს, „მედისონ სკვერ გარდენში“ ვიხილავთ.

ორ 19 წლის ჩოგბურთელს შორის პირად შეხვედრათა ანგარიში 8:5-ია შვეიცარიელის სასარგებლოდ, თუმცა ამ სეზონის შედეგებით წინ შავკანიანი ამერიკელია — 3:2.

**ვინუს უილიამსი (3, აშშ) — ბარბარა შეტი (7, ავსტრია) 6:4, 7:6 (7:2)**

კანის ფერის, გაცილებით გრძელი ხელ-ფეხისა და შემოტმასნილი „მინის“ გარდა ერთადერთი, რითაც ბარბარა შეტი კორტზე ვინუს უილიამსისგან განსხვავდებოდა, მოწოდება იყო. 23 წლის ავსტრიელი თამაშით მართლაც არაფერში ჩამორჩა მრისხანე მეტოქეს, მაგრამ გასაჭირის დროს უფროს უილიამსს დაბარებულივით ეისები მოეძებნებოდა.

„მეტისმეტად სწრაფად ურტყამს მათ, თანაც წინასწარ ვერასოდეს ვხვდები, საით აპირებს გაგზავნას. მეორე მოწოდებაზე კიდევ არა უშავს, უკან ვაბრუნებდი მაინც, მაგრამ პირველი მოწოდების დროს არაფერი გამომდიოდა“ — დაიჩივლა მატჩის შემდეგ ავსტრიელმა, რომელიც ამ შემოდგომაზე უკვე მესამედ შეხვდა ვინუსს, სამჯერვე მეოთხედფინალში და ამათგან ერთი სეტიც არ მოუგია.

უფროს უილიამსს ამჯერად 9 ეისი, 12 მოწოდებით მითვლილი ქულა დაუგროვდა, სიჩქარით ხშირად 180 კმ/სთ-ს აჭარბებდა და მთელ შეხვედრაში ერთადერთი ბრეიკ-პოინტის გადარჩენა მოუხდა.

„ჩემს მოწოდებაზე ბევრს ვმუშაობ, რათა უფრო სტაბილური და სწრაფი გახდეს. არ ვიცი, ამჯერად მას რატომ გაუჭირდა ასე, იქნებ იმიტომ, რომ კორტი მეტისმეტად სწრაფია და ბურთიც დაბლა ხტის. საბედნიეროდ, საკუთარი მოწოდების მოგერიება თავად არ მიწევს და ამ მხრივ ვერაფრით დაგეხმარებით“ — განუცხადა ჟურნალისტებს ვინუსმა, რომელსაც პრესკონფერენციაზე მუხლებზე იორკშირული ტერიერი ესვა მეტად საჩოგბურთო სახელით „პიტი“ (ბუნებრივია, პიტ სამპრასის პატივსაცემად).

შესანიშნავად მოთამაშე შეტისთვის, რომელმაც თავის მხრივ მიწოდება მხოლოდ ერთხელ დაკარგა მთელ მატჩში, თავის გადარჩენის ერთადერთი შანსი ტაი-ბრეიკამდე მიტანება და ამ საჩოგბურთო ლატარიაში წარმატების იმედი იყო.

ავსტრიელმა თავისი ამოცანა-მინიმუმი მართლაც შეასრულა და გადამწყვეტ გეიმამდე მეორე სეტში მაინც მიაღწია, თუმცა იქ მეტისმეტად განერვიულდა და, კონჩიტა მარტინესთან წინა დღეს შეხვედრისგან განსხვავებით, ვინუსს მოსაგებად გვერდითი მსაჯების დახმარება აღარ დასჭირვებია.

უფროსმა უილიამსმა ტაი-ბრეიკზე ერთი უცნაური საქციელით მაინც გამოიჩინა თავი;: იმის ნაცვლად, რომ მხარეების გაცვლის დროს ბადისთვის ცივილიზებულად აევლო გვერდი, პირდაპირ გადაახტა, რითაც მეტოქეც გააკვირვა და მაყურებლებიც.

„ასეთი რამ ბავშვობიდან არ ჩამიდენია. იცით, თავიდან შემოვლას ვაპირებდი, მაგრამ ეს შორ გზად მომეჩვენა, თანაც შეტი მომასწრებდა და მეც გადავხტი“.

ავსტრიელის კომენტარი მოკლე იყო: „მასავით გრძელი ფეხები რომ მქონდეს, მეც ასე გავაკეთებდი. არ ვიცი, ამით რის თქმა უნდოდა, მაგრამ ქომაგებს კი ნამდვილად მოეწონათ“.

რა თქმა უნდა, მოგვიანებით მას ჰინგისთან შეხვედრის შესახებაც ჰკითხეს: „მისი მატჩებისთვის არ მიყურებია, მხოლოდ ერთი ორჯერ შევავლე თვალი, როცა ჩავუარე. არ ვიცი, რა მოხდება, მაგრამ მე ბოლომდე ვიბრძოლებ და რისკს არ მოვერიდები. მისი დამარცხება მხოლოდ ასე შეიძლება“.

**მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — მარი პირსი (5, საფრანგეთი) 6:1, 6:2**

„მაპატიეთ, რომ ეს შეხვედრა იმდენ ხანს არ გაგრძელდა, რამდენიც თქვენ გსურდათ“ — ღიმილით, უფრო დამცინავად მიუბრუნდა მარტინა ჰინგისი „გარდენში“ შეკრებილ მრავალათასიან აუდიტორიას, ბილეთებში გადახდილი გვარიანი თანხის სანაცვლოდ ერთსაათიანი მონოლოგით დაკმაყოფილება რომ არ სურდათ და მის მეტოქეს მთელი მატჩის მანძილზე ხმაურიანად ამხნევებდნენ.

მარი პირსისა და მსოფლიოს პირველი ჩოგანის შეხვედრა მეოთხედფინალებიდან ცენტრალური გახლდათ და მისგან დაძაბულ პაექრობასაც ელოდნენ, მაგრამ შვეიცარიელმა მეტოქესაც და მაყურებლებსაც პირში ჩალა გამოავლო.

ჰინგისი ამ დღეს უძლეველი იყო: უკანა ხაზიდან ხომ უშეცდომოდ და ზუსტად ირჯებოდა, ამასთან ბადესთანაც ხშირად გადიოდა, ფრანგის მოუქნელობით შესანიშნავად სარგებლობდა და ლამაზი დარტყმებით ითვლიდა ქულებს.

„შეიძლება ითქვას, რომ თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი და ეს კორტზეც გამოჩნდა. რაც არ უნდა ეცადა, მე ყოველთვის უკეთესი პასუხი მქონდა გამზადებული“ — გადაუჭარბებლად აღნიშნა მარტინამ მოგვიანებით.

პირსს შეხვედრის გადარჩენის მცირე შანსი ერთადერთხელ, მეორე სეტის მეექვსე გეიმში მიეცა, როცა მეტოქისთვის მოწოდების ართმევით ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, მაგრამ ტანმშვენიერმა ფრანგმა ორი ბრეიკ-პოინტი უნიათო დარტყმებით გაანიავა და თავის მომავალ მეწყვილეს დარჩენილ დროში წინააღმდეგობაც აღარ გაუწია.

„თავად გავითხარე ორმო, ჩვეულებრისამებრ ვრისკავდი, მაგრამ ამჯერად ყველაფერს ვაცილებდი. იქ 3:3 რომ გამხდარიყო, იქნებ მატჩი სულ სხვაგვარად დასრულებულიყო, მაგრამ, ეტყობა, ეს ჩემი დღე არ იყო“ — განაცხადა პირსმა — „მარტინა პირველი ჩოგანი ტყუილუბრალოდ არ გამხდარა, იგი ახლაც შესანიშნავ ფორმაშია“.

ჰინგისის პრესკონფერენციაზეც დიდი დრო დაეთმო უილიამსთან მის მომავალ შეხვედრას. „გასახდელში ბარბარა ვნახე და შემომჩივლა, ვინუსს მოწოდებებს ვერ ვულებო. ვფიქრობ, ჩემი მიღება მისაზე ოდნავ უკეთესია და ეს პრობლემა მე არ მაწუხებს. როგორც კი შანსი მომეცემა, მის მეორე მოწოდებებს მაშინვე შევუტევ“.

მსოფლიოს პირველი ჩოგნის თქმით, ის ყოველთვის მოუთმენლად ელის უილიამსებთან გაჯიბრებას: „მასთან თამაში ძალიან სასიამოვნოა, რადგან ვინესი ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელია ტურზე. ყოველთვის დამატებითი სტიმული და გამოწვევაა მისი დამარცხება. წლეულს ევროპაში სამჯერვე მან მომიგო, აშშ-ში კი პირიქით, ორჯერ დავამარცხე, ასე რომ, წაგებას არც ახლა ვაპირებ“.

ამ დილით დარჩენილი მეოთხედფინალებიც დასრულდებოდა, რომლებშიც ერთმანეთს ლინდსი დევენპორტი — ანკე ჰუბერი და ნატალი ტოზია — დომინიკ ვან რუსტი ხვდებოდნენ. ნახევარფინალებისა და ფინალების პირდაპირი რეპორტაჟების ხილვა კი „ევროსპორტზე“ შაბათ-კვირას, დაახლოებით საღამოს ათი საათიდან შეგეძლებათ.

ჰართფორდი. აშშ. მსოფლიოს ჩემპიონატი წყვილებში დარბაზი. ხალიჩა.
საპრიზო 900 ათასი $

I ჯგუფი

**მაჰეშ ბჰუპატი და ლეანდერ პაესი** (1, ინდოეთი) — ელის ფერერა და რიკ ლიჩი (3, სამხრეთ აფრიკა და აშშ) 6:4, 6:4; **უეინ ბლეძი და სენდონ სტოლი** (6, ზიმბაბვე და ავსტრალია) — პიტ ნორვალი და კევინ ულიეტი (8, სამხრეთ აფრიკა და ზიმბაბვე) 7:6 (7:5), 6:1

II ჯგუფი

**ტოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი** (2, ავსტრალია) — სებასტიან ლარო და ალექს ობრაიენი (4, კანადა და აშშ) 7:6 (7:3), 6:4; **პოლ ჰაარჰიუსი და ჯარედ პალმერი** (7, ჰოლანდია და აშშ) — დევიდ ადამსი და ჟონ-ლეფნი დე ჯეგერი (5, სამხრეთ აფრიკა) 6:4, 7:5

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS ნიუ იორკიდან

მარი პირსი





მსოფლიოს მძლეოსანთა აწ გარდაცვლილი თავკაცი პრიმო ნებიოლო და მისი მემკვიდრე ლამინ დიაკი. მძლეოსნობა ისედაც შავების საუფლო გახდა და იააფ-ის პრეზიდენტის ზანგობაც რა გასაკვირია

# დედოფალს თხუთმეტი ბერი ეყოლება

## მრავალშვილიანი ლამინ დიაკი ნებიოლოს ტახტზე დაბრძანდა

სენეგალელმა ლამინ დიაკმა თხუთმეტი შვილის მამობა არ იკმარა და მრავალი ქვეყნის მძლეოსნობის ეროვნული ასოციაციების გამაერთიანებელი საერთაშორისო ფედერაციის თავკაცობაც მოინდომა თავისი მილიონიანი სამწყსოთი.

მას ამის უფლებას იააფ-ის დებულება აძლევდა, რომლის თანახმადაც პრეზიდენტის სავარძელი ავტომატურად გადაეცემა პირველ ვიცე-პრეზიდენტს, ლამინ დიაკი დაუფარავად გამოთქვამდა იააფ-ის პრეზიდენტობის სურვილს და დებულებასაც იშველიებდა. თუმცა მძლეოსნობის მმართველთა საბჭომ ამაზე მაინც ფართოდ იმსჯელა მონაკოში გამართულ სხდომაზე, რომელიც გუშინ დასრულდა.

საინტერესოა, რომ საბჭოს პირველივე დღეს ლამინ დიაკის უფლება დაიცვეს. როგორც მძლეოსნობის ფედერაციის ერთ-ერთი დიდმოხელე ჯორჯო რანიერი აცხადებს, დიაკს საპრეზიდენტო მოვალეობანი გადაეცა 2001 წელს ედმონტონში მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამართი ფედერაციის კონგრესამდე, რომელიც იქ ეროვნულ ფედერაციათა წარმომადგენლები მოიყრიან თავს.

ამგვარი გადაწყვეტილება იმაზეც მიუთითებს, რომ იააფ-ს სტრუქტურა სულ ცოტა ორი წლით შეუნარჩუნდება, ასევე დაცული იქნება ფედერაციის ძირითადი კონტრაქტები ტელეკომპანიებსა და სპონსორებთან. მათ შორის, ევროპის ტელემაუწყებლობის კავშირთან აქვს წლიანი 120-მილიონდოლარიანი ხელშეკრულება.

ამრიგად, დიაკი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და მდიდარი ფედერაციის თავკაცი გახდა.

შეგახსენებთ, რომ ეს ორგანიზაცია დიაკის წინამორბედმა, აწგარდაცვლილმა, იტალიელმა პრიმო ნებიოლომ გაამდიდრა, რომელმაც მძლეოსნობის პრესტიჟი აამაღლა და იააფ-ს უმდიდრეს ფედერაციათა სამეულში მიუჩინა ადგილი. იგი მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსა და ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას თუ ჩამორჩება.

რაც შეეხება ლამინ დიაკს. იგი 1933 წლის 7 ივნისს დაიბადა. პროფესიით იურისტია და როგორც ვთქვით, თხუთმეტი შვილი ჰყავს. მან სპორტული კარიერა სიგრძეზე ხტომაში დაიწყო და... 1958 წელს საფრანგეთის ჩემპიონობაც კი მოიპოვა (7,63 მ). 1976 წელს მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს, ხოლო 1991-დან გუშინდლამდე მისი პირველი ვიცე-პრეზიდენტი იყო. 1978 წლიდან სენეგალის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტია. 1964-68 წლებში ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ტექნიკურ დირექტორადაც მუშაობდა, 1973-დან კი აფრიკის სამოყვარულო მძლეოსნობის კონფედერაციის თავკაცია. 1985 წლიდან სენეგალის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტია.

# მინისტრთან ჰარბად ჭიკჭიკებდა!

## ყველამ თავის შარდს მიხედოს

გერმანელ მძლეოსანს, ოლიმპიურ ჩემპიონ, დიტერ ბაუმანს, რომელსაც ოქროს მედალი მოუპოვებია ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე 5000 მეტრზე რბენაში, გუშინ გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციამ აუწყა იმ ტესტების პასუხები, რომელმაც იგი გაკვირვებული დატოვა.

საქმე ეხება აკრძალულ პრეპარატს, რომლის კვალიც მის შარდში აღმოაჩინეს. მძლეოსნის თქმით, ერთი ასეთი ანალიზი ოქტომბერში, ხოლო მეორე ახლა, თვის დამდეგს, ვარჯიშისას აულეს.

34 წლის ბაუმანი, რომელიც მუდამ დოპინგის წინააღმდეგ ილაშქრებოდა, ამტკიცებს, რომ მას უკანონო არაფერი ჩაუდენია და აცხადებს, „წარმოდგენა არ მაქვს, რა ხდება. ყველა ღონეს ვიხმარ, რათა სიტუაციაში გავერკვე“.

არადა, ფედერაციის მოხელე შტეფან ფოლკნანტი დაბეჯითებით ამბობს, რომ ორივე ანალიზმა დადებითი პასუხი მოიტანა, რაც, მისი აზრით, უტყუარია.

დიტერ ბაუმანმა, გრძელ დისტანციებზე მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მორბენალმა, მძლეოსნობის მოყვარულთ სეულის ოლიმპიურ თამაშებზე დაამახსოვრა თავი, სადაც მან 5000 მეტრზე რბენაში ვერცხლის მედალი მოიპოვა ბარსელონაში, ოთხი წლის მერე კი, ზემოთაც ვთქვით, ოქრო მოიგო. ბოლო ოლიმპიურ თამაშებზე, ატლანტაშიც შეეძლო ბრინჯაოს მედლისთვის გამოეკრა ხელი, მაგრამ ერთი ნაბიჯიღა დააკლდა და მეოთხე ადგილზე გავიდა.

აღსანიშნავია, რომ ბაუმანი ერთ-ერთი იმ სპორტსმენთაგანია, რომელიც მაისში გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრს შეხვდა, რათა დოპინგის პრობლემაზე ემსჯელათ. მინისტრთან შეხვედრისას მან თქვა: ისინი, ვინც დოპინგს იყენებენ, მკაცრ სანქციებსაც უნდა ელებდნენ.

საინტერესოა, თუ ფოლკნანტის განცხადება დამტკიცდება, მაშინ ვის წინააღმდეგ გაილაშქრებს ბაუმანი?

**გიგა გურასაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# 8 ტური
## ანონსი

| | |
|---|---|
| 20 ნოემბერი. ვერის ბაღი. 13.00 — სსუ — ბასკო | 21 ნოემბერი. ვერის ბაღი. 13.00 — შევარდენი — ასკ |
| 20 ნოემბერი. ვერის ბაღი. 14.45 — მაკაბი — გორი | 21 ნოემბერი. ვერის ბაღი. 14.45 — დინამო — სტუ |
| 20 ნოემბერი. ვერის ბაღი. 16.30 | 21 ნოემბერი. ვერის ბაღი. 16.30 — სდასუ — აზოტი |

იქით გაიხედავ, აქეთ გამოიხედავ, ტრსაიდან ისმის კარგი და სანუგეშო. ნახეთ, რა ხდება ფეხბურთშიც (ქართულში), ზოგმა უკვე მიატოვა შინაური თამაშობა, ზოგი კიდევ, წასვლით იმუქრება, რიგი დადგა, ვინ ვის გაასწრებს, მაგაზელა მიდგა საქმე.

რა ხდება ქართულ კალათბურთში? — მეკითხებიან ხშირად, ალბათ, ჩემი პროფესიისა თუ სხვა რაღაც მიზეზების გამო, და როცა ჩემს უტყვ სახეს შეხედავან, მათი რეაქციაც ისეთია, ჩვეულებრივი...

„ან კიდევ, რა უნდა მოხდეს" — ამ სიტყვებით მშორდებიან ცნობისმოყვარენი, თავადაც ხვდებიან, ეს ისე მკითხეს, ფორმალურად...

„არ გადავშენდებით" — მხოლოდ ამას ვფიქრობ გულში და ვერ ვამხელ. ქართული კალათბურთი იქნება და იარსებებს მანამ, სანამ ჩვენ გვაქვს...

### ეროვნული ჩემპიონატი

თორმეტმა გუნდმა დაიწყო რიგით მეცხრე საკალათბურთო პირველობა და თორმეტივე სახეზეა. თქვენ წარმოიდგინეთ, დღემდე არც ერთი დაშლილა, ყველა თამაშობს და ამასვე აპირებს. ერთია თამაში და, მეორე — ხარისხი და შედეგი. ზოგს აკმაყოფილებს მიღწეული, ზოგსაც — არა.

„აზოტსაც" მოსწყინდა ვიცე-ჩემპიონობა, პირველობა სურს. აქამდეც უნდოდა, მაგრამ „ვითას" ბარიერი ელობებოდა წინ, დღემდე დაუძლეველი ბარიერი.

დღეს სხვანაირად უდგებიან საქმეს, ფავორიტად რუსთაველი გუნდი განიხილება, ჩემპიონობის ყველაზე დიდი შანსი ამ გუნდს აქვსო — ამბობენ, მიუხედავად დებიუტანტ „ბასკოსთან" შინაური მარცხისა...

ზედიზედ სამჯერ საკუთარ კედლებში მოთამაშე და თავის ქალაქს გაჩვეული „აზოტი" კვირას თბილისს ეწვევა და ვერისბაღურ სარბიელზე სდასუ-სთან დაიჭერს საქმეს. ტურის ცენტრალური მატჩიც ეს არის — სდასუ-„აზოტი".

იქნებ დღეს ბევრსაც აღარ ახსოვს, მაგრამ „აზოტი" ის გუნდია, სდასუ-ს ორჯერ რომ წაჰგვარა ბრინჯაო. ეს გუნდები ორჯერ შებმულან მესამე საპრიზოსთვის, ორჯერვე „აზოტს" უმარჯვია.

ამის მერე, სანუკვარი ბრინჯაო სდასუ-მ „დინამოს" დამარცხებით ირგუნა, ეს შარშანწინ იყო. ეგ კი ეგრეა, მაგრამ „აზოტის" ბოლმა ჯერაც არ განელებია სტუდენტურ გუნდს. რუსთაველებიც, რაღაც სხვანაირი შემართებით თამაშობენ სდასუ-სთან.

შარშანაც, ამ გუნდების სულისკვეთება იმდენად დიდი იყო, რომ რეგულარული ჩემპიონატის რიგითი მატჩი, ბევრს არაფერს რომ წყვეტდა, მუშტიკრივში, გვარიან შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. ასეა, არასდროს არ ინდობენ ერთმანეთს ეს მეტოქენი...

ვვარაუდობდით, ლევან მოსეშვილის შეუთამაშებელი სდასუ ნელ-ნელა შევა ფორმაშიო. სტარტზე ორი დამარცხების შემდეგ მართლაც სულ სხვა ეშხით ათამაშდნენ სტუდენტები და სადღეისოდაც საპატიო, მესამე ადგილი უჭირავთ. არც ამჯერად აპირებენ პოზიციების დათმობას და... ერთი სიტყვით, კვირას კარგი სეირი გველის.

მცირე ტრავმა აწუხებდა რუსთაველი გუნდის ცენტრ, მიხეილ ბერუაშვილს და სავარაუდოდ, სდასუ-სთან მწყობრში იქნება. მიშას ფარზე ბატონობა და მეტოქე შოთა მაჭარაძის გაუვნებლება დაევალება. „აზოტის" დიდი პლუსია ის, რომ მას ზვიად ბაბიაშვილი ჰყავს, ჯანიანი თავდამსხმელი, რომელიც ძალიან სასარგებლოა საჰაერო ორთაბრძოლებისას და სახიფათოა პირველ შეტევაში.

თუ სდასუ-მ მოწინააღმდეგის წინა ხაზის პარპაში ალაგმა, არც მაშინ ექნება დამშვიდების უფლება. ვიცე-ჩემპიონთა უკანა ხაზი ხომ ძალიან გამოცდილი, შეკრული და შეთამაშებულია. გამთამაშებელია არჩილ ჟღენტი, მას ხელს მსროლელი, ზაზა გაბისონია აშველებს, რომელიც ამასთანავე ჩვენში ერთ-ერთი საუკეთესოა დაცვითი ფუნქციების შესრულებისას. ფრთაზე კი რამაზ გოგობერიშვილი ილვწის, გონიერი, ფართო გაქანების კალათბურთელი...

გოგობერიშვილს, ალბათ, საგანგებო მეთვალყურეობას დაუწესებს ლევან მოსეშვილი — მას გიორგი ჩხეიძეს მიუჩენს, ჯიჯოს, რომელიც საუკეთესო თვისებებს სწორედ დაცვითი თამაშისას ავლენს.

და ნუ დავივიწყებთ ირაკლი ხოშტარიას, ეს ბიჭი უპირველესი წინაპირობაა სტუდენტური გუნდის წარმატებული თამაშის და განსაკუთრებული საფრთხე „აზოტს" სწორედაც რომ ხოშტარიასგან ემუქრება.

მცირე უპირატესობას მაინც რუსთაველებს მივანიჭებთ. მართალია, „აზოტი" გასვლაზე თამაშობს, მაგრამ ძალიან ნაცადია. სდასუ-საც აქვს თავის სამყოფი დადებითი თვისებები, უპირველესი მოსეშვილის დისციპლინაა, რომელიც ყოველთვის ახასიათებს მის გაწვრთნილ გუნდს, ისევე როგორც დაცვითი ქმედების სიმკაცრე.

საერთოდაც, ამ ტურში სხვაც ბევრია საინტერესო. ვერაფრით გეტყვით, მოუგებს „ვითა" თსუ-ს, თუ პირიქით. ამას წინათ „გორთან" 32 ქულის წაგებით შერცხვენილმა ჩემპიონმა გასულ უქმეებზე „შევარდენის" დამარცხებით მოიოხა გული და, ისიც ირწმუნა, რომ ეროვნული ჩემპიონატი არ გახლავთ გულუბრყვილობისა და ექსპერიმენტების ადგილი. „ვითა", ალბათ, საბრძოლო შემადგენლობით დაუპირისპირდება ნოდარ ქორქიას გუნდს, რომელიც წინა ტურში ტექნიკოს კოლეგებს დანებდა.

სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, რომ სტუ — „დინამოს" შეხვედრაში ტექნიკოსებს წინდაწინვე უნდა ვუწინასწარმეტყველოთ ორი ქულა, ისევე, როგორც გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ „ბასკოს" სსუ-სთან მატჩში. არც „დინამოა" ის ჩიტი და არც სსუ, მეტოქეთ რაიმე რომ შეჰკადრონ. ისე, პროგნოზები ხშირად ფლავდება, ხომ იცით?

სულ ახლახან, წინა ტურში, დაავემოვნა ასკ-მ გამარჯვება და რა გასაკვირია, „შევარდენთანაც" თუ მოსაგებად გავა მოედანზე. სხვა მხრივ, თანაბარძალოვანი გუნდებია, ასკ-ც და „შევარდენიც" მეტ-ნაკლებად ტოლ-სწორნი არიან და რომელს გინდა, უპირატესობა მიანიჭო.

დღეს „მაკაბი" „გორს" დაუხვდება, აქაც გაურკვეველი სიტუაციაა. შემადგენლობის მიხედვით, „მაკაბი" ჯობს მოწინააღმდეგეს, მაგრამ... ისე, სხვანაირად ნუ გაგვიგებთ და უტყუარ ფაქტს მოვიყვანთ: წლეულს „ვითამ" სულ ორჯერ წააგო, ერთხელ „მაკაბისთან" და მეორეჯერ — „გორთან". მოდი და ამის მერე რაიმე იწინასწარმეტყველე...

**გიორგი ბიძაშვილი**



სდასუ — აზოტის შარშანდელ შეხვედრას თან გვარიანი მუშტი-კრივიც ახლდა. რა იქნება ხვალ? ჩვენ ალალი კალათბურთი გვინდა

რეგულარული ჩემპიონატი

# როცა წაგება მოგებაზე ძნელია




ვაშინგტონი — ტორონტო. ჯერარდ კინგმა (მარცხნივ) და ჯუონ ჰოვარდმა (უკან) ტორონტოელ ანტონიო დევისს (№33) ბურთი დააკარგვინეს

18 ნოემბერი

### ვანკუვერი 108:110 სიეტლი

**ვანკუვერი:** ბიბი (13), დიკერსონი (10), აბდურ-რაჰიმი (31 ქულა, 14 მოხსნა), ჰარინგტონი (25 ქულა, 13 მოხსნა), რივზი (15); პრაისი (10), სტივენსი (4), პარქსი

**სიეტლი:** პეიტონი (24 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა), ბერი (19), პატერსონი (6), ბეიკერი (12), გრანტი (12); მაქსველი (27), ფოსტერი (6), ლუისი (4), პერსონი, დევისი

„სიეტლ სუპერსონიქსის" ქართველ ლეგიონერ ვლადიმერ სტეფანას ამჯერად რამდენიმე წუთიც არ უთამაშია, იგი მთელი მატჩის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე იჯდა და უყურებდა, როგორ აგებდა მისი გუნდი შეხვედრას კანადურ ვანკუვერში, რომელიც მართალია, სხვა ქვეყანაშია, მაგრამ ნბა-ს ნებისმიერი გუნდის ადგილსამყოფელთან შედარებით ყველაზე ახლომდებარე ქალაქია სიეტლისთვის. შემდეგ კი „სუპერსონიქსმა" უცაბედად მოიგო და ამას თამაშის დამთავრებამდე ორიოდე წუთით ადრე ვერც მასპინძლები და ვერც სტუმრები ვერ წარმოიდგენდნენ.

მატჩი თავდაპირველად გარდამავალი უპირატესობით დაიწყო, შემდეგ კი გამოიკვეთა მასპინძელთა მცირე უპირატესობა ფარქვეშ. წლეულს „ჰიუსტონიდან" გადაყვანილმა „ვანკუვერის" თავდამსხმელმა ოტელა ჰარინგტონმა თანდათან დაჯაბნა სიეტლელთა ერთ-ერთი ლიდერი, აშშ-ს ნაკრების წევრი ვინ ბეიკერი, რომელიც ყველა თამაშში ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს და არცთუ იშვიათად მეტოქეს აშკარად ეჩაგვრინება. იმ დღეს მან ვერაფერი გააწყო მეურვესთან და ბოლოს იმდენი იჩხუბა, რომ მსაჯებს თავი სწორედ მაშინ გააგდებინა, როცა გუნდს იგი ძალიან სჭირდებოდა. ჰარინგტონი კი მშვენივრად თამაშობდა, მან თავის ოთხწლიან კარიერაში ერთი თამაშისთვის სარეკორდო 25 ქულას მოუყარა თავი. მისი და შარიფ აბდურ-რაჰიმის ბრწყინვალე თამაშის შემხედვარე მასპინძლებს თავი ქუდში ეგონათ. მათი გუნდი მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე 106:96 იგებდა. თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მოვლენები ბოლო წუთებში მასპინძლებისთვის არცთუ სასურველად განვითარდა. ამ დროისთვის „სიეტლს" უკვე აღარ ჰყავდა ვინ ბეიკერი, მაგრამ უმისოდაც გამოიძებნებიან „სუპერსონიქსში" ისეთი მოთამაშეები, კრიტიკულ სიტუაციაში კალათში ბურთის ჩაგდებისას ხელი რომ არ აუკანკალდებათ — პეიტონი, მაქსველი, ბერი, პატერსონი... მათი ძალისხმევით „სიეტლმა" პატარა სასწაული მოახდინა. სტუმარი გუნდი მოულოდნელად აფეთქდა და დროის დარჩენილი მონაკვეთი 14:2 მოიგო.

ყველაფერი ვერნონ მაქსველის სამქულიანის შემდეგ დაიწყო, რომელმაც სტუმრებს ძალ-ღონე გაუათკეცა და გერი პეიტონმაც ჩვეულად მოჰკიდა საქმეს ხელი: ხუთი ქულა მიითვალა. შემდეგ მაქსველმა კვლავ ჩააგდო და მატჩის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე ათქულიანი სხვაობიდან აღარაფერი დარჩა. როცა 108:108 გახდა, მასპინძლებს კიდევ ჰქონდათ მატჩის მოგებისთვის საკმარისი დრო, მაგრამ ისინი კვლავ შოკში იყვნენ. ამას ისიც ადასტურებს, რომ მათმა საუკეთესო მოთამაშემ, შარიფ აბდურ-რაჰიმმა ბოლო წამებზე გარღვევაზე ჩაგდება მოინდომა, მაგრამ გამოცდილ პეიტონს შეეჯახა და შეტევაში ჯარიმაც მიიღო. ამით ფაქტობრივად ყველაფერი დასრულდა, რადგან მატჩის დასრულებამდე სულ ორ-ნახევარი წამიღა რჩებოდა. პეიტონმაც, ცხადია, ორივე საჯარიმო აუღელვებლად ჩაუშვა კალათში და ესოდენ დრამატულ მატჩს ამით წერტილიც დაუსვა.

### ჰიუსტონი 110:128 საკრამენტო

**ჰიუსტონი:** ოლაჯუონი (31), ბარკლი (16 ქულა, 16 მოხსნა)

**საკრამენტო:** ვილიამსი (23 ქულა, 10 პასი), სტოიაკოვიჩი (20)

### დენვერი 93:82 ლეიკერსი

**დენვერი:** მერსერი (24), ვან ექსელი (23)

**ლეიკერსი:** ონილი (36)

### მილუოკი 99:88 სან ანტონიო

**მილუოკი:** ალენი (26), რობინსონი (22)

**სან ანტონიო:** დანკანი (29 ქულა, 14 მოხსნა), რობინსონი (21)

### ვაშინგტონი 92:81 ტორონტო

**ვაშინგტონი:** ოსტინი (20 ქულა, 13 მოხსნა)

**ტორონტო:** კარტერი (23 ქულა, 11 მოხსნა)

ჩემპიონი „სან ანტონიო" მილუოკიში თამაშობდა და იქაურ „ბაქსს" ვერ მოერია. „სფურზის" მაღლები — დანკანი და რობინსონი კვლავაც მშვენივრად თამაშობენ, მაგრამ მარტო ამ ორმა ვერ უშველა გუნდს მილუოკში. სტუმართა უკანა ხაზი სადღაც დაკარგულიყო, მასპინძლებს კი სწორედ ამ რგოლში ჰყავთ ძლიერი მოთამაშეები — ფრთა რობინსონი და უკანა ხაზი ალენისა და სემ კასელის (19 ქულა ამ შეხვედრაში) შემადგენლობით. სწორედ ამ სამი კაცის დამსახურებაა, „სან ანტონიომ" სტუმრად რომ ვერ იმარჯვა.

ტრადიციას არ უღალატა და კვლავ წააგო „ჰიუსტონმა", რომლის ბევრი ლიდერები — ჰაკიმ ოლაჯუონი და ჩარლზ ბარკლი ამ თამაშში გამოცოცხლდნენ და „საკრამენტოსთან" მათი გუნდი ბოლო მეოთხედის წინ მხოლოდ ორი ქულის სხვაობით აგებდა. ათასობით გულშემატკივარს იმედი მიეცა, იქნებ ჩვენმა ჯილამ ამჯერად მაინც მოიგოს მშობლიურ დარბაზში („ჰიუსტონმა" ორჯერვე სტუმრად იმარჯვა), მაგრამ „რაკეტებმა" ბოლო, გადამწყვეტი მეოთხედი ძალიან ცუდად ჩაატარეს და საბოლოოდ მთელი თვრამეტი ქულით დამარცხდა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 17-18 ნოემბერი

## A ჯგუფი

### ცსკა 71:82 პაოკ

ცსკა: ალანოვიჩი (2), დაინეკო (15), ეინიკისი (4), კარასიოვი (17), კირილენკო (18), კუდელინი (8), პანოვი (2), სკელინი (2), ტიხონენკო (3), ვეტრა

პაოკ: ალექსანდერი (22), ბალოიანისი (8), ბაზარევიჩი (7), კოლდებელა (14), ედვარდსი (22), იანულისი (4), პერალი (3), ვეტულასი (2)

### ბარსელონა 71:62 შოლე

ბარსელონა: ალსტონი (16), დე ლა ფუენტე (9), დიგბო, დუენიასი (6), ელსონი (2), გასოლი, გოლდვაიერი (13), გუროვიჩი (8), ნავარო (6), როდრიგესი (11)

შოლე: დიუბო (10), ევოდო (4), კარავალია (5), გოტიე (18), ჰეიესი (9), ჟანო (2), მიკუ (9), მილერი (5)

### ცრვენა ზვეზდა 60:70 ბენეტონი

ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (6), ბოშკოვიჩი (5), იესტრატიევიჩი (21), ლუკოვსკი (8), რადმანოვიჩი (6), რაკოჩევიჩი (3), ტიცა (1), ტოპალოვიჩი (10)

ბენეტონი: ედნი (13), მარკონატო (4), ნეესი (9), ნიკოლა (16), პიტისი (2), სანტოსი, შეპარდი (14), ტრაინა (12)

## B ჯგუფი

### ალბა 84:78 რეალი

ალბა: ალექსისი (20), ბოგოევიჩი (5), ფემერლინგი (6), ჰამინკი (2), კინგი (30), ოკულაია (15), პაპიჩი (2), როდლი (4)

რეალი: ა. ანგულო (19), ლ. ანგულო (13), ჯორჯევიჩი (19), გალილეა (4), გნადი (2), იტურბე (5), სკოტი (15), სტრიულენსი (1)

### თოფაში 77:73 ჟალგირისი

თოფაში: ბაში (3), ერდენი (5), გრიფიტი (12), ქონუქი (2), ოქური (17), ფარსი (6), რიმაცი (10), რივერსი (10), როჯერსი (12)

ჟალგირისი: ბეკი (13), მასიულისი (6), შესტოკასი (12), სლანინა (4), ტიმინსკასი (8), ზიდეკი (13), ე. ჟუკაუსკასი (6), მ. ჟუკაუსკასი (11)

### ოლიმპია 71:86 პანათინაიკოსი

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (5), ბრეჟეცი (6), დუშჩაკი (9), გოლემაცი (8), იასიკევიჩუსი (10), კოტნიკი (8), მილიჩი (14), ზადრავეცი (5), ზდოვცი (6)

პანათინაიკოსი: ბოდიროგა (25), ბუდურისი, ბერკი (4), ფოცისი (4), კალაიძისი (4), კატაში (13), კოხი (3), რებრაჩა (19), როჯერსი (14)

## C ჯგუფი

### პივოვარნა 69:80 ვილერბანი

პივოვარნა: დრაგშიჩი (2), გილიჩი (4), გოლოვიცი (17), ჰაფნარი (10), იურაკი (8), კუნცი (4), ლისიცა (11), ნახბარი (7), ტარკოვიჩი (6)

ვილერბანი: ბილბა (5), ბლომი (6), ლარანიაგა (19), ლოვერნი (6), პერსევო (11), პლუვი, სილსი (9), სონკო (24)

### მაკაბი 87:66 ვარეზე

მაკაბი: ბრისკერი (11), კომეგისი, ჰენფელდი (12), ჰაფმანი (23), ჯამჩი (2), მაკდონალდი (10), შარფი (8), შეფერი (10), შელეფი (11)

ვარეზე: კ. ალენი (8), კალამია, ფოიერა (4), ჯადინი (7), მენეგინი (18), სეკუნდა (3), ვესკოვი (11), ვუხერერი (10), ზანუსფორტესი (5)

### ოლიმპიაკოსი 62:73 ულქერი

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (2), ამანატიდისი, დე მიგელი (6), გრანტი (15), პაპანიკოლაუ (11), რობინსონი (14), ტარლაჩი (4), ტომიჩი, ვუკჩევიჩი (10)

ულქერი: ჯ. ალენი (4), აიდინი (3), ერდენაი (12), გონლუმი (5), კოტუროვიჩი (10), ოზთურქი (5), რენკინი (3), სარიჯა (11), თოფსაკალი (7), ილდირიმი (13)

## D ჯგუფი

### ბუდუჩნოსტი 86:80 ეფესი

ბუდუჩნოსტი: ბრკიჩი (19), ბულატოვიჩი (10), კუზმანოვიჩი (13), პაიოვიჩი (9), რადონიჩი (10), ტომაშევიჩი (16), ტოპიჩი (9), ვუკჩევიჩი

ეფესი: ბეშოქი (16), დალი (2), დრობნიაკი (19), ქუთლუაი (11), მულაომეროვიჩი (16), ონანი, თურქოღლუ (16), ვექილოღლუ

### ფორტიტუდო 69:63 კახა სან ფერნანდო

ფორტიტუდო: ანკიზი, ბაზილე (9), ფუჩკა (6), გალანდა (6), გაი (2), კარნიშოვასი (12), იარიჩი (18), პილუტი (4), ს. ვრანკოვიჩი (12)

კახა სან ფერნანდო: კარგოლი, კორალესი (2), ფორტიე (7), რომერო (5), შუტე (3), სკოტი (14), სმიტი (12), სოლანა (2), ტერნერი (18)

### ციბონა 71:69 პო ორტეზი

ციბონა: ალიპოჯიჩი (3), გირიჩეკი (26), კრსტიჩი (17), მარცელიჩი (5), პრკაჩინი (2), სარლია, სესარი, ი. ვრანკოვიჩი (18)

პო ორტეზი: კალაბრია (21), ფატუ (17), დ. გადუ (2), ტ. გადუ (5), გულიაში (16), მაზინგი (4), პიეტრუსი (2), რიზაშე, ტეილორი, ჩილოემბა (2)

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 76:55 | 69:51 | 75:67 | 71:62 | 8.12 | 7 | 1 | 603:535 | 15 |
| 2 | პაოკ | 15.12 | | 8.12 | 83:63 | 83:76 | 82:53 | 5 | 3 | 581:521 | 13 |
| 3 | ბენეტონი | 68:72 | 69:66 | | 16.12 | 73:57 | 88:63 | 5 | 3 | 567:528 | 13 |
| 4 | ცსკა | 76:72 | 71:82 | 77:75 | | 74:54 | 86:62 | 5 | 3 | 594:568 | 13 |
| 5 | შოლე | 70:77 | 48:66 | 64:73 | 8.12 | | 69:59 | 1 | 7 | 500:576 | 9 |
| 6 | ცრვენა ზვეზდა | 86:91 | 65:64 | 60:70 | 65:80 | 16.12 | | 1 | 7 | 513:630 | 9 |

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 16.12 | 79:74 | 96:69 | 100:80 | 86:82 | 8 | 0 | 666:555 | 16 |
| 2 | ალბა | 54:73 | | 81:55 | 84:78 | 69:74 | 80:64 | 4 | 4 | 592:588 | 12 |
| 3 | თოფაში | 59:64 | 76:66 | | 67:71 | 9.12 | 77:73 | 4 | 4 | 568:583 | 12 |
| 4 | რეალი | 8.12 | 90:75 | 16.12 | | 76:74 | 60:70 | 4 | 4 | 574:604 | 12 |
| 5 | ოლიმპია | 71:86 | 78:83 | 87:92 | 73:63 | | 16.12 | 3 | 5 | 622:653 | 11 |
| 6 | ჟალგირისი | 66:82 | 8.12 | 62:68 | 65:67 | 84:85 | | 1 | 7 | 566:605 | 9 |

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მაკაბი | | 73:61 | 54:65 | 87:66 | 89:74 | 84:62 | 6 | 2 | 629:559 | 14 |
| 2 | ვილერბანი | 16.12 | | 61:54 | 84:71 | 60:59 | 100:58 | 6 | 2 | 581:522 | 14 |
| 3 | ოლიმპიაკოსი | 65:63 | 65:55 | | 62:69 | 62:73 | 8.12 | 4 | 4 | 515:502 | 12 |
| 4 | ვარეზე | 79:87 | 9.12 | 16.12 | | 82:86 | 80:70 | 3 | 5 | 600:628 | 11 |
| 5 | ულქერი | 9.12 | 73:80 | 64:86 | 79:70 | | 68:78 | 3 | 5 | 576:607 | 11 |
| 6 | პივოვარნა | 87:92 | 69:80 | 63:56 | 73:83 | 16.12 | | 2 | 6 | 560:643 | 10 |

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ციბონა | | 71:61 | 71:69 | 93:87 | 69:63 | 71:69 | 6 | 2 | 625:611 | 14 |
| 2 | ფორტიტუდო | 92:78 | | 76:56 | 69:63 | 8.12 | 83:58 | 5 | 3 | 579:560 | 13 |
| 3 | ეფესი | 15.12 | 99:63 | | 73:57 | 73:67 | 69:65 | 4 | 4 | 562:547 | 12 |
| 4 | სან ფერნანდო | 9.12 | 60:52 | 62:43 | | 75:73 | 77:60 | 4 | 4 | 555:542 | 12 |
| 5 | ბუდუჩნოსტი | 95:90 | 75:83 | 86:80 | 16.12 | | 68:71 | 3 | 5 | 599:609 | 11 |
| 6 | პო ორტეზი | 75:82 | 15.12 | 8.12 | 79:74 | 68:72 | | 2 | 6 | 545:596 | 10 |

# ჟალგირისი სცენარის ერთგულია

იუგოსლავიაში არასტაბილური სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო, პოდგორიცას „ბუდუჩნოსტი“ ევროლიგის პირველი წრის საშინაო მატჩებს ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში თამაშობდა. შედეგი სავალალო იყო — იუგოსლავიურმა გუნდმა ყველა, ხუთივე მატჩი წააგო, ხოლო სარაევოში ორჯერ დამარცხდა.

დაიწყო მეორე წრე. იუგოსლავიაში სიტუაცია კი ჩაწყნარდა, მაგრამ არც იმდენად, რომ ფიბა-მ იქაურ კლუბებს სამშობლოში თამაშის უფლება მისცეს. „ბუდუჩნოსტმა“ საშინაო სარბიელი უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გადაიტანა. ალბათ, შედეგიც გაინტერესებთ: მეორე წრეში პოდგორიცელებმა ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვეს, ამათგან ორი — ბუდაპეშტში. სამი ტურის წინ ევროლიგის ფსკერზე თითქოსდა უიმედოდ დალექილ გუნდს ჯგუფის საუკეთესო სამეულში მოხვედრის რეალური შანსი გაუჩნდა, რაც მეორე ეტაპზე შედარებით სუსტ მეტოქეებთან შეხვედრის საშუალებას იძლევა.

მერვე ტურში „ბუდუჩნოსტმა“ სტამბოლის „ეფესს“ უმასპინძლა. პოდგორიცელთა გამარჯვება დეიან ტომაშევიჩმა და ბოსნიელმა ჰარის ბრკიჩმა განაპირობეს, რომლებმაც მთელი მატჩი შეუცვლელად ჩაატარეს. ამით ნებისმიერი გუნდის გაკვირვება შეიძლება, ოღონდ „ეფესის“ — არა. სტამბოლელები ხომ იმით არიან ცნობილნი, რომ სასტარტო ხუთეულს თამაშით სულს ხდიან და შეცვლას მხოლოდ ტრავმის ან ხუთი პერსონალურის გამო აკეთებენ. ამჯერადაც ასე იყო — პრედრაგ დრობნიაკმა, დამირ მულაომეროვიჩმა და ჰიდაიეთ თურქოღლუმ მოედანზე 39-39 წუთი დაჰყვეს. მერე კი, ბოლო წუთზე, ერთმანეთის მიყოლებით გავარდნენ. მანამდე, 25-ე წუთზე მეხუთე პერსონალური მიიღო ჰუსეინ ბეშოქმა, თორემ მასაც ბოლომდე მოუწევდა მოედანზე ყოფნა. სრული 40 წუთი ითამაშა იბრაჰიმ ქუთლუაიმ, რომელმაც სამი პერსონალური მიიღო. „ეფესის“ სათადარიგოები კი რასაც წარმოადგენენ, კიდევ ერთხელ გამოჩნდა: „ბუდუჩნოსტმა“ ბოლო წუთზე სწორედ მათი უნიათობის წყალობით მიაღწია გამარჯვებას.

თუკი „ბუდუჩნოსტმა“ საქმეები გამოასწორა, მეორე იუგოსლავიურმა გუნდმა, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“ კრიზისს და ჯგუფში ბოლო ადგილს თავი ვერაფრით დააღწია. ბელგრადელები საშინაო მატჩებს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში თამაშობენ და ჯერჯერობით ერთადერთი გამარჯვებაც იქ მოიპოვეს: პირველ ტურში სალონიკის პაოკ-ს მოუგეს. მას შემდეგ შვიდი ტური გავიდა და „ცრვენა ზვეზდამ“ ზედიზედ შვიდი მარცხიც იწვნია. ამჯერად მისი გამამწარებელი ტრევიზოს „ბენეტონი“ აღმოჩნდა. იუგოსლაველები ვაჟკაცურად იბრძოდნენ, მაგრამ მეტოქის სამქულიანების წინააღმდეგ ვერაფერს გახდნენ. „ბენეტონმა“ კი იმ დღეს 12-დან 9 სამქულიანი ჩააგდო. ამ მხრივ გამოირჩნენ არგენტინელი მარსელო ნიკოლა და ამერიკელი ბრედ ტრაინა, რომლებმაც სამ-სამი სამქულიანი ჩააგდეს.

კაუნასის „ჟალგირისის“ წლევანდელი საევროლიგო მატჩები თითქოს ერთმანეთის ასლებიაო. მათი სცენარი ამგვარია: „ჟალგირისი“ თავიდან აგებს, მერე მეტოქეს წამოეწევა, მეორე ტაიმში კვლავ ჩამორჩება. მატჩის მიწურულს ანგარიშს თითქმის ათანაბრებს და ბოლო წამებზე მაინც მარცხდება. თანაც, კაუნასელები ყოველ მატჩში უკეთ თამაშობენ, ვიდრე წინამორბედში.

თურქეთის ქალაქ ბურსაშიც იგივე მოხდა. „ჟალგირისმა“ 41:39 მოუგო პირველი ტაიმი ადგილობრივ „თოფაშს“. მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, მასპინძლებმა ერთი მონაკვეთი 12:2 მოიგეს და 51:43 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ „თოფაში“ სულ წინ იყო, „ჟალგირისი“ კი ხან მიუახლოვდებოდა მას, ხანაც საგრძნობლად ჩამოშორდებოდა. 38-ე წუთზე ბურსელები 72:60 იგებდნენ და თითქოს, გასარკვევიც აღარაფერი იყო, მაგრამ „ჟალგირისმა“ გაბრძოლება გადაწყვიტა. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, ლიტველებმა დაახლოებით ორწუთიანი მონაკვეთი 13:3 მოიგეს და დამთავრებამდე 4 წამით ადრე „თოფაში“ 75:73 იგებდა. ბურთი თურქების იყო და კაუნასელები შეგნებულად დაჯარიმდნენ ჯუნეით ერდენზე. ამან ორივე საჯარიმო ჩააგდო და „ჟალგირისის“ შეტევას აზრი დაუკარგა. „თოფაშის“ მწვრთნელმა, ხორვატმა იასმინ რეპეშამ შეგირდებიდან განსაკუთრებით შეაქო ამერიკელი რაშარდ გრიფიტი (14 მოხსნა) და მეჰმეთ ოქური (8 მოხსნა), რომლებმაც კაუნასელთა მაღლები ფარს არ მიაკარეს.



მაკაბი — ვარეზე 87:66. ანდრეა მენეგინი (ბურთით) მაკაბელ არიელ მაკდონალდს გაურბის

ამ ჯგუფში გამარჯვებულის ვინაობა კარგა ხანია ცნობილია. ეს გუნდი ამ ტურში ლიუბლიანაში ჩავიდა და გააცამტვერა იქაური „ოლიმპია“, რომელიც თავის დროზე მშობლიურ „ჰალა ტივოლიში“ ნებისმიერ მეტოქეს შიშის ზარს სცემდა. ამჯერად „ოლიმპიამ“ ცუდად ითამაშა, ნასროლი ორქულიანების 55 პროცენტი ჩააგდო, ხოლო სამქულიანების — 27. ცხადია, ამ მაჩვენებლებით წარმატებაზე ფიქრი ძნელია, მაგრამ ნურც ლიუბლიანელთა მეტოქეს დავუკარგავთ შრომას: ადვილი ხომ არაა ნასროლი ორქულიანების 71 პროცენტის და სამქულიანების 55 პროცენტის ჩაგდება? ცხადია, რთულია, მაგრამ თუკი ათენის „პანათინაიკოსი“ ხარ, იქნებ არც იმდენად.

ბერლინის „ალბამ“ კი მადრიდის „რეალს“ მოუგო და უკიდურესად დაძაბა ვითარება B ჯგუფში. ამჟამად „ალბას“, „თოფაშს“ და „რეალს“ თანაბარი ქულები აქვთ. „ოლიმპიას“ ჩამოწერაც ნაადრევია... ერთი სიტყვით, საუკეთესო სამეულში მოხვედრაზე დიდი ბრძოლებია მოსალოდნელი. აქ ბოლო ტურის ბოლო მატჩის ბოლო წუთამდე ვერავინ ვერაფერს იწინასწარმეტყველებს.

სტამბოლის „ულქერის“ ხელმძღვანელობა გუნდის შედეგებით უკმაყოფილო იყო და ამიტომ მწვრთნელი შეცვალა. ახალმა დამრიგებელმა მურათ დიდინმა კი იუგოსლაველი ცენტრი დეიან კოტუროვიჩი აითვალწუნა და სხვა გუნდში გაცვლა მოუნდომა. ის გარიგება დროებით შეფერხდა, მაგრამ ახლა, საეჭვოა, „ულქერი“ კოტუროვიჩს შეელიოს. არიქა, მაგდებენო, ეტყობა იფიქრა იუგოსლაველმა და პირეოსის „ოლიმპიაკოსის“ წინააღმდეგ 10 ქულას 8 მოხსნა და 2 დაფარებაც დაურთო. „ულქერი“ საბოლოოდ დამთავრებამდე 6 წუთით ადრე დაწინაურდა, როცა უფუკ სარიჯამ სამქულიანი ჩააგდო. კარგად ითამაშა 18 წლის ქერემ გონლუმმა, რომელმაც მეტოქის ფარზე რამდენიმე მნიშვნელოვანი მოხსნა გააკეთა.

„ვარეზემ“ მეტად უცნაური ექსპერიმენტი შესვავაზა „მაკაბის“: სასტარტო ხუთეულში ოთხი უკანახაზელი დააყენა და თამაში სამქულიანებზე ააწყო. პირველ ტაიმში ამ ტაქტიკამ გაამართლა — „მაკაბიმ“ სიტუაციას ალღო ვერ აუღო, ხოლო იტალიელთა შორი სროლები მიზანს აღწევდა. მეორე ტაიმში ებრაელებმა დაცვა გაამკაცრეს, „ვარეზემ“ კი სიზუსტე დაკარგა. „მაკაბიმ“ ორივე ფარი აიღო და ანგარიშის ზრდასაც მიჰყო ხელი. ამ გამარჯვებით ებრაულმა გუნდმა გაინაღდა ჯგუფის საუკეთესო სამეულში მოხვედრა.

ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ გაიმარჯვა ბოლონიის „ფორტიტუდომ“, რომელსაც კვლავ არ ჰყავდა კარლტონ მაიერსი, სამაგიეროდ გამოუკეთდა მარკო იარიჩი, რომელმაც 18 ქულა, 6 მოხსნა და 3 პასი გააკეთა. „ფორტიტუდომ“ ექვსი ქულით კი დაამარცხა სევილიის „კახა სან ფერნანდო“, მაგრამ მისი უპირატესობა გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ანგარიშში საბოლოო სხვაობა.

იმ მატჩების ბედი, რომლებშიც ფრანგული გუნდები მონაწილეობდნენ, თითო კაცმა გადაწყვიტა. ციბონელმა გორდან გირიჩეკმა 26 ქულა ჩაუგდო „პო ორტეზს“ და მეტოქის მწვრთნელ კლოდ ბერჟოს ათქმევინა, ეს კაცი ჩვენი კოშმარიაო. „ვილერბანის“ მუსტაფა სონკომ კი პირადად მოუგო ლაშკოს „პივოვარნას“. დამთავრებამდე 6 წუთით ადრე „პივოვარნა“ 61:54 იგებდა. დარჩენილ დროში სონკომ 15 ქულა გააკეთა და, რაც მთავარია, თანაგუნდელები აიყოლია. აღსანიშნავია, რომ ფრანგები დაშავებული ლიდერის, ამერიკელი მარლონ მაქსის გარეშე თამაშობდნენ.

**მერაბ რატიშვილი**

ვაქირავებ ან ვყიდი

გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას

ტელეფონით და ბუნებრივი გაზით სარაჯიშვილის მეტროსთან

☎ 60 21 23

# მაიკლ გეჯროვიცის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი ორმოცდამერვე

# ყრმა მუჰამედი

1964 **წლის** 26 თებერვალს, კასიუს მარცელიუს კლეიმ, რომელიც წინა საღამოს მძიმე წონის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა მაიამიში, განაცხადა, რომ აღარ სურს ატაროს გვარი, რომელიც მის მონა წინაპრებს მონათმფლობელებმა მიანიჭეს, ამიერიდან მუჰამედ ალი დამიძახეთო, ასეთი იყო მისი მოთხოვნა.

მალევე მუჰამედ ალი ჩაეწერა „შავ მუსულმანთა“ სექტაში, რომლის უფროსობამაც წამსვე გამოაცხადა თავის მსოფლიო მქადაგებლად.

სონი ლისტონთან მისი შეხვედრით გამოწვეული სკანდალი და ესტეს კეფოვერის სენატის კომისიის გამოძიება ამ ამბავთან დაკავშირებით, ვილას ახსოვდა: ამერიკაში (და მსოფლიოშიც) გამოჩნდა მოკრივე, რომელიც რელიგიასა და პოლიტიკაზე ალაპარაკდა. ასეთი რამ აქამდე არავის სმენოდა.

და ეს „შავი მუსულმანები“ ვინღა იყვნენ, მსოფლიოს ჩემპიონი რომ მოხიბლეს?

კლეი დიდი ქაქანა, ტრაბახა და ლაქლაქა ვინმე იყო. ახალშობილი ალი კი ცოტას და სერიოზულად ლაპარაკობდა. დედამისი, ოდეტა გაოცებული ამბობდა: „რამდენიმე თვეში შეიცვალა“.

მისი ყოფილი ვექილი (დღეს ცნობილი საკრივო მოღვაწე) ბობ არუმი კი ღიმილით ამბობდა: „კასიუსი კარგი ბიჭია, ოღონდ თეთრები არ უყვარს“.

ბობს ენახა, როგორ უსმენდა 20 წლის კასიუსი „შავ მუსულმანთან“ ლიდერის მალკოლმ იქსის ქადაგებას. კასიუსი პირდაღებული იყო. მალკოლმ იქსი კი, რომელიც 1965 წელს დაცხრილეს ქუჩაში, ამბობდა, რომ შავი რასიზმი მართალი საქმეა, რომ შავები თეთრებზე უკეთესები არიან, რომ სეგრეგაცია შავების სასარგებლოდ უნდა არსებობდეს, რომ სიძულვილი გაამარჯვებინებს შავ ხალხს და ა. შ. მოკლედ, ის ჩვეულებრივი რასისტი იყო და სხვა შავი მებრძოლის, პასტორ მარტინ ლუთერ კინგის სრული ანტიპოდი.

ალის დედა ბაპტისტი იყო, მამა, ასევე კასიუსი — მეთოდისტი. თვითონ კი ადგა და მუსლიმთა მეტად თავისებურ და აგრესიულ ფრთას მიემხრო. მეტიც, ძმა რუდიც აიყოლია და რაჰამან ალიდ მონათლა. სხვათა შორის, რუდიც მოკრივე იყო, მაგრამ ვერ გაქაჩა.

მაშ, რა უნდოდა კასიუსს „შავ მუსულმანებში“? თეთრები არ უყვარსო თქვა ბობ არუმმა, მაგრამ თეთრები ეზიზღებოდაო, ამას ვერავინ იტყოდა. თავადაც არ ამბობდა, ასე.

ერთხელ ჰკითხეს.

— გეზიზღებათ რინგზე გამოსული თეთრი მოკრივე?

— თეთრია, თუ შავი, მოწინააღმდეგეა. უნდა მოუგო. ფერს რა მნიშვნელობა აქვს? — მიუგო ალიმ.

— ჰო, მაგრამ რატომ არ გიყვართ თეთრები?

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. შავი ვარ და შავი კაცი ახლოა ჩემთვის.

— ჯონ კენედი ხომ იბრძოდა შავების უფლებებისთვის. ის ხომ თეთრი იყო?

— ის თეთრი იყო და თეთრებმა მოკლეს. არ აპატიეს. შეუძლებელია, შავები და თეთრები ვერ იცხოვრებენ ერთ სახლში. მთელი ამ უფლებათა გათანაბრების ბრძოლიდან არაფერი გამოვა. შავებმა სხვა რამისთვის უნდა იბრძოლონ.

„შავ მუსულმანთა“ კატეხიზისიდან ალიმ აირჩია ერთადერთი — პროტესტი. მან მუსულმანობა კი არ აირჩია, არამედ პროტესტის ფორმა. ამიტომ უარყო წინაპართა გვარი და რწმენა.

აი, რას ამბობდნენ შავი მუსულმანები: „ჩვენ ჩვენი მიწა გვინდა. ამერიკის მთავრობამ შეღავათიანი პირობით უნდა მოგვცეს ეს მიწები. ან თავის ქვეყანაში, ან სადმე დედამიწაზე. ის, ვინც ჩვენი ბატონი იყო და მუქთად ამუშავებდა ჩვენს წინაპრებს, ვალშია ჩვენთან. ეს მიწა უდაბნო კი არ უნდა იყოს, არამედ მდიდარი და ნოყიერი. ჩვენ მოგვწყინდა სილატაკე და უუფლებობა“.

ამასობაში კი ალის, ცოლი გაშორდა — ფოტომოდელი სონი როი.

სონიც დიდად ქედმაღალი ვინმე იყო. გაზეთებსა და ჟურნალებში ქმრის ფოტოებს ითვლიდა, თავისი ფოტოების რაოდენობას ადარებდა და მოითხოვდა, მეტი გადამიღეთ, პირველ პლანზე მე უნდა ვიყოო. მათი განქორწინების სასამართლო თვეებს გადასწვდა, ბოლოს კი სონიმ თქვა, ამ კაცთან ოჯახური ცხოვრება შეუძლებელიაო.

რატომ?

იმიტომ„ რომ „შავ მუსულმანთა“ წევრ კაცს, ცოლიც თავის ჭკუაზე უნდა ჰყავდეს. ანუ, სონის არ უნდა ევლო ბარში, არ უნდა ეცეკვა და ემღერა, არ უნდა ჩაეცვა ჭრელი სამოსი, მოკლე კაბა და ასეთი რამეები. და როგორ უნდა იცხოვროს ფოტომოდელმა ამეების გარეშე. თავად ალი კი...

მან სიგარეტსაც კი დაანება თავი და ყლუპი სასმელი არ დაულევია. სიმღერის მოყვარულიც კარგახანს დადუმდა. მთავარი უცნაურობა ამ საკითხში ის იყო, რომ მალკოლმ იქსი კრივს ებრძოდა. „შავ მუსულმანებს“ კრივი ზანგთა გამდიდრების არასწორ საშუალებად მიაჩნდათ და მასში მონაწილეობას კრძალავდნენ. გამონაკლისი მხოლოდ მუჰამედისა და მისი ძმისთვის დაუშვეს. მსოფლიოს ჩემპიონის მათ შორის ყოფნა ათასობით ახალ წევრს იზიდავდა სექტაში.

გვერდიდან თუ შევხედავთ, ალი სულ სხვაგვარად წარმოჩნდა. საზოგადოების თვალში გაქია და უზრდელი ლუიზიანელი ხოჭოს ნაცვლად ხალხმა დაინახა ვიღაც ღინჯი, სერიოზული, ლამის ფანატიკური მქადაგებელი, რომელიც წამდაუწუმ იმეორებს:

— თუ ილაიჯი მუჰამედს დასჭირდა, სიცოცხლეს შევწირავ!

ეს ილაიჯი მუჰამედი კი იყო სექტის მთავარი მოძღვარი, იმხანად ოთხმოცს გადაცილებული კაცი, რომელიც მალკოლმ იქსმა „ალაჰის მოადგილედ და მსოფლიოს ყველა შავის პატრონად“ გამოაცხადა.

ილაიჯი მუჰამედის ნათქვამია:

— კრივი თახსირი სანახაობაა. ადამიანები ფულის გულისთვის სცემენ ერთმანეთს.

ისინი ხშირად ჩანდნენ ხოლმე ეკრანზე ერთად. ალი ყოველთვის თავდახრილი და მორიდებული იყო. კაცი, რომელიც რინგზე გასვლისას კიოდა, დიადი და განუმეორებელი ვარო. ამის გამო ილაიჯის უთქვამს, თავის ხელობაში დიადია, მაგრამ ჩვენთვის ყველას თანასწორი შვილობილიაო.

1966 წელს ალის კონტრაქტი დაუმთავრდა ლუისვილის მენეჯერთა კონსორციუმთან, ანუ იმ ხალხთან, ვინც ის მსოფლიოს ჩემპიონობამდე მიიყვანა. მისი ახალი მენეჯერი კი შეიქნა კაცი, რომელიც არა მხოლოდ მენეჯერი იყო, არამედ სულიერი მამაც. ამ კაცს ჰერბერტ მუჰამედი ერქვა და იმ ბებერ ილაიჯის შვილი იყო.

როდესაც კონტრაქტის ვადა იწურებოდა ალის არჩევა შეეძლო:

ან უნდა დარჩენილიყო ლუისვილელთა ხელში და ამით იატაკქვეშა ბიზნესის ფრთის ქვეშ შესულიყო, ან მყვირალა ორგანიზაციის, სექტის მფარველობა მიეღო. პირველი, შავი ბიზნესის გზა გათელილი იყო — მას მიუყვებოდა ლამის ყველა ცნობილი მსოფლიოს ჩემპიონი. მეორე გზა უცნობი, სარისკო და სახიფათო — „შავი მუსულმანების“ ხელქვეითობა.

მან მეორე ირჩია.

ლუისვილის კონსორციუმი ამას არ ელოდა.

ცნობილმა ვექილმა ტრუმენ გიბსონმა, რომელიც მეგობარი იყო 50-იანი, 60-იანი წლების საკრივო მაფიის მამების, ფრენკი კარბოსი და ბლინკი პალერმოსი, თქვა:

— ალი რომ მუსულმანი არ ყოფილიყო, და მის უკან ილაიჯი არ მდგარიყო, სინდიკატი არ დაკარგავდა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულზე კონტროლის ბერკეტებს. „შავმა მუსულმანებმა“ ხერხემალი გადაუმსხვრიეს განგსტერებს.

სწორედ 60-იანი წლების შუახანებში დააპატიმრეს კარბო და პალერმო. პირველი ციხეშივე მიიცვალა, მეორე კი თხუთმეტი წლის შემდეგ გამოვიდა სატუსაღოდან.

ალის წრფელადაც მოსწონდა სექტა და მისი წესების აღსასრულებლად ვარჯიშსაც კი წყვეტდა ხოლმე. მან იქ რაღაც მოისმინა, ეგებ ბევრისთვის მიუღებელი, მაგრამ მისთვის იმხანად საჭირო. ის მეტად ნიჭიერი, მრავალმხრივი კაცი იყო. პირველი მოკრივე იყო, რომელმაც კრივი ცხოვრებას ჩააბა, პოლიტიკას და რელიგიას დაუკავშირა. წლების განმავლობაში მისი „შავი მუსულმანობა“ შესუსტდა, თუმცა დღემდე პატივს სცემს მათ წესებს და ადათებს.

მქადაგებლად უკეთესს ვერც ინატრებდი, სონი ლისტონმა თქვა ერთხელ, ეგეთი მოლაყაფე არ მინახავს, ოღონდ რამე ათქმევინე და ჩრდილოეთ პოლუსზე წავაო.

ეგებ, მისი ეს თვისებაც იყო მიზეზი „შავ მუსულმანებში“ ჩაწერისა?

ხუთი წლის მანძილზე ალი წარმატებით ასრულებდა ქაქანა, ყოვლისმცოდნე ფანფარონის როლს. ლაპარაკის ხელოვნება, მისი ერთ-ერთი ნიჭი იყო, არანაკლები, ვიდრე საკრივო.

მისი ხასიათი, განუმეორებელია კრივში და რახან მოვიგონეთ დიდი ჩემპიონის ცხოვრების ერთი კუთხე, მასვე მოვუსმინოთ.

ქადაგებს მუჰამედ ალი:

„ერთხელ საღამოს, მომერევიან რინგზე. სულერთია, რომელი ქვეყნის რომელ ქალაქში. მე მართლა წავაგებ. ზუსტად ვიცი, რომ როცა დადგება ეს საღამო, ხელთათმანებს მოვისვრი და საკრივო საქმეს მივატოვებ. აღარასოდეს მექნება ჩემპიონობის სურვილი. წავალ სადმე, სადაც არავინ მიცნობს, ვიყიდი დიდ სახლს, შევირთავ ცოლს და ჩვენ ათ შვილს გავაჩენთ, თანაც ისე, რომ ბავშვები ერთმანეთის მიყოლებით გაიზარდონ. მათ ფილმებს, ძველ გაზეთებს, ჟურნალებს ვაჩვენებ. იქ მე მიპოვნიან და ჩემს უმცროს ვაჟს მუხლებზე დავისვამ. მას ვეტყვი: აი, ბიჭო, მამაშენს ყველაზე მეტს დასცინოდნენ, მაგრამ იმავდროულად მისი ამბავი ყველაზე მეტად აინტერესებდათ. ის ყველაზე მეტად სძულდათ და ყველაზე მეტად უყვარდათ. ის იყო ყველაზე გასაგები და გაუგებარი და, იმავდროულად, ყველაზე მკვეხარა და თავმდაბალი მოკრივე მსოფლიოში, უდიადესი და ჭიანჭველა“.

ასეთი იყო, მაგრამ რომ წააგო, არ წასულა სადღაც. დაბრუნდა და მოიგო. კიდევ და კიდევ მისი სიტყვებიც ადასტურებს რომ ასე მოიქცეოდა და არა სხვაგვარად.



დაღლილი ალი



ლუისვილელი მენეჯერი ალის ჭკუას არიგებს




ალი ილაიჯა მუჰამედის წიგნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისელები ევროპაში დაბრუნდნენ

ამ უქმეებზე მორაგბეთა ევროპის თასის მეხუთე გათამაშება იწყება. ტურნირს კვლავ დაუბრუნდნენ ინგლისური კლუბები, რომლებმაც შარშან ფინანსურ საკითხებში შეუთანხმებლობის გამო ბოიკოტი გამოაცხადეს. იასპარეზებენ შარშან საკუთარი ფედერაციის მიერვე მოკვეთილი უელსური კლუბებიც — „კარდიფი“ და „სუონსი“. აქედან გამომდინარე, შეიკრიბება 24 გუნდი, რომელთაგან ექვსი ინგლისურია, ექვსი — ფრანგულია, ხუთი — უელსური, სამი — ირლანდიური, ორ-ორიც შოტლანდიური და იტალიური. ევროპის თასის პირველი ეტაპი ორ თვეს, 16 იანვრამდე გასტანს, რის შემდეგაც მეოთხედფინალში თითოეული ჯგუფის გამარჯვებული და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი გავლენ. მეოთხედფინალები 15 აპრილს გაიმართება იმ გუნდების მოედნებზე, რომლებიც ჯგუფურ ტურნირში უკეთეს შედეგებს მიაღწევენ. სამაგიეროდ, ნახევარფინალები (6 მაისი) და ფინალი (27 მაისი) ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდება, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაც აუცილებლად ნეიტრალური იქნება. მაგალითად, თუ ფინალში „ტულუზი“ და „ლესტერი“ გავიდნენ, შეიძლება მათ ტურნირის გამარჯვებულის ვინაობა პარიზში გაარკვიონ.

ახლა ორიოდ სიტყვა ჯგუფების თაობაზე.

I ჯგუფში მთავარი ბრძოლა ინგლისის ჩემპიონ „ლესტერსა“ და საფრანგეთის თასის მფლობელ „სტად ფრანსეს“ შორის უნდა გაჩაღდეს. „ლეინსტერსა“ და „გლაზგოს“ სპეციალისტები სათვალავში არ აგდებენ და ისინი, ალბათ, ინგლისურ-ფრანგულ დავაში ვერც ჩაერევიან. სავსებით მოსალოდნელია, რომ ერთი საუკეთესო მეორეადგილოსანი სწორედ „ლესტერსა“ და „სტად ფრანსეს“ დუელში დამარცხებული გახდეს.

საკმაოდ ძლიერია II ჯგუფი და მისი გამარჯვებულის წინასწარ გამოცნობა თითქმის შეუძლებელია. ერთი რამ კი მაინც ნათელია — ბოლო ადგილზე ალბათ, იტალიური „პადოვა“ გავა. პირველობას კი ვინ დაისაკუთრებს, ვერავინ იტყვის. საფრანგეთის ჩემპიონ „ტულუზს“, უელსის თასის მფლობელ „სუონსის“ და 1997-98 წლის ევროპის თასის მომგებ ინგლისურ „ბათს“ თითქმის თანაბარი შანსები აქვთ.

ყველაზე გაწონასწორებული და თანაბარი III ჯგუფი ჩანს. საფრანგეთის ჩემპიონატის ნახევარფინალისტი „ბურგუენი“, ევროპის თასის ბოლო გათამაშების გამარჯვებული ირლანდიური „ოლსტერი“, უელსის ჩემპიონი „ლიანელი“ და ინგლსის თასის მფლობელი „უოსპსი“, რომელშიც ამ ზაფხულს სკანდალში გახვეული ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ლოურენს დალალიო თამაშობს, ერთმანეთს ქულებს იოლად არ დაუთმობენ. აქაური მეორეადგილოსნის შემდეგ ეტაპზე გასვლაც ნაკლებადაა სავარაუდო.

I ჯგუფის მსგავსად, IV-შიც ინგლისელები და ფრანგები იბრძოლებენ



ლოურენს დალალიო

პირველობისთვის. უელსურ „პონტიპრიდს“ თავისი საუკეთესო მორაგბე, საერთაშორისო სანაკრებო მატჩებში მსოფლიოში ყველაზე მეტი ქულის მომხვეჭი ნილ ჯენკინსი რომ შეენარჩუნებინა, მაშინ იქნებ სხვაგვარად ყოფილიყო. საუკეთესო მეორეადგილოსანი აქედანაც შეიძლება იყოს.

საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონ „მონფერანს“ V ჯგუფის ფავორიტად კი თვლიან, მაგრამ ეს ერთობ საკამათო აზრია. თვით ჯგუფის აუტსაიდერად მიჩნეული იტალიის ჩემპიონი „ტრევიზოც“ კი, სადაც ნაკრების 9 წევრი თამაშობს, არაა ხელწამოსაკრავი გუნდი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვებზე. ლონდონური „ჰარლეკინსი“, ვისი მთავარი ძალა ნაოლბლექსელი ზინზან ბრუკია, „მონფერანის“ მთავარი მეტოქე იქნება. საკმაოდ ძლიერი გუნდია „კარდიფიც“, რომლის ამ ტურნირზე მოხვედრაც, ცოტა არ იყოს, უცნაურია. საქმე ისაა, რომ უელსში ეს უფლება „ებ ვეილმა“ მოიპოვა, მაგრამ ქვეყნის ფედერაციამ მისგან ეს უფლება ნაკრების წევრებით გაძლიერებული „კარდიფისთვის“ გამოისყიდა (!)

ყველაზე სუსტი VI ჯგუფია, მიუხედავად იმისა, რომ მასში ინგლისის ვიცე-ჩემპიონი „ნორთემპტონია“. ვერც „ედინბურგი“, ვერც „ნითი“ და ვერც „გრენობლი“, წესით, ინგლისელებს პირველობას ვერ უნდა შეეცილონ და მხოლოდ მეორე ადგილისთვის იბრძოლონ. ფავორიტი საფრანგეთის ჩემპიონატის ნახევარფინალისტი „გრენობლია“.

რა თქმა უნდა, ევროპის თასი ჯერ კიდევ ვერ შეედრება ზე 12-ს, მაგრამ ბებერ კონტინენტზე ყველაზე საინტერესო საკლუბო ტურნირი კი ნამდვილად არის და იქნებ ცოტა ხანში სამხრეთელებივით ჩრდილოური კლუბების დონეც ამაღლდეს.

**ბაიოჯ თალაქვაძე**

### ევროპის თასი
ჯგუფური ტურნირი

| I ჯგუფი | |
|---|---|
| გლაზგო | (შოტლანდია) |
| ლესტერი | (ინგლისი) |
| ლეინსტერი | (ირლანდია) |
| სტად ფრანსე | (საფრანგეთი) |
| **II ჯგუფი** | |
| ბათი | (ინგლისი) |
| პადოვა | (იტალია) |
| სუონსი | (უელსი) |
| ტულუზი | (საფრანგეთი) |
| **III ჯგუფი** | |
| ბურგუენი | (საფრანგეთი) |
| ლიანელი | (უელსი) |
| ოლსტერი | (ირლანდია) |
| უოსპსი | (ინგლისი) |
| **IV ჯგუფი** | |
| კოლომიე | (საფრანგეთი) |
| მანსტერი | (ირლანდია) |
| პონტიპრიდი | (უელსი) |
| სარაცენსი | (ინგლისი) |
| **V ჯგუფი** | |
| კარდიფი | (უელსი) |
| ჰარლეკინსი | (ინგლისი) |
| მონფერანი | (საფრანგეთი) |
| ტრევიზო | (იტალია) |
| **VI ჯგუფი** | |
| ედინბურგი | (შოტლანდია) |
| გრენობლი | (საფრანგეთი) |
| ნითი | (უელსი) |
| ნორთემპტონი | (ინგლისი) |



# ლიგაში ძალიან დათბა
## სამხრეთში ფულიც არის და ჯიგარიც

18 ნოემბერი

**ბოსტონი — რეინჯერსი 5:3**

0:0 3:0 2:3

1:0 კარტერი 26'42 (6); 2:0 ელისონი 28'24 (1); 3:0 გილი 36'09 (1); 4:0 ბეიტსი 43'46 (1); 4:1 ჰლავაჩი 45'58 (2); 4:2 ნაბლი 48'50 (3); 4:3 გრეივსი 55'13 (4); 5:3 ტორნტონი 59'58 (4)

**ოტავა — სან ხოსე 1:4**

0:0 1:2 0:2

1:0 დაინინი 25'19 (1); 1:1 კოროლიუკი 33'40 (8); 1:2 შტურმი 36'00 (4); 1:3 დამფუსი 56'15 (7); 1:4 ლოური 57'20 (1)

**ფილადელფია — დალასი 1:1**

1:0 0:0 0:1 0:0

1:0 ლანგკოუ 4'56 (4); 1:1 მოდანო 59'29 (7)

**ტამპა — პიტსბურგი 2:1**

2:0 0:0 0:1

1:0 პეტროვიცკი 10'27 (2); 2:0 კუბინა 16'37 (2); 2:1 ტიტოვი 57'22 (5)

**ნეშვილი — მონრეალი 6:1**

2:0 1:1 3:0

1:0 ვალიჩევიჩი 3'23 (6); 2:0 რონინგი 7'06 (6); 2:1 დაიპიუსი 27'00 (2); 3:1 ტიმონენი 29'45 (3); 4:1 ვალიჩევიჩი 40'15 (7); 5:1 უოკერი 52'36 (1); 6:1 მაუერსი 55'23 (1)

**სენტ ლუისი — ფლორიდა 3:0**

0:0 0:0 3:0

1:0 დემიტრა 45'18 (9); 2:0 დემიტრა 46'22 (10); 3:0 ჰანდზუსი 57'33 (8)

**ლოს ანჯელესი — ფინიქსი 2:3**

1:1 1:1 0:1

0:1 სალივანი 17'40 (1); 1:1 ბერგი 18'29 (1); 2:1 ოდეტი 23'42 (9); 2:2 ლეტოვსკი 31'24 (5); 2:3 ტკაჩუკი 46'07 (6)

ოციოდე წლის წინ ამ შედეგებისთვის მონრეალის თავკაცს არ დაინდობდნენ და უმალვე გაათავისუფლებდნენ, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ლიგის ყველაზე სახელოვანმა კლუბმა ისე მაჩვია მაყურებელი წარუმატებლობას, რომ არავის აღარაფერი უკვირს. მართალია, კლუბს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლია, მაგრამ ესოდენ სასახელო ისტორიის მქონე გუნდს ნეშვილთან (მხოლოდ მეორე სეზონია, რაც ლიგაში ასპარეზობს) ასეთი განადგურება ნამდვილად არ ეპატიება. თანაც მორიგი სირცხვილი მონრეალს ისეთმა მოთამაშეებმა აჭამეს, რომლებზეც, ისევე როგორც ნეშვილზე, ორი წლის წინ არავინ არაფერი იცოდა. „მტაცებელთა“ 6 შაიბიდან 3 კიმო ტიმონენმა (ბულიტით) და რობ ვალიჩევიჩმა შეაგდეს, თანაც ამ უკანასკნელს ბოლო 4 მატჩში უკვე 6 გოლი მოუგროვდა. ნეშვილმა თუ ასე გააგრძელა, აუცილებლად იბრძოლებს პლეი ოფში გასასვლელად.



REUTERS ხუნტ ლუუისიდან

სენტლუისელი ჯამალ მაიერსი (21) და ფლორიდელი ლენს პიტლიკი ერთმანეთს ჰაერში შეხვდნენ

წლეულს ძალიან უცნაურად ვითარდება მოვლენები. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ დღის ცენტრალური მატჩები ოტავა — სან ხოსე და ლოს ანჯელესი — ფინიქსი აღმოჩნდებოდა და სწორედ მათ შედეგებზე იქნებოდა დამოკიდებული, ვინ მოხვდებოდა სატურნირო ცხრილის თავში. კალიფორნიული კლუბები, სან ხოსე და განსაკუთრებით ლოს ანჯელესი მშვენივრად ირჯებიან, თან „მეფეებს“ კარგა ხანია, ორი წამყვანი მოთამაშე აკლიათ — ლუკ რობიტაილი და იოზეფ შტუმპელი.

სწორედ ამან განაპირობა, რომ სრულიად თანაბარ თამაშში ლოს ანჯელესმა მესამე პერიოდში გადამწყვეტი შაიბა გაუშვა, რომელიც ფინიქსის მრავალწლიანმა ლიდერმა, კეიტ ტკაჩუკმა მიითვალა. სან ხოსემ კი „მეფეთა“ წაბორძიკებით ისარგებლა, თავის ისტორიაში ოტავაში პირველად გაიმარჯვა და ჩემპიონატის ლიდერიც შეიქნა. სან ხოსეს მწვრთნელი დერილ სატერის თქმით, გერმანელი მარკო შტურმის მიერ უმცირესობაში გატანილი გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა. კალიფორნიული სამეულისა და ფინიქსის ესოდენ წარმატებულად ასპარეზობამ, რის გამოც წყნარი ოკეანის დივიზიონი დღესდღეობით საუკეთესოა ლიგაში, ეტყობა, დააბნია სახელოვანი თანადივიზიონელი, დალასი. ფილადელფიაში „ვარსკვლავები“ ბეწვზე გადარჩნენ და კვლავ ჩამორჩებიან კონკურენტებს. ამის ძირითადი მიზეზი კი თავდასხმის სუსტი თამაშია (გატანილი გოლებით დალასი მხოლოდ სამ მაჩანჩალას უსწრებს).

კალიფორნიული და საერთოდ აშშ-ის სამხრეთის გუნდების (თუნდაც ფლორიდა აიღეთ) წარმატება იქნებ ვინმემ მათი სიმდიდრით ახსნას, მაგრამ ეს რომ ასე არ არის, ამაზე რეინჯერსის მაგალითიც მეტყველებს. ნიუიორკელებმა კვლავ წააგეს და კიდევ უფრო გააუარესეს თავიანთი მწვრთნელის, ჯონ მაკლერის მდგომარეობა. მართალია, ბოსტონში ახალგაზრდების — იან ჰლავაჩისა და ჰარი იორკის ძალისხმევით სტუმრებმა ლამის შეუძლებელი შეძლეს და 0:4 3:4 გახადეს, მაგრამ მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ.

ახლა კი ორ ამბავსაც გაუწყებთ იარომირ იაგრის შესახებ. სამშაბათს იაგრმა ტრავმა მიიღო, მაგრამ მეორე დღესვე უკეთ იგრძნო თავი და ითამაშა კიდეც, თუმც ტკივილმა მაინც შეაწუხა, ჩვეულად ვერ გამოიყურებოდა. პარტნიორებმაც, რომლებიც ტრადიციულად ისევ სუპერჩეხს მისჩერებოდნენ, ვერაფერი გააზერხეს და პიტსბურგი სამი გამარჯვების შემდეგ დამარცხდა. როგორც მერე გაირკვა, იაგრს ტრავმა გაურთულდა და შესაძლოა, დასვენება დასჭირდეს.

**სამველ ლარიბიანი**

### სატურნირო ვითარება

**ჩრდილო-აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 20 | 12 | 1 | 1 | 7 | 57:43 | 26 |
| ტორონტო | 21 | 11 | 3 | 1 | 7 | 60:43 | 26 |
| ბოსტონი | 20 | 9 | 5 | 0 | 6 | 55:48 | 23 |
| ბუფალო | 19 | 7 | 2 | 0 | 10 | 50:56 | 16 |
| მონრეალი | 20 | 5 | 1 | 1 | 14 | 38:55 | 12 |

**ატლანტა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 20 | 10 | 3 | 1 | 7 | 57:46 | 24 |
| ნიუ ჯერსი | 18 | 9 | 3 | 1 | 6 | 48:42 | 22 |
| რეინჯერსი | 20 | 6 | 3 | 0 | 11 | 43:56 | 15 |
| პიტსბურგი | 17 | 5 | 3 | 2 | 9 | 55:57 | 15 |
| აილენდერსი | 15 | 4 | 2 | 0 | 9 | 29:46 | 10 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფლორიდა | 19 | 10 | 2 | 2 | 7 | 51:45 | 24 |
| კაროლინა | 18 | 8 | 3 | 0 | 7 | 43:47 | 19 |
| ტამპა | 18 | 7 | 1 | 1 | 10 | 51:58 | 16 |
| ვაშინგტონი | 17 | 6 | 3 | 1 | 8 | 45:53 | 16 |
| ატლანტა | 16 | 4 | 2 | 1 | 10 | 37:60 | 11 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 19 | 12 | 3 | 1 | 4 | 65:41 | 28 |
| სენტ ლუისი | 19 | 12 | 1 | 0 | 6 | 59:43 | 25 |
| ნეშვილი | 17 | 7 | 1 | 1 | 9 | 45:52 | 16 |
| ჩიკაგო | 18 | 4 | 4 | 1 | 10 | 46:56 | 13 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვანკუვერი | 19 | 9 | 4 | 1 | 6 | 57:60 | 23 |
| კოლორადო | 19 | 8 | 3 | 1 | 8 | 52:50 | 20 |
| ედმონტონი | 18 | 5 | 5 | 3 | 8 | 45:46 | 18 |
| კალგარი | 19 | 5 | 2 | 0 | 12 | 44:67 | 12 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 24 | 13 | 2 | 1 | 9 | 73:59 | 29 |
| ლოს ანჯელესი | 21 | 12 | 4 | 0 | 5 | 67:53 | 28 |
| ფინიქსი | 20 | 11 | 3 | 0 | 6 | 61:51 | 25 |
| ანაჰაიმი | 20 | 9 | 2 | 1 | 9 | 52:49 | 21 |
| დალასი | 19 | 8 | 3 | 0 | 8 | 41:44 | 19 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში ნაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ გრაფაში კი ჩატარებული თამაშების რაოდენობაა მოყვანილი*

# კოიოტები ხაბიბულინს დაჯიჯგვნას უპირებენ

**ისევ** რუსი, ისევ შეუთანხმებლობა, ისევ ჩიხი. როგორც ჩანს, ფინიქსის მეკარე ხაბიბულინს „კოიოტებთან“ ურთიერთობა ძალიან გაურთულდა. კლუბმა მეკარესთან მოლაპარაკებების ახალი რაუნდი დაიწყო და მეორე დღესვე რუსი საკმაოდ მკაცრი განცხადებით გამოვიდა. „ძალიან გაბრაზებული და ნაწყენი ვარ“ — თქვა ხაბიბულინმა ადგილობრივი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში, ხოლო მისმა აგენტმა ჯეი გროსმანმა დასძინა, რომ ფინიქსი უკანონო მეთოდებს მიმართავს და არც მუქარას ერიდება.

და მაინც, რამ გააბრაზა რუსი ჰოკეისტი? აგენტის თქმით, მას შემდეგ, რაც მათ უარყვეს გროსმანის წინადადება (5 წელი და 20 მილიონი დოლარი), კლუბის წარმომადგენლებმა მეკარე დააშინეს, რომ მალე კიდევ უფრო არახელსაყრელ პირობებს წაუყენებდნენ და ურჩ მოთამაშეს „დედლაინის“ ვადას გამოუცხადებდნენ.

ხაბიბულინი 1997-98 წლების სეზონში 910 ათას, ხოლო შარშან 1,25 მილიონ დოლარს იღებდა, პლუს დაახლოებით 600 000-მდე ბონუსს, თანაც ხაბიბულინის არყოფნაში მისი შემცვლელები — მიხაილ შტალენკოვი



ნიკოლაი ხაბიბულინი

და ბობ ესენცა კარგად ასპარეზობენ, გუნდიც სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე იმყოფება.

ჩიკაგო კი ცნობილ ფორვარდ უენდელ კლარკთან გამომშვიდობებას აპირებს. შარშან ტამპასა და დეტროიტში მოასპარეზე 32 გოლის ავტორი წლეულს „ქორებს“ ვერაფრით ეხმარება (2 გოლი 17 მატჩში). გენერალური მენეჯერი ბობ მიურეი მისით ერთობ უკმაყოფილოა, გუშინ კი ეგრეთ წოდებული „ვეივერში“, ანუ გასაყიდად წარდგენილთა სიაშიც მოექცა.



REUTERS

# დონი და დონია

პანამაში ჩაფრენილა [illegible]-პრომოუტერთა მეფე დონ კინგი. პანამის დედაქალაქ პანამაში ხომ მალიმალ შეიყრებიან ხოლმე ასოციაციის (ვბა) თავკაცები და მავანი პრომოუტერები, რათა სამომავლო გეგმები დასახონ. ამ ჯერზე, საკითხთა შორის ერთ-ერთია უდავო ჩემპიონ ლენოქს ლუისისთვის ასოციაციელ პრეტენდენტის გამოძებნა. ხოლო სადაც ბრძოლის ამბავი ირკვევა, დონიც იქაა. ჩვენ რაც არ უნდა ვლანძღოთ, ამ ბიძას სიტყვა-პასუხი და ხელის გაშლა არ ემლება — პანამის პირველ ლედის დონია რუბი მოსკოსოს ჩახუტებია და ასიათასი დოლარის ჩეკი მიურთმევია ღატაკთა ფონდში ჩასარიცხად.





REUTERS

# ყმენობა ჰავანაში

დიდ კომანდანტე ფიდელ კასტროს რომ ყველაფერი შეუძლია, ცნობილი ამბავია. თევზაობა, ქვეყნის მართვა, მთელი დღე ლაპარაკი, თოფის სროლა და ასეთი რამეები მისთვის უცხო არ არის. სახალხო დიქტატორია და ერთ-ერთ ხელობად ბეისბოლის თამაშიც აქვს. თუმცა, უკვე მობერებულს კეტი ხელიდან გაუგდია და მწვრთნელობა გაუწევია. ეს ყველაფერი კი ხუთშაბათს მომხდარა ჰავანაში, სადაც სახელმწიფო ვიზიტად ჩასულა ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი, ასევე ბეისბოლის გულშემწვია. ფიდელისა არ იყოს, ჩავესსაც გიჟმაჟი წარსული ჰქონია, არაერთგზის აჯანყებია თავისი ქვეყნის მეთაურებს და პოლკოვნიკობა ბეისბოლზე არანაკლებ სცოდნია, ბოლოს კი ხალხს პრეზიდენტად აურჩევია. მასა და ფიდელს ერთად გადაუწყვეტიათ, ჰავანაში ვათამაშოთ ვენესუელელი და კუბელი ბეისბოლის მოხუცებიო. ჩავესს უთქვამს, ფორმაში ვარ, პიჩერობაც შემიძლია და ათასი სხვაცო. ეს თამაშიც გახურებულა. როგორც წესია, მეგობრობას გაუმარჯვია. პრეზიდენტ ჩავესს ჰავანაში ხლებია ცოლი მარისაბელი, რომელსაც ერთი ღიპიანი პოლკოვნიკის ცოლის პირობაზე დიახაც რომ ეკუთვნის ვენესუელის პირველი ლედის პატივი.

კომანდანტე კი ჩინებული მწვრთნელი ყოფილა, თამაშიც მოწონებია და უცინია კიდეც.

აგრე ლაღი ფიდელი, კარგა ხანია არგვინახავსო.





REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli